

„ივერიის ბიბლიოთეკა“

①

გ უ რ უ ლ ი.

(წ. გიორგი)

კენჭის შრა

დრამატული სცენები

კენჭის შრა

კ რ ე მ ი ა
№ 1

ტფილისი
1905



Гьеса подъ Загдвѣмъ: Выборы („Кешисъ Кра“), соч. Гурули, разрѣшена Г. Исп. об, Главноначальствующаго Гражданскою Частью на Кавказѣ къ представленію на сценахъ. Край, Г. Тифдизъ, февраля 4 дня 1903 г.

ტურული
ქართული ზოგადი

Handwritten signature or initials in blue ink.

პენქის შრა

35116

დრამატული სცენები ოთხ-მოქმედებად

საქართველოს ახლანდელ ცხოვრებიდან.



ტფილისი
ელექტრონის სტამბა წიგ. გამომც. ქართ. აზნანავობისა.
1905

Дозволено цензурою. Тифлисъ, 13 октября 1904 г.

კენჭის ქრა

დრამატული სცენები ოთხ-მოქმედებად

(საქართველოს ახლანდელის ცხოვრებიდან)

მოქმედი პირობი:

თავადი გიორგი დიდებულის, მარშალი
კენინა ტასო, მისი მეუღლე.

თ-დი კრიგოლ დევიდარიანი, ბანკის მმართველი.

არისტოდე ღომთათიძე, ბანკის დირექტორი.

თეიმურაზ ავალიანი, ქალაქის მოურავი—ბანკის ზედამხედველ
კომიტეტის თავმჯდომარე.

თ-დი ამირინდო, პოეტი, კორრესპონდენტი.

ესტატე ცქვიტიშვილი, ადვოკატი.

ქრისტინე, მისი კანონიერი მეუღლე.

ციცინო, ცქვიტიშვილის საყვარელი.

პეტრე შინელიის ტუავაძე, ცქვიტიშვილის კერძო მდივანი, აგენტი.

ბ. ჩინჩადაძე, ექიმი.

კოკია და სხვა ბიჭები.

ზრდევრობი, თავად-აზნაურები, ვაჭარი ახალაშვილი, მოხუცი,

ბანკის საზოგადო კრების წევრნი და სხვა ხალხი.

პირველი მოქმედება სწარმოებს ციცინოს სადგომში. მეორე
მოქმედება—ცქვიტიშვილის კაბინეტში. მესამე—მარშლის დი-
დებულის სადარბაზო ოთახში. მეოთხე—ქალაქის თეატრში.

მოკმედება პირველი

ციცინოს სადგომი. ოთახი შორთულია უბრალოთ,
მაგრამ ლამაზათ.

I

ციცინო (გემოვნებით ჩაცმულია, ზის ჩაფიქრებული და ნაღვლიანად ამღერებს ჩანგურზედ)

...დაჯდა და წიგნი დაწერა,
მტრედს გამოაბა მხარადა:
ეს დედაჩემსა მიმირთვი,
ველარ მოგივალ ჩქარადა,
გიყვარდა თეთრი მანდილი,
ჩემზე შეღებე შავადა. (წუდება უცებ სიმი).

ვანი, ძაფი გაწყდა! ღმერთო, შენ დამიფარე უბედურებისაგან! ეს ცუდათა მაქვს დაცდილი! (ჩანგურს ათვალიერებს. მღელვარებით ადგება და ჩანგურს კუთხეში დასდებს სტოლზე. მოწყენილი დადის. ფიქრობს. ხელებსაც შლის, მერე შეჩერდება) ველარ მოგივალ ჩქარადა, გიყვარდა თეთრი მანდილი, ჩემზე შეღებე შავადა! საბრალო დედაჩემი! (სდგას კარგა ხანს ღრმა ფიქრებში გართულო დერეფანში ღონიერად ჩამოჰკრავენ ზაკს. ციცინო შეკრთება). ჰა, მოვიდა, მოვიდა (სიხარულით მივარდება კარებთან) როგორც იქნა ველირსე შენს მობრძანებას.

ცქვიტაშვილი (შემოდის დიმილით, ფრაკში—უნივერსიტეტისა და ადვოკატობის ნიშნებით, ორივე ხელს ჩამოართმევს გრძნობიერად და მერმე გადაეხევა). ხომ კარგათა ხარ, ჩემო გვრიტო!

ციც. როგორც ხედავ, სული მიღვია, ჩემო მტანჯველო.

- ცქობ.** შენ შემოგველე, ციცინო, რას ამბობ. მე შენი მტანჯველი კი არა, მე ვარ შენი მალმერთებელი, შენი მაღიდებელი (ციცინო მარცხვად თავს ჩადუნავს). ახლა, ავთ ხომ აღარა ხარ? ხომ კარგათ გრძნობ თავს?
- ციც.** ახლაც არა ვარ მთლად კარგათ.
- ცქობ.** ავთმყოფს რა გიგავს, ჩემო მშენებავ, ვარსკვლავით ანათებ. მხიარულათ იყავი, ჩემო ოცნებავ, არ მოიწყინო... ნახე ერთი მე შენ რა კანფეტები მოგიტანე? აი დავჯდეთ აქ და ვიჭუკჭუკოთ. (ჯდებათ დივანზე. ციცინო კანფეტების კოფოფს გამკართმეფს და აკ გახსნის, ისე სდებს სტოფზე).
- ციც.** (მოდუშუფის სხით) რა საჭიროა ამდენი კანფეტები, მე ხომ პატარა ბოვში აღარა ვარ.
- ცქობ.** (აფრსით) ჩემთვის პატარა ბავშიცა ხარ და ანგელოზიც. რათ მოიწყინე, ჩემო სიცოცხლე, მართლა ავთ ხომ არა ხარ? (კოცნას უპიკობს).
- ციც.** (ნახათ თავს აკ ანებებს) მაცალე, გენაცვალე, რაღაც გულის მერევა.
- ცქობ.** რა გემართება, ქალო, ამას წინეთაც ასე იყავი! ექიმი იყო?
- ციც.** (უგუნებოთ) იყო.
- ცქობ.** მერმე, დავათვალიერა?
- ციც.** დიახ.
- ცქობ.** რეცეპტი! წამალი?
- ციც.** (მარცხვათ) არ გამომიწერა, არ გინდაო.
- ცქობ.** სჩანს, ავთაც არ ყოფილხარ. რომელი ექიმი იყო?
- ციც.** გვარი კარგათ არ მახსოვს, მგონებ ჩინჩალოძე უნდა იყოს. პეტრემ მომიყვანა.
- ცქობ.** ჩინჩალოძე ახლოგახდა და გამოუცდელი ექიმია. დიდს საყვედურს ვეტყვი ამისათვის ტყავაძეს. დღესვე სხვას გამოვგზავნი.

- ცაბ. რა საჭიროა, ჩემი ავადმყოფობა იმანაც მართლად მითხრა.
- ცქაბ. რაღა გითხრა? ხომ მალე გაივლის ეს უქეიფობაო.
- ცაბ. (შორცხვით) ცხრათვეს გაგრძელდებაო.
- ცქაბ. (უცბათ) ცხრა თვეს! ციციწო, რას ამბობ? ნუ თუ შენ!.. არრა, ასე ადრე? ციციწო, მართალი სთქვი, ნურაფერს დამიმალო!
- ცაბ. მე რა გითხრა, შენ ნასწავლი კაცი ხარ, თვითონ არ იცი?
- ცქაბ. ცხრა თვე! გულიც გერევა. სჩანს ორსულად უნდა იყო, ღმერთო, ნუ თუ მართლა!
- ცაბ. (ეხვევა, თან წყნარის ხმით) ჩემო ტატო, მე ხომ სამუდამოთ შენი ვიქნები.
- ცქაბ. (ადგება) ეს კი მოულოდნელი ამბავია! მაშ შენ დედა უნდა გახთე?
- ცაბ. ექიმმა მითხრა.
- ცქაბ. ჩინჩალოძის ექიმობა ვინ გაიგონა, ტყუილი იქნება. ვერ მიხვდებოდა, ოოხ, თუ მართალი გამოდგა!
- ცაბ. გაიმება ხომ, ჩემო ტატო!
- ცქაბ. მიამება? რას ამბობ ციციწო, გონს მოდი!
- ცაბ. (წამოვარდება და გაკვირვებით უუერებს) მაშ შენ ეს არ გაიმება?! მე ყოველ წამს ვითვლიდი, როდის მოვა ჩემი ტატო, რომ კარგის ამბით გავახარო-მეთქი და შენ კი? შენ არც კი გინდა დაიჯერო? ასე რათ მღელვარებ! რა მიზნებია?
- ცქაბ. (უგუნებოთ) როგორ არმიამა, მაგრამ ხომ იცი, რომ ყოველივე მოულოდნელი ამბავი კაცს გააკვირვებს!
- ცაბ. (მღელვარებით) შენ რაღაცას მიმალოვ, კმარა! მეტი მოთმენა აღარ შემიძლია! ყველაფერი უნდა ამიხსნა! (ფერხი ეკარგება).
- ცქაბ. ციციწო, შენთან დასამალავი რა მაქვს. შენ, მგონებ, ფერიც გეკარგება. გული არ წაგივიდეს. გე-

ნაცვალე, ოდეკოლონს მაინც უსუნე (ჩიფებს ოდეკა-
ლონის შუშას და უთავაზებს)

ჩიფ. რათ მინდა მე შენი ოდეკალონი, თავი დამანებე
ერთი! გვეყოფა ჩვენ ამდენი ტრფიალობა! როდის
ველირსები, რომ შენ ჭკვიანურად დამიწყებ
ლაპარაკს. როდის იქნება, რომ შენ თანასწორათ
გამხთი!

ქვიატ. (ვითაჲ გაოცებით) ამაზე მეტი თანასწორობა?!

ჩიფ. ნუ თუ მარტო ხევენა-კოცნაში არის თანასწორო-
ბა? ტატო, მე არ მსურს ასეთი ცხოვრება.
აგერ თვე წახვეარი შესრულდა, რაც მე შენ წაი-
გყვევი და ამ დროში რას ვხედავ?

ქვიატ. ციციწო, რა მოგდის, გამაგებინე მაინც რა გაკლია
და ახლავე შეგისრულებ!

ჩიფ. როგორ თუ რა მაკლია? განა შენ მომეცი ის,
რასაც მე მოველოდი შენგან?

ქვიატ. ღმერთო, პირველათ მესმის შენგან ასეთი სიტყვები!
რა მოხდა ასეთი? რა გინდა?

ჩიფ. მე მინდა მხოლოდ ადამიანური ცხოვრება!

ქვიატ. არაფერი მესმის, როგორ თუ ადამიანური ცხოვრე-
ბა? ან რას მოელოდი ჩემგან? ამიხსენი მაინც?

ჩიფ. უნდა ავიხსნა, მეტი დამალვაც აღარ შემიძლია!
შენ თვითონ კარგათ იცი, რომ ბევრი ახალგაზდა
ბედნიერათ ჩათვლიდა თავს, რომ მე წავეყოლოდი.
დაბოლოს მამა ჩემმაც გათხოვება დამიპირა, მარა
მე უარზე დავდექი.

ქვიატ. ეს მეც ვიცი, მაგრამ...

ჩიფ. დამაცალე! ისიც იცი, რომ მერმე ყველაფერზე ხე-
ლი ავიღე და შენთან ერთად დედ-მამის სახლიდან
გამოვიქეცი. იმ უბედურ დროს, როდესაც გარე-
დან მაქანკლები მოსვენებას არ მაძლევდნ და შინ
კი ჩემი დედ-მამა სულ იმის ფიქრში იყო, რომ
მალე გავეთხოვებანე, — გაჩნდი შენ ჩემს ბედზე

ჩვენს სოფელში და მე ყურადღება მომაქციე. შენს ნიჭიერ ბაასს რომ ყური დავუგდე, მე გავიფიქრე გულის სიღრმეში: აი ეს არის ის კაცი, რომელზედაც მთელი ღამეები ვფიქრობდი, რომელიც გაჩნდა ჩემს მხსნელად-მეთქი.

ჭაჭაბ.

მართლაც ხომ დაგიხსენი!

ცაცანა.

შენ დამიხსენი უსწავლელი კაცის ცოლობისაგან, დამიხსენი ჩემი მშობლების გაუნათლებელ, ჩაბნელებულ ოჯახისაგან, სადაც უნდა დამეხშო ჩემი გონება, ჩემი მისწრაფებანი, შენ დამიხსენი სოფლოურ კარჩაკეტილ ცხოვრებისაგან, მომხიბლე შენი სიტყვებით, შენი დაპირებით. არ გახსოვს, ჩვენ რაპლანებს ვაწყობდით? რა გრძნობიერათ მელაპარაკებოდი ქალის მაღალ დანიშნულებაზედ, ქალის განათლებაზედ? სად გაჰქრა შენი ეს დაპირება. ნუ თუ ყოველივე ჩემს მისწრაფებას ასე მალე ბოლო უნდა მოეღოს? ჩემს განათლებაზედ შენ სრულებით არ ზრუნავ. მომიტანე რაღაც ბავშური წიგნები, რომელიც ათასჯერ წამიკითხავს. ერთხელაც არ გილაპარაკნია ჩემთან დალაგებით, ქკვიანურათ რაიმე საინტერესო საგანზე! განა ამას მივესწრაფოდი მე? რათ მინდა მე შენი კამფეტები და ოდეკალონი, თუ ისევ ძველებური დახშული ცხოვრება მექნება!

ჭაჭაბ.

ნუ თუ შენ მხოლოდ იმიტომ წამომყევი, რომ შენი მისწრაფების შესრულება გინდოდა? მე კი, მე უბედურს, ის მეგონა, რომ შეგიყვარდი და მთელის არსებით მე მეკუთვნოდი!

ცაც.

ტატო, რას ამბობ მაგას! შენ თუ არ მიყვარხარ, მაშ ვინ მყავს შენს მეტი. მე მართლა ვეტროფოდი ჩემს ოცნებებს, მარა შენი ტკბილი საუბარი რომ-გავიგონე, შენი სახე ჩავიბეჭდე ჩემს გულში და ჩემი ოცნების ასრულება შენთან ცხოვრებას შე-

ვუერთე. შენი გულისთვის მე დავგმე, ვინც კი ქვეყანაზედ საყვარელი მყავდა: ჩემი მშობლები და ნათესავები, დავგმე კეთილი სახელი, ყურადღება არ მივაქციე ათასს დაბრკოლებას და შენთან ერთად მშობლიურ ოჯახიდან გამოვიქეცი. შენი გულისთვის ყველამ მომიძულა. ჩემი მშობლები ცოცხლებშიაც აღარ მთვლიან. ვინ მყავს ახლა შენს მეტი, რომ შენ არ მიყვარდე?! და შენ კი, მგონებ ჩემზე გულის იცრუებ!

ჩემო ბ.

ჩემო ციცინო, რაებს ლაპარაკობ, შენ სწორედ ავადა ხარ! შენზედ მე გულის არას დროს არ ავიცრუებ. უშენოდ ცხოვრებას მე სიკვდილი მირჩევნია. მითხარი დალაგებით, მაინც რა გინდა, ამიხსენი!

გ.გ.

მე მხოლოდ ადამიანურ ცხოვრებას გთხოვ, სხვას არაფერს. მსურს, რომ შენ წარმიძღვე განათლების გზაზედ, მასწავლო ქვეყნიური ავი და კარგი, მსურს უსათუოდ გამითანასწორო და იცხოვრო ჩემთან ისე, როგორც ცოლქმარს შეჰფერის. თორემ ეს რასა ჰგავს:—შენ მოდიხარ ჩემთან სტუმრად და რაცხანი მიდის, თან და თან უფრო ძვირი სტუმარი ხდები. გუშინ მთელი ღღე მიმატოვე, ღღესაც დაიგვიანე.

ჩემო ბ.

(აღუხსით). მერმე მოგწყინდა. ჩემო სიცოცხლევ!

გ.გ.

ასე ცხოვრება ვის შეუძლია?! სოფელში მაინც უსაქმოდ არ ვიჯექი. ვმუშაობდი, ვკითხულობდი, ხან მეზობლებშიც წავიდოდი. და აქ კი ვარ დამწყვდეული ოთხ კედელში უსაქმოდ, მარტოდ-მარტო. შენ ჩემთან არ სეირნობ. მარტო გამოსვლაც არ შემიძლია. ყველა მე მიყურებს. გასაყიდ ცხენით მათვალეირებენ. ასე ცხოვრება მე ქლექში ჩამაგდებს. ჩვენ ხომ ჯერ კიდევ ჯვარ-დაუწერელი ვართ. ტატო, მოახერხე რამე, გაათავე საქმე!

ქატი. რამდენჯერ გითხარი, რომ ჯერ ჯვრის წერის ნებას კანონი არ გვაძლევს. შენ სრულ-წლოვანად არ ითვლები. ან სრულ-წლოვანობას უნდა ვუცადოთ და ან მამა შენს გამოვართვათ ნებართვა!

ნინო. თუ მოინდომებ, შენ ყველაფერს მოახერხებ. მე გულს მიწამლავს ასეთი მდგომარეობა, მეც მინდა საზოგადოებაში გამოვიდე, როგორც შენი კანონიერი მეუღლე, შეც მინდა გავიცნო ქვეყნიერება. როდემდის უნდა ვიცადოთ? მამაჩემი არას დროს არ იქნება წინააღმდეგი ჩვენს დაქორწინებაზე. მოვლაპარაკე მამაც!

ქატი. (მწყრალად) ციციხო, შენ პირდაპირ მითხარი, ისევ მე გიყვარვარ, თუ სხვა ვინმე მოგეწონა.

ნინო. ტატო, რა კი შენ მოგენდე, სხვა ვინღა მომეწონება! ჩემი სიყვარული მტკიცეა და შეურყეველი, მარა მე არ შემფერის მალული სიყვარული! ჩემს მდგომარეობაში მყოფს ქალს, მე პირველი დავუძახებდი უნამუსოს და უსინდისოს და პირველი პირში შევაფურთხებდი. დამაწყნარე! მომეცი შეძლება, რომ სინდისიერი ქალის სახელი ვატარო.

ქატი. ნუ აჩქარდები, ჩემო ციციხო, ყველაფერს მოესწრები, შენ მხოლოდ ახლა იწყებ ცხოვრებას და ყველაფერი ერთად ხომ არ შეიძლება. მე შენ ახალ წიგნებს მოგიტან, საზოგადოებაშიც გამოგიყვან, განათლებულ ქვეყნებსაც გაჩვენებ. იცი! საზღვარ გარეთაც წაგიყვან. ენდები ჩემს გამოცდილებას და პატიოსნებას, ცოტა მოთმინებაც უნდა ვიქონიოთ.

ნინო. როდემდის უნდა ვითმინოთ. მე იმედი მეკარგება. ათასი ცუდი ფიქრი თავში მებადება. შენც თავს მანატრებ და დიდხნობით ჩემთან არ რჩები.

ქატი. განა არ იცი, რომ მე ათასი საქმე მაქვს? არც ის ვარგა, რომ სულ შენ მოგიჯდე და არსად წავიდე.

მოდის, აქ დავჯდეთ და სერიოზულათ ვილაპარაკოთ. (ჩანგურს დაინახავს) ძაფი გაგიწყდა?

ნაწ. გაწყდა! ჩანგურს ვაყოლებდი მაინც გულს და ახლა ესტეც მომესპო.

ნქგიტ. დღესვე გავაკეთებინებ, მოდი, აქ დაჯექი (თავისთვის აჯენს). შენ რომ საყვედურს მეუბნები, გუშინ რათ არ მოდიო, უნდა აგინხნა, რომ შენ ყველაფერი იცოდე. აქ რომ ბანკია, იცი?

ნაწ. რა მებანკება, ჩემს კითხვებზე მელაპარაკე და პასუხი მომე.

ნქგიტ. მეც პასუხს გაძლევ, გუშინ იქ, ბანკში მქონდა საქმე და იმიტომ ვერ მოვედი. ამ ბანკის ზედამხედველმა კომიტეტმა მიმიწვია ბანკის საქმეების ვექილად. ჯამაგირი დიდი მექნებოდა და საქმე კი იმდენი არაფერი. სამწუხაროთ ბანკის მმართველმა წინააღმდეგობა გასწია და ახლა ამ ადგილზე უარს მეუბნებიან!

ნაწ. მერე რატომ?

ნქგიტ. სწორეთ არ მესმის! უწინ ის ჩემი მეგობარიც იყო. ალბათ ჩემი ეშინია! ჯერ რომ ვექილად ვიქნები, მერე ბანკის უფროსადაც ადვილათ ამომარჩევენ. მაგრამ ის კი არ იცის, რომ, თუ მოვინდომე, მე ახლავე შემიძლია ის ჩამოვაგდო ადგილიდან, და მე დავიკავო იმის თანამდებობა. ისედაც გული მომაყვანია იმ ოხერმა დევდარიანმა, და შენ კიდევ აქ მაჯავრებ.

ნაწ. (შეკრთება) ვინ მოგაყვანია გული?

ნქგიტ. ბანკის მმართველმა—დევდარიანმა.

ნაწ. ღმერთო, რომელი დევდარიანია?

ნქგიტ. შენ ჯერ არ იცნობ, ერთი უნიქო და გარყვნილი არისტოკრატია.

ნაწ. (მღუჭყარებით) ულვაშებ აწკვერტილი, სათვალეებიანი?!

- ქეოტ.** (გაკვირვებით) ჰოო, ის არის, მაგრამ შენ საიდან იცნობ?
- ტატი.** ტატო, მე შენ ერთი რამ უნდა შემოგჩივლო, მარა პირობა მომეცი, არ გაჯავრდები.
- ქეოტ.** რა მოხდა?! სტევი, რაღას მაცდევინებ!
- ტატი.** გუშინ აქ იყო ჩემთან დევდარიანი!
- ქეოტ.** (წამოვარდება) აქ იყო? რას ამბობ? იმას აქ რა უნდოდა! როგორ გაბედა აქ მოსვლა? შენ რათ მიიღე?!
- ტატი.** მე რა ვიცოდი, ვინც იყო! გოგომ შემოიყვანა, ვილაც პატიოსანი კაცი მოვიდა და შენი ნახვა უნდაო.
- ქეოტ.** ის გოგო დღე-ღე დაითხოვე! აქაც არ მამღვებს მოსვენებას ის უნამუსო დევდარიანი! რისთვის უნდა მოსულიყო? ალბათ იმას.. (უცებ შეჩერდება) ნწჰ, არა, მაშინ ცოცხალსაც არ გავუშვებ! იქნება მამა-შენმა გამოაგზავნა, იქნებ რამე დაავალა?
- ტატი.** არა, მამა-ჩემი იმას არც კი იცნობს.
- ქეოტ.** მაშ რა უნდოდა? შენც დღეს სხვანაირ გუნებაზე დამიხვდი. რა გითხრა, რა მინდაო?!
- ტატი.** შემატყობინა: მამა თქვენის ადგილი ბანკშია და გირავებული და, რადგანაც სარგებელი დროზედ ვერ შემოიტანა, ადგილი ვაჭრობით უნდა გაიყიდოსო.
- ქეოტ.** მერე?!
- ტატი.** მე რომ შევწუხდი, იმან მანუგეშა და შემწეობა დამპირდა.
- ქეოტ.** იმის შემწეობა ჩვენ არ დაგვჭირდება! მერე რაღა გითხრა?!
- ტატი.** უტიფარი კაცი ყოფილა! პირდაპირ მითხრა, მომწონხარო, შენთვის ყველაფერს გავაკეთებო და თავის სახლშიც დამპატიყა.
- ქეოტ.** შენ რაღა უპასუხე.

- ცაფ.** მე შემცხვა, შეეწუხთი, ვერ გიცნობთ, თავი დამანებეთ-მეთქი.
- ჩქაბ.** მერე იმან?!
- ცაფ.** მაინც არ მომეშვა, უსათუოდ უნდა სახლში წაგიყვანოვო.
- ჩქაბ.** მერე შენ!!
- ცაფ.** რალა უნდა მექნა, გავჯავრდი გაუწყერი. ძლივს მოვიშორე თავიდან.
- ჩქაბ.** ოხ, სად ვიყავი მაშინ, რომ პალურის ცემით გამეგდო აქედან!
- ცაფ.** მეც მოვახსენე, როგორც ესტატე მოვა, ჩავასმენ მეთქი. იმან კი სიცილი დაიწყო. შენ ცუდათ გახსენა. მე დიდი ადგილი მიჭირავს, თავადი ვარ, ესტატე დაგლახებული ადვოკატიაო.
- ჩქაბ.** თუ დაგლახებული ვარ, იმასაც ვაჩვენებ. აქედან ხომ მალე წავიდა?
- ცაფ.** მალე წავიდა, და ძალიან გაჯავრებულიც იყო. ხვალ კიდევ მოვალ, კარგათ მოიფიქრეო.
- ჩქაბ.** კიდევ რალაზედ უნდა მოვიდეს? განა შენ რაიმე იმედი მიეცი?
- ცაფ.** ის უღმერთო დამემუქრა, მამა-შენის ადგილს ხვალვე გავყიდი და ამბავს შეგატყობინებო. რალა ქნას მაშინ საცოდავმა მამა-ჩემმა? რითი ირჩინოს თავი? თუ ჩემის მიზეზით იმათ სახლკარი გაეყიდათ, თავა ცოცხალი რალათ მინდა. ჩემო ტატო, ნუ დააჩაგვრინებ ჩემს თავს ვილაც დევდარიანს!..
- ჩქაბ.** დევდარიანი ამას ვერ გაბედავს! ტყუილად შეგაშინებდა.
- ცაფ.** მე ისედაც დავტანჯე ჩემი საქციელით ჩემი მშობლები და ახლა ხომ სულ დავლუპავ. ტატო, შეიტანე შენ სარგებელი. თუ შეგიძლია, მთლად დაიხსენი ვალებიდან მამა-ჩემის მამული. გაახარე ჩემი დედ-მამის გული ამ სიბერის ხანს და ჩვენც ყვე-

ლაფერს გვაბატიებენ. კიდევ შემირიგებენ, ქორწილსაც გადაიღიან. შენ ვერ წარმოიდგენ, როგორ გაეხარდებათ მამულის დახსნა! ეს მეორე აღდგომა იქნება მათთვის.

ცქობ. ვეცდები, შენისურვილი შევასრულო, მხოლოდ შენ დაწყნარდი. არავინ შეგაცდინოს, დევდარიანი ახლოსაც არ გაიკარო.

ცან. დღეს რომ მოვა?

ცქობ. მე ხომ აქა ვარ! აბა მოვიდეს! მე ვიცი და იმან!

ცან. შენ გენაცვალე არ აეშალო, ფათერაკი რამე არ აიტეხო!

ცქობ. მე ის შენი თვალის წინ უნდა დავამცირო. მისი სიგლახე გაჩვენო, რომ იმან მეორეჯერ ველარ გაბედოს აქ მოსვლა. (ვიღაც ზარს ჩამოჭკრავს).

ცან. ის არის, ის. გუშინაც ასე ღონივრად ჩამოკრა ზარი. გოგოს ვეტყვი, რომ კარები არ გაუღოს (წასვლას აპირებს).

ცქობ. არა, მოიცადე. საქმე ასე აჯობებს. ის შენ მიიღე, გამოგელაპარაკოს ერთი! მე კი აქ, ოთახში ვიქნები და მის უნამუსობაში ჩემის ყურით დავრწმუნდები. მერმე კი მის სეირს გაჩვენებ.

ცან. მე შეშინა მარტოდ ყოფნა.

ცქობ. მეც ხომ აქ ვიქნები—კარებთან დამალული. (შიდის).

ცან. დამალვა რა საკიროა, ხომ სირცხვილია, ისევ ჩემთან დარჩი! (ცქობიტიშვილი გადის განის კარებში და ხელით ანიშნებს ციცინოს, უკან დაბრუნდით). ღმერთო, შენ შემეწიე! (შიდის მეორე კარებისაკენ, გზასზე სარკესთან ოდნავ შეჩერდება და თმას და წარბებს ისწორებს).

II

დეკლ. (კარებს უკაკუნებს) შეიძლება შემოვიდე, ჩვენო მზის უნახავო! რატომ პასუხს არ მაძლევთ! (გაადებს კა-

რებს და შემოდის). ხომ კარგათ ბრძანდებით, სი-
ლამაზის ღმერთავ! ხომ არ შეგაშინეთ! არ მომე-
ლოდით განა? (ხელს ატმეფს.)

ცაბ. დიახაც არ მოგელოდით! გუშინ ხომ ყველაფერი
მოგახსენეთ.

დეკდ. მე სიტყვის კაცი ვარ. რასაც ვიტყვი, შევასრუ-
ლებ. გითხარით, მოვალ-მეთქი და მოვედი. გით-
ხარით, მამა თქვენის ადგილს გავყიდი-მეთქი და
მართლაც გავყიდე. უცხო კაცს არ უყიდა, ჩემმა
ძიძიშვილმა დაირჩინა.

ცაბ. ეს ხომ უღმერთობა იქნება! ხომ დაიღუპა მთელი
ოჯახი. თქვენც გეყოლებათ მოხუცი მამა! სიბე-
რის დროს ადგილ-მამულიდან აყრა და გადასახლე-
ბა, ხომ იგივე სიკვდილია!

დეკდ. რა გაეწყობა. კანონი ასე თხოულობს. რადგანაც
გადასახადი ვერ შემოიტანეს, ადგილი იმიტომ გაი-
ყიდა.

ცაბ. გადასახადს მე ვიშოვნო და დღესვე შემოვიტან,
ოღონდ ნუ დაღუპავთ მთელს ოჯახს.

დეკდ. ახლა გვიანლა არის. ფულით საქმე აღარ გაკეთდე-
ბა და ორი კვირის განმავლობაში მამა თქვენს,
სამწუხაროთ, იქიდან გადასახლება მოუწევს.

ცაბ. (ტირის კიბით) ნუ თუ არავითარი საშველი
არ არის, ნუ თუ თქვენც ჩაიდნთ ასეთ უღმერ-
თობას?

დეკდ. ნუ სწუხარ, მშვენიერო! მე შემძლია დაგიხსნა
გაჭივრებისაგან. გამოვართმევ ჩემს ძიძიშვილს იმ
ადგილს, გავათავისუფლებ სულ ვალისაგან და გა-
დმოგცემ შენ, და მერმე შენ რაც გინდა, ის უქენი.

ცაბ. ოხ ნეტავი მართლა! ეს ხომ ბედნიერება იქნება!
თუ მართლა ვალებისაგან განთავისუფლებულ ად-
გილს დაუბრუნებთ, ხომ სამუდამოთ ცრემლებს
შეუშრობთ მთელს ოჯახს.

- დეკლ.** რასაც მე ვიტყვი, ის საექვო აღარ არის, ჩემში სდულს უმაღლესი კეთილშობილოური სისხლი. მე გავაბედნიერებ შენს მშობლებს. დაგიმტკიცებ რა სულ-გრძელი ყოფილა თავადი დევდარიანი!
- ცაც.** მე უზომოთ მაღლობელი ვიქნები და ჩემი მშობლები ხომ მუდამ თქვენს ლოცვაში იქნებიან.
- დეკლ.** იმათი ლოცვა მე არ მინდა და არც წამადგება! ყველაფერ ამას მე გავაკეთებ მხოლოდ შენი გულისთვის. მე რომ ქალი მომეწონება, იმისთვის თავს დავდებ. შენც ბედნიერი ხარ, რომ მომეწონე. დედოფლად გაცხოვრებ, მხოლოდ რაც გითხარი გუშინ, უნდა შემისრულო.
- ცაც.** მე, მე რა ვქნა! მე თქვენი დიდი მაღლობელი ვიქნები, მარა...
- დეკლ.** ჯერ მაღლობა იყოს, მერმე თანაგრძნობა და შემდეგ კი სიყვარულის ფიალაც დაჯცალოთ!
- ცაც.** მე რომ ცქვიტიშვილი მიყვარს!
- დეკლ.** ეჰ, კარგია ერთი, მეორეჯერ აღარ გაამხილო მაინც! სწორეთ საცოდავობაა, რომ შენისთანა შევნიერი არსება ცქვიტიშვილს ჩაუვარდა ხელში. ის შენ ვერ დაგაფასებს და მალეც მოგიძულებს. მე კი სულ ხელის გულზე გატარებ, სულში ჩაგიძვრენ, კნეინადაც გაგზდი.
- ცაც.** მე რა ვქნა. მე პირობა მაქვს მიცემული. ლალატი არ შემიძლია. ჩემი გული ხომ ვერ გაიყოფება შუაზედ.
- დეკლ.** ამოიგლიჯე გულიდან უღირსი კაცი! დამიჯერე, დაენდე ჩემს გამოცდილებას, ნულარ ყოყმანობ! ნუ ჰკარგავ ხელიდან შენსა და შენის მშობლების ბედნიერებას. ნულარ ფიქრობ, მომეცი შენი ხელი (ხედს ახომეგს), უკან რათ იწევი, მომიახლოვდი! ნუ გეშინია, ცქვიტიშვილი ვერაფერს შეიტყობს (უპირობს კოცნას).

ცოც. თავი დამანებეთ, მომშორდით! ესტატე, ესტატე!
 დეკდ. ტყუილათ რას უძახი, ის ალბათ ახლა „რეჩების“
 ლაპარაკში იქნება! სად სცალია შენთვის, ნულარ
 ჯიუტობ! (მჭხევეს ხელს. ციციჩკა გაუსხლტება და
 კარებისაკენ მიდის, დეკდარიანიც მისდევს. ამ დროს
 უცებ კარები გაიღება და გამოვა ცქვიტიშვილი. დეკ-
 დარიანი შეკრთება).

III

დეკდ. აჰ, შე უსირცხვილო, შენ აქ იმალებოდნი?
 ცქვიტ. (დაცინვის კილოთი) დილა-მშვიდობის ვაჟბატონო!
 რამ შეგაშინათ?
 დეკდ. შე სულმდაბალო! განგებ იმალებოდნი? როგორ გა-
 ბედე! (გულში ხელს წააფლებს) მე შენ წიწილასავით
 დაგახრჩობ!
 ცოც. (შეჭკივლებს) ვაიჰ, რას ჩადიხართ! (შუაში ჩაფარდება
 და დეკდარიანს მოაშორებს). რამ გადაგრიათ, ხომ არ
 შეიშალეთ?!
 დეკდ. (უკან იწევს) უსინიდისო, ლაჩარო, ქუდის მაგივრათ
 ლეჩაქი უნდა გეხუროს! დიაცსავით იმალები!
 ცოც. ყველაფერი თქვენი ბრალია, და კიდევ თქვენ წყრე-
 ბით. აღარც კი გრცხვენიათ?
 ცქვიტ. (ამ ლაპარაკის დროს დაიწევს უკან, ამოიღებს ჩუმათ
 რეკლავებს და დეკდარიანს დაუმიზნებს). თქვენო
 ბრწყინვალეებავ! აბა, ახლა ვნახოთ, ვინც არის ლა-
 ჩარი! სხვის ეზოში რომ მსუნაგი ძალლი შეიპარება,
 იმას ფეხს მოამტვრევენ. აბა, არ გაინძრეთ, რომ
 ფეხს არ ავაცდინო! (ფეხისკენ უმიზნებს).
 დეკდ. შე დედაბერო, შენი ტყვიისაც არ მეშინია! ჰა, ჩემი
 გული, გულში მესროლე! (ფეხებს სტოჯს ამოაფა-
 რებს და გულზე ხელს დაირტყამს).
 ცქვიტ. ვე შენი სიკვდილი არ მსურს, შენს ჯალათობასაც
 არ ვიკადრებ! მხოლოდ უნდა დავდალო, რომ სამუ-

დამოდ გახსოვდეთ (შემოუფლის კანით და ფეხებისკენ უნიშნებს) არ გაინძრე, რას იმალები?

ნაწ. (სიჩქარით) ტატო, გენაცვალე, სისხლი არ დაღვარო, ჩემო ტატო, ცოდვას არ შემძსწრო! (გაიქცევა მისკენ).

დეკდ. კარგათ დამიმიზნე, მე არ ამაცდინო და ციცინოს ღვთაებრივი ტანი არ დასკრა!

ნაწ. ტატო, შენ შემოგეველე, არ ესროლო! მე ქკუაზე შევიშლები! არ დამღუპო. (რეკლავებს ხელს წაავლებს).

ნაწ. ციცინო, შენ წადი შენს ოთახში! შენი საქმე არ არის!

ნაწ. როგორ თუ ჩემი საქმე არ არის?! შენ სისხლი უნდა დაღვარო, და ჩემი საქმე არ არის? გაუშვი ხელი, თორემ არ მოგშორდები. არც კი გრცხვენია, ავათ-მყოფ ქალს მაშინებ. (რეკლავებს აწოშებს, დრმათ ამოისუნთქავს და მერმე მიუბრუნდება დეკდაჩანს) ახლა ხომ გადარჩით სიკვდილს! რაღას იცდით, გაგვშორდით აქედან! (რეკლავებს უჯრასში ჩასდებს და ჩაჭკეტავს).

დეკდ. (თეატრალურათ) ჩემო ღვთაებავ, მომკალ ბარემ შენის ხელით, უშენოთ წასვლას, მე შენის ხელით სიკვდილი მიჩვენია!

ნაწ. შეხედეთ, ბატონო, ჩემს ქალურ სისუსტეს, ნუ მტანჯავთ! მოგვშორდით!

დეკდ. ასე როგორ მოგშორდე! რაიმე იმედი მაინც მომეცით! უკეთესია, ცქვიტიშვილი მოვიშოროთ თავიდან!

ნაწ. მე თქვენ მძულხართ, მეზიზღებით, რა გინდათ ჩემგან, აღარ მომშორდებით!

ნაწ. გაეთრიეთ აქედან! უმადლოდეთ ციცინოს, რომ დაუდალავი გადამიჩით, მეორე-ჯერ არ გაბედო აქეთ შემოხედვა, თორემ ვაი შენი ბრალი!

დეკდ. ესტატე პეტროვიჩი! ჩვენ ხომ დიდიხანია ვიცნობთ ერთმანერთს! ჩვენ შეგვიძლია მოვრივდეთ! თქვენ მგონებ ძალიან გინდათ ბანკის ვექილობა..... დღესვე დაგამტკიცებთ!

ქეკატ. არ საჭიროებს. ტყულათ რას ყბედობთ! სამსახურში წახვიდეთ, ის გირჩევენიათ!

დეკდ. მე სერიოზულათ გელაპარაკები. თქვენ დაგნიშნავ ბანკის ვექილათ და ციცინოს კი ვაჩუქებ იმის მშობლების ადგილმამულს ვალებისაგან სრულიად განთავისუფლებულს.

ქეკატ. თქვენი არაფერი გვინდა! ციცინოს მამულს მე თვითონ დავიხსნი! და ვექილობა რათ მინდა! თუ მოვსურვე ბანკის მმართველადაც გავხდები!

დეკდ. ტყუილად ნუ ტრაბახობ! ადგილი კანონიერათ არის გაყიდული და ჩემს მეტი იმას ეშმაკიც ვერ დაიბრუნებს. შენ ბანკის მმართველად კი არა, შეეცრად არ მიგიღებთ. გინდა შეგიშვია ბანკში მარჯვე თავვი, და გინდა შენისთანა ვაუბატონი!

ქეკატ. კენჭის ყრა მოახლოვებულია! ამასაც ვნახავთ! გაეთრიეთ ახლა აქედან... მალე ბანკიდანაც გამოგავდებთ!

დეკდ. (დიმიდით) ვინ უნდა გამომაგდოს ბანკიდან? შენა?! არ გაამხილო მაინც! შენისთანა გაიძვერას ვინ რას დაუჯერებს!

ქეკატ. გაიძვერაცა ხარ და უნამუსოც. საზოგადოებას ატყუებ. ბანკს ღუპავ! მე თქვენ გაყურებივით სეირს.

დეკდ. შე საცოდავო, ჩემთან ბრძოლა შენ რა ხელს მოგცემს! მე თუ მოვინდომე, ადვოკატობის ღირსებასაც ავახდევინებ და ციმბირში გაგაგზავნი, იმდენი ვიცი შენი გაიძვერობის ამბავი. მე კი შენის მიზეზით ერთიც არ მომივა შავი კენჭი!

ქეკატ. ხომ მასე?! ერთიც არ მოგივა შავი კენჭი?! მაშ კარგი! ეს ცალი ულვაში მომპარსე და სასაცილოდ მატარე, თუ მე შენ არ გაგაშავო!

- დეკდ.** (ღიმილით). ციციხო, რას ამბობს ეს შენი სატრფო! საცოდავი, დარჩება უღვაშ მოპარსული, სულ გატრუსული.
- ნონ.** სახუმრო აქ არაფერია, რას ჩაგვაცივდით, წადით თქვენ. გზაზე!
- დეკდ.** (სიცილით) როგორ არ ვიხუმრო! ცქვიტიშვილი გაშავებას მიპირებს. არა, რომელი ინტელიგენტი იქნება, რომ ჩემს წინააღმდეგ ყუთს დაიდგამს? ისევ შენ მოგიწევს მოპირდაპირეთ გამოსვლა! შენს თავს ხომ არ გაიყვან ბანკის მმართველად?
- ნქობტ.** თუ მოვისურვე, დიახაც გავიყვან და ჩემს ძალასაც გაჩვენებ.
- დეკდ.** (მხიარულად) სასაცილოთ აგიღებენ! არ გაამხილო შენი კანდიდატურა! ვინ გიცნობს?! შენი დაქვანული შავი ცოლი უფრო ადრე გათეთრდება, ვიდრე შენ!
- ნონ.** (გაკვირვებით უცებ) აჰ, შავი ცოლი?!
- ნქობტ.** ამას კენჭი დაგვანახვებს, გაეთრიეთ აქედან, თორემ ამ სკამით თავს გაგიტებს (სკამს წამოაფლავებს ხელს).
- დეკდ.** (ისიც წამოაფლავებს სკამს ხელს) ახლოს არ მოხვიდე, თორემ შენს კანდიდატობას ახლავე მოვსპობ.
- ნონ.** ღმერთო, რა დაგემართათ, კიდევ ჩხუბობთ! თქვენ ნასწავლი კაცები ხართ, თუ სოფლის ბიჭები?.
- დეკდ.** მე ხომ არ ვჩხუბობ. ვინც მტყუანია, ის ჩხუბობს. შენი მერიდება, თორემ ამ უსირცხვილოს ხვალვე სეკუნდანტებს გამოვუგზავნიდი, მაგრამ... მაგასთან ღუელი არც შემფერის!
- ნქობტ.** ჩვენი ღუელი კენჭის ყრუ იქნება!
- დეკდ.** დიდის სიამოვნებით! თანახმა ვარ. მხოლოდ შენ უნდა გამისწორდე და თვითონ დაიდგა ყუთი ჩემს წინააღმდეგ. რას გაჩუმდი, ველარ ბედავ?
- ნქობტ.** დიახაც გაგისწორდები და ყუთსაც დავიდგამ.
- დეკდ.** თუ არ შეასრულო, იცოდე ციციხოზე ხელი უნდა აიღო და მე გადმომცე!

ნქობ. თავს ლაფი დავასხი, ვინც შენ შეგიშინდეს და დაპირებაც არ შეგისრულოს.

დეკდ. (ციცინოს) სიტურფის ანგელოზო, შენ თანახმა ხარ ამ პირობაზე?

ნაწ. ოღონდ ახლა მოგვეშორდი და ყველაფერზე თანახმა ვარ.

დეკდ. ძალიან კარგი! სიტყვა არ შეშალოთ. თუ მე გავიმარჯვე, ციცინო უსათუოდ ჩემი უნდა დარჩეს! გესმის! დაგახურე შენი დაქყანული ცოლის ლეჩაქი, თუ მერმე უარი სთქვა!

ნქობ. ჩვენ კენჭი გაგვასწორებს! ვინც შეშინდება, იმასაც დავინახავთ!

დეკდ. მაშ, ჩემო ციცინო, კენჭის ყრამდის იძულებული ვარ აქ დაგტოვო და მერე კი შენის ფეხით უნდა მოხვიდე ჩემთან. ვინ იცის, იქნება მანამდისაც მოგბეზრდეს აქ ყოფნა. მე ნებას გაძლევ, თამამათ მოხვიდე ჩემს სახლში და საკუთარ ბინასავით გეგულებოდეს. აი ჩემი ადრესი (თავის სადარბაზო ბართს სტოლზე სდებს და მიდის) მშვიდობით! მაპატივე, თუ რამ უსიამოვნება მოგაყენე (კარებს მიიხურავს).

IV

ნქობ. (მოჭკიდებს ხელს დეკდარიანის ბართს და ჩაკუწ-ნაკუწად ხეკს და ყრის კარებისაკენ) თუ კაცი ვყოფილვარ გაჩვენებ ჩემს ძალას, უნახოთ ვინც გაიმარჯვებს! იყოს ჩვენი დუელი კენჭის ყრა! შენც შეგარცხვენ და ციცინოს მამულსაც უკანვე დავიბრუნებ (ციცინოსსაკენ) შენ რალათ მოიწყინე, ჩემო სიცოცხლე, ნურაფრის შიში და ექვი ნუ გექნება! გულში ჯავრი არ ჩაიდლო! ყველაფერს ისე მოვაწყობ, როგორც შენ გინდა! ნუ ხარ მოწყენილი, ჩემო ცქრი-ალავ, ხმა ამოიღე, გამახარე!

ცაცინო. (შეკახედ) შენი შავი ცოლი უფრო ადრე გათქორდებოა, რომ თქვა, აგი რას ნიშნავს? რომელ ცოლზე ამბობდა?

ცქვობ. მე მაგისტვის ყურადღებაც არ მინიჭებია! ისე, ჩემი გაჯავრება უნდოდა!

ციც. მე ბოვში აღარა ვარ! ეს ამბავი ამდენ ხანსაც გამიგონია, მარა არ მჯეროდა! ფეიქრობდი, უგონებენ-მეთქი! ახლა კი ყველაფერი მართლად უნდა შევიტყო! ნუ თუ შენ ცოლი გყავს და მე კი არ მეუბნებოდნი?

ცქვობ. რა დროს ცოლობაზე ლაპარაკია! რაც მითქვამს, იმას კიდევ შევასრულებ. შენ სამუდამოდ ჩემი იქნები, არ გილალატებ და მუდამ ისე მეყვარები, როგორც ახლა მიყვარხარ. ჯვარ-დაუწერელიც რომ ვიყოთ, განა სულ ერთი არ არის! სიყვარული ყოველივე გვირგვინზე და ქორწინებაზე უფრო უმტკიცესია.

ციც. მაშ შენ კანონიერი ცოლი გყავს და მე კი ცოლად შერთვას მპირდებოდი? ტატო, ტატო, შენს ღმერთს რაღას ეუბნები? რათ გამომჭერი ყელი, რათ დამლუპე!

ცქვობ. ციცინო, დანებე თავი მაგ ლაპარაკს! სცენების გუნებაზე ახლა არა ვარ! ხომ იცი, რა საშიშარი ღუელი მომელის! გახსოვდეს, რომ მე შენ არ გილალატებ. მერმე, მერმე აგიხსნი ყველაფერს, ახლა მეც აზრები მეზნევა.

ციც. პირდაპირ მაინც არ მეუბნები, შენ გყავს კანონიერი ცოლი, თუ არა! რათ დამარწმუნე, უცოლო ვარო, ახლა რატომ არაფერს ამბობ?

ცქვობ. რაც სათქმელი იყო, მე ყველაფერი გითხარი და თუ მოთმინებას იქონიებ, ყოველივე დაპირებას შეგისრულებ.

ცაბ. რა ნაირად შემისრულებ? ორი ცოლი ხომ არ შეიძლება გყავდეს. სჩანს, მატყუებდი! მე მაინც ჩემის თვალით უნდა ვნახო შენი ცოლი!

ცქაბ. ციციწო, ნუ გამომიყვან მოთმინებიდან! შენ რომ ნასწავლი ქალი იყო, მაგას არ იტყოდი. ქვეყანაზე ისეთი კაციც არის, რომ ორი კი არა, ორმოცი ცოლიც ჰყავს. დაწყნარდი, ჭკუით იყავი, შენს მომავალზე ფიქრი მე მომანდე! და დამერწმუნე, ბედნიერი იქნები! ახლა რომ შენ კაპრიზები დაიწყო, ეს მე გამაჯავრებს, დამადარდიანებს და, შეიძლება, ამის მიზეზით დევდარდიანთან შეტაკებაც წავაგო. ათასჯერ მითქვამს და კიდევ გეუბნები, შენ ჯერ კიდევ ნორჩი ხარ, ყველაფერს მოესწრები. გოგო! (ეძისის მსახურს უყვება) აქეთ შემოდი და შენს ქალბატონს ყური უგდე (გოგო შემოდის).

პეტრე მახვილიძე ტყაგაძე. (ჩოხაში, კაკაბდიანის ქუდით შემოვარდება). ბატონო ესტატე პეტროვიჩ! როგორ გეკადრებათ. საქმის გარჩევას კიდევ შეუდგენ და თქვენ კი აქ იცდით. კლიენტები ჯავრობენ.

ცქაბ. ახლავე მივდივარ. აბა მშვიდობით, ჩემო ციციწო, კლიენტები მიცდიან, მერმე, მერმე აგინსნი ყველაფერს.

ცაბ. რათ მინდა შენი ი კლიენტები. ასე მალე როგორ გაგიშვებ!

ტყაგაძე. კლიენტები ჩვენი ლუკმა-პურია! რა დროს კიდევ დაგვიანებაა! ნულარ აკავებთ!

ცქაბ. მე მალე დავბრუნდები. სასამართლოდან პირდაპირ შენთან მოვალ, ახალ გაზეთებსაც ახლავე გამოგიგზავნი. გოგოვ, ქალბატონს კარგად მოუარე, არაფერი დააკლდეს. მშვიდობით, გენაცვალე, მშვიდობით. (მიდის. ტყაგაძე მის წინ მიიჭრის).

ცაბან. (უკან მისდევს) ჩემი გულისთვის არ შეგიძლია სულ მიატოვო დღეს კლიენტები?!

ტქიტი. დღეს არ შეიძლება და არც საჭირო არის (გადის კარებსაც ჰკეტავს).

ციცინო. ყურადღებასაც არ მაქცევ, ეს ხომ შენის მხრით უღმერთობაა! რათ არ მეუბნები, გყავს თუ არა ცოლი, ან სადა გყავს?.. მარა მე თვითონ ვნახავ შენს ცოლს!.. ღმერთო, რაღა ვქნა ახლა!.. აღარ მომიცადა! ვაი თუ შემიძულა, ნუ თუ მეტი აღარ ვუნდივარ? ვაი თუ გაძღა ჩემის ხორცი და მოვბეზრდი. ვაი სირცხვილო, ნამუსის ახდავ! (ქვითინით ჩაეცემა სკამზე. მივარდება მოსამსახურე ქალი და ხელს ჰკიდებს).

შ ა რ ღ ა

მ მ ქ მ მ დ მ ზ ა მ მ მ რ მ .

ესტატე ცქვიტიშვილის კაბინეტი, მართული ძვირფასად და გემოვნებით. კედლებზე ძვირფასი სურათებია. კუთხეშია ბიბლიოთეკის შკაფი, წიგნებით სავსე. საწერ სტოლზეა აუარებელი ქაღალდები, საწერ-კალამი, სავაჭრო ჩოქი და სხვ. ზედ ტელეფონიც არის მოწყობილი.

I

ცქვიტი. (დიდხანს დადის ჩაფიქრებული) ჩვენი ღუელი კენჭის ყრა იქნება! ჰმ, კენჭის ყრა! ახირებული ღუელია! (მოწუენილი დადის. რადაცას ანგარიშობს, იერე აიღებს ჩოქს) სულ იქნება 700 კენჭამდის. ნახევარი—350 კენჭი. ერთიც მივუმატოთ—351. ამდენი რომ ამომივიდეს, ან ცოტა მეტი, მაშინ ბანკი ჩემი იქნება. (დრმა ფიქრებში გათული ჯდება და რადაცას წერს. მეტე ისევ შეჩერდება და ფეხზე წამოვარდება. ზარს აწაწკუნებს).

გოგია (შემოდის კოსტათ ჩხაში გამოწყობილი). რას მიბრძანებ, ბატონო!

ცქვიტი. ჰეტრე მიხეილიჩი აქ არის?

გოგია აქაა, ბატონო!

ცქვიტი. რას აკეთებს?

გოგია (დარცხვინით). აფერს ბატონო, ისე, კენჭის ყრის თაობაზე მეუბნებოდა!

ცქვიტი. (გაკვირვებით) რაო?! რომელ კენჭის ყრაზე! წადი, ახლავე დაუძახე! (გოგია მიდის) ნუ თუ იმ ეშმაკმა

ყველაფერი შეიტყო! დედა-მიწის გულში რაც არის, ისიც კი არ გამოეპარება!

ტყავაძე. (შემოდის სიდილით. ხელში კაკარდინი ქუდი უჭირავს. ჩოხასე რაღაც ორდენის ლენტი აქვს მიკერებული) დილა მშვიდობისა, ბატონო!

ნჭვიაძე. (სელს ათმეფს) პეტრე მიხეილიჩ, კაცო, რა გაცი-ნებს!

ტყავაძე. სატირალი არაფერი მაქვს და იმიტომ მხიარულათა ვარ.

ნჭვიაძე. შენ მგონებ ყველაფერი იცი!

ტყავაძე. დიახაც ვიცი.

ნჭვიაძე. მერე ეს საქმე შენ მოგწონს?

ტყავაძე. რომელ საქმეზე ამბობ, მე არაფერი ვიცი?

ნჭვიაძე. აკი თქვი, ვიციო.

ტყავაძე. რაც მინდა ვიცი და რაც არა, ღმერთმა ნუ მა-ცოდინოს! ათასი საქმეა, შენ რომელზე ამბობ?

ნჭვიაძე. ნუ მაჯავრებ ერთი! კენჭის ყრის თაობაზე რას იტყვი?

ტყავაძე. უნდა მოგახსენო, რომ კაი საქმეა. ყოველივე კა-ცი თაჟის წარმატებაზე უნდა ცდილობდეს. მე სწორედ გთხოვ, რომ გოგიას შემწეობა მისცე!

ნჭვიაძე. კაცო, რომელ გოგიაზე ამბობ. სად ის და სად კენჭის ყრა..

ტყავაძე. აი ჩვენი გოგია რომ არის, ბატონო, იმაზე მოგა-ხსენებ. იმის სოფელში მამასახლისის გამოცვლას აპირობენ. ახლანდელი მამასახლისი დიდი გაღლე-ტილი და მექრთამე კაცი ყოფილა. სოფელმა იფი-ქრა, იფიქრა და ჩვენს გოგიას გამოუგზავნა დეპუ-ტაცია: ჩვენო გიორგიო, ადვოკატთან ნამყოფი კაცი ხარ, კანონები კარგათ გეცოდინება, მო-ბრძანდი სამშობლოში და მამასახლისად ამოვირ-ჩევთო. კენჭის ყრა ერთი კვირის შემდეგ ექნება!

ცქვატ. (იღბება) ჰოო! მე კი სულ სხვა შეგონა! სოფელმა სთხოვა?

ტყაფაძე. დეპუტაცია მე თვითონ ვნახე. წასვლასაც აპირობს, თუ ნებას მისცემ.

ცქვატ. მაშ ჩვენი გოგია კენჭს იყრის? თუ იცი ამოირჩევენ?

ტყაფაძე. რაკი სთხოვეს, დიახაც ამოირჩევენ.

ცქვატ. მერე ახლანდელ მამასახლისს პარტია არ ეყოლება?

ტყაფაძე. ეყოლება მარა, რას გახდება? სოფელში კაცს მალე იცნობენ. არჩევის დროს, მის მხარეზე არა კაცი აღარ დარჩება, ყველა გოგიას მხარეზე გადავა.

ცქვატ. შეხედეთ ერთი! საზოგადოებამ სთხოვა?! ცოდვა კი არის, რომ არ გავუშვა! მეც რომ მჭირია? ახლა თასი თავში ტეხა მომელის. (ზარს აწკარუნებს) ვკითხო მაინც! (გოგია შემადის) მაშ, შენ მამასახლისობას აპირობ?

გოგია. რა ვქნა, ბატონო, სოფელი მთხოვეს, უნდა დავმორჩილდე!

ცქვატ. ჩემო გოგია, შენ მუდამ ჩემი ერთგული იყავი და თუ შენ გულით გინდა წასვლა, მე ვერ დაგაკავებ, მარა აქ რომ ძალიან მჭირიხარ?

გოგია. საჭიროების დროს, ბატონო, როგორც შემატყობინებ, მაშინვე ჩამოვალ. ჩემი სოფელი შორს არ არის. თქვენც ბრძანებულხართ იქ, დევდარიანები რომ არიან, იმ სოფელში ვიქნები.

ცქვატ. დევდარიანები?! გრიგოლ დევდარიანიც იქ ცხოვრობს?!

გოგია. დიახ, ბატონო! თავათ იმ სოფელშია!

ცქვატ. მაშ შენ იქ იქნები მამასახლისად? კარგი! (დადის და ფიქრობს) იქაც საჭირო დარჩები! ბანკის კენჭის ყრა რომ იქნება, მაშინ არ შეგიძლია ჩამოხვიდე?

გოგია. კი, ბატონო, კი ჩამოვალ! ჩემს მეგვარეებს ადგილი აქვთ დაგირაგებული, კიდევ შემეხვეწებიან, რომ წამოვიდე.

ტქვიტ. შენ ვეჭილობაც შეგიძლია გამოართვა და კენჭის ყრაზე ხმა გექნება... ნებას გაძლევ წახვიდე, ღმერთმა ხიერი მოგცეს. მეც ჩემის მხრით შესაფერ საჩუქარს ვაგატან.

გოგია. დიდათ გმადლობ, ბატონო, და გთხოვ ჩემს მაგიერად ჩემი უმცროსი ძმა მიიღოთ. ერთ კვირას კიდევ მოვიცდი აქ და გამოვაჩვევ თქვენთან სამსახურში!

ტქვიტ. ალბათ შენსავით მარჯვე იქნება, დიდის სიამოვნებით მივიღებ! იცი, სოფელმა რომ პარტიობა არ გასწიოს შენს წინააღმდეგ, მე პრისტავს მიგიწერ წერილს.

გოგია. არაა საჭირო, ბატონო, მიწერა! თუ სოფელს ჩემი არჩევა უნდა, ისედაც ამომირჩევს. ძალად არჩევას არც ვიკადრებ. ლუკმა-პურს, სანამ ჯანი მაქვს, ყოველთვის ვიშოვნე!

ტქვიტ. შენი ნებაა, კარგი!

გოგია. თქვენიც დიდი მადლობელი ვარ შემწეობისათვის, ბატონო პეტრე!

ტყავაძე. (გაჯავრებით) ვინაა, შენი პეტრე! ახტი მუჟიკ! შენი ბატონიც მე პეტრე მიხეილიჩს შეძახის და შენ არ გეკადრება!

გოგია. პეტრე მიხეილიჩ, უკაცრავათ, ბატონო, მადლობელი ვარ, პეტრე მიხეილიჩ! (გადას)

ტქვიტ. ძალით არჩევას არც ვიკადრებო, შეხედეთ ერთი! მადლი ძალად არჩევასა აქვს, თორემ ნებით ვის ირჩევენ ხიერიან თანამდებობაზედ? (ფიქრს ერთობა და სურათს ათვალიერებს კედელზედ). მაშ, შენ, პეტრე მიხეილიჩ, არ გცოდნია ის, რაც მე მაწუხებს!

ტყავაძე. ვინცხამ სთქვა რაცხა, და მე ცალი ყური მოგვარი, მარა მართალიკი არ ვიცი.

ტქვიტ. გუშინ მე მომივიდა ლაპარაკი ერთ კაცთან...

ტყავაძე. ლაპარაკი, თუ ჩხუბი? მგონებ გრიშამ გაგაჯავრათ.

- ნქობ.** შენ საიდან შეიტყვე.
- ტყაფაძე.** ბულვარში ლაპარაკობდენ!... დევდარიანი ყვირის, ვცემეო!
- ნქობ.** ნუ თუ მართლა! სჩანს აღარ ხუმრობს. არაფერია, გავსწორდებით!.., კენჭის ყრის თაობაზე ხომ არაფერი გაგიგონია?
- ტყაფაძე.** ერთმა ვაჭარმა მითხრა: დღეს ცქვიტიშვილმა ისე დაბლათ და ზრდილობიანათ დამიკრა თავი, რომ მგონებ კენჭის ყრას აპირობსო!
- ნქობ.** ის ვაჭარი ტუტუცი ყოფილა! მე საზოგადოთ მაქვს ჩვეულება, თავი ყველას დაბლა დავუკრა! ეჰ, სულ ერთია, რაც უნდა სთქვან!... ასეა თუ ისეა, მე დევდარიანთან ისეთი შეტაკება მომიხდა, რომ ის უსათუოდ უნდა გამოვაგლო ბანკიდან.
- ტყაფაძე.** კაი და კეთილია, თქვენი მშვიდობა იცის! თქვენ ხომ არ აპირობთ მმართველად ყოფნას?
- ნქობ.** ჯერ მე თვითონ არ ვიცი, რას ვაპირობ! უნდა ვიმოქმედო, დიდებული რამე უნდა გავაკეთო, სიკვდილ-სასიცოცხლოთ უნდა შევებრძოლო, მაგრამ როგორ, რა ნაირად, ეს კი ჯერ კარგათ ვერ გამომიჩვენია. ყველაფერი უნდა ავწონ-დავწონოთ და წინ-და-წინვე მოვიფიქროთ. მოდი აქ, პეტრე შიხელიძე, აქ დაჯექი. შენ ხომ სულითა და გულით დახმარებას გამიწევ? ხომ არ მილალატებ! (ჯდება).
- ტყაფაძე.** (ნელ-ნელა ამოიღებს ჩიბუხს, თუთუნს ჩაჭურის და მთუკიანებს) მე როდის გილალატე, ახლა რომ მეკითხები! ჩვენ ჯერ არ შეგხვედრია ისეთი საქმე, რომ გულით მოგვენდომოს და არ გაგვეკეთებოს. რისი უნდა გვეშინოდეს?! ჯერ საქმე არც დაგვიწყია და ასე მალე ბედი ხელს გვიწყობს. ჩვენი გოგია რომ დევდარიანის სოფელში მამასახლისად იქნება, ეს არაფერს ნიშნავს?

ცქავტ. რა თქმა უნდა, გამოგვადგება, იქაურ აგენტად და შეთვალყურედ გვეყოლება, მაგრამ ვაი თუ არ ამო-
არჩიონ! იქაური პრისტავი ჩემი კარგი მეგობარია,
უსათუოდ მივწერ წერილს.

ტყავაძე. ბატონო, გოგიას ნუ გაუხდით საქმეს საპოლიციოთ,
ისედაც ამოირჩევენ და პრისტავის შემწეობა ხალხში
სახელს გაუტებს.

ცქავტ. კარგი, კარგი! ოლონდ-კი ამოირჩიონ და მეტი
არაფერი მინდა... პეტრე მიხეილიჩ! იცი, მე რაღ-
აც რწმენა დამებადა, რომ, თუ გოგია იქ ამოირ-
ჩიეს, მაშინ აქ მეც ამომირჩევენ.

ტყავაძე. ღმერთმაც ჰქნას, მე გოგიას არჩევაში ექვი არა
მაქვს.

ცქავტ. განა ჩემს არჩევაზე კი გაქვს ექვი?

ტყავაძე. დარწმუნებული ვარ, რომ დაბოლოს ჩვენ გავი-
მარჯვებთ, მარა საშიშარი და ძნელი საქმეა. ბრძო-
ლა სასტიკი იქნება! თუ არ ვეცადეთ, იქნება,
კიდევ გვაჯობოს.

ცქავტ. (აღგება) პეტრე მიხეილიჩ, ამიხსენი ყველაფერი, არა-
ფერი დამიმალო. პროცესებში შენ ისე მშვენიე-
რათ მიხვდები ხოლმე, რა კითხვასაც მომცემს და-
ცვის დროს პროკურორი, რომ სწორედ გულთმი-
სანი ხარ. წარმოიდგინე ახლა, რომ შენ ხარ ვი-
თომ დევდარიანი. მე ნაფიცი ვეჭილი ცქვიტიშვი-
ლი ვარ და გამოვდივარ თქვენს წინააღმდეგ!

ტყავაძე. მე სკამზე ვზივარ, და თქვენ კი ფეხზე დგებართ.
ცქავტ. არაფერია, ფეხზე დგომით მე უკეთესათ მეხერხება
ლაპარაკი!

ტყავაძე. მე ვზივარ ბანკის მმართველის სკამზედ.

ცქავტ. (ღიმილით) ჰოო, ესე იგი, თქვენ დაკავებული გაქვთ
პოზიცია!

ტყავაძე. დიახ. პოზიცია მაგრათ მაქვს დაკავებული. ეგერ
რომ თავისუფალი სკანია, იქ შეგიძლიათ დაბრძანდეთ.

- ტქვიტ.** არა, მე მაგ სკამზე მინდა დაჯდომა.
- ტყაგაძე.** აბა, ჯერ აქედან მე უნდა ჩამომავდოთ... ეს ხომ ძნელი საქმეა, მარა, რომც ჩამომავდოთ, იქნება თქვენ ვერც მოახერხობთ ზედ დაჯდომა და სხვა ვინმე წამოსკუბდეს.
- ტქვიტ.** თქვენი ჩამოგდება და ჩემი დაჯდომა ერთად უნდა მოხდეს. ჩვენ ერთად ვიყრით კენჭს და მე გამათეთრებენ და თქვენ კი გაგაშავებენ.
- ტყაგაძე.** მე თავმოყვარე კაცი ვარ. თქვენზე ნაკლებად შეც არ ვეცდები. სიმდიდრეც ხელს შემიწყობს. ბევრს დაეხარჯავ. დიდი ნაცნობობა და ნათესაობა მყავს. დიდი გვარის პატრონი ვარ, სწავლაც, მიმიღია, კარგი ლაპარაკიც შემიძლია. ყველაფერს ისე მოვაწყობ, რომ მე გავთეთრდები და თქვენ ყუთში კი სულ შავი კენჭები ჩარიხინდებიან.
- ტქვიტ.** ოცი, ოც და ათი კენჭი იქნება შავი მომივიდეს და რამდენიც უნდათ, იმდენი ირიხინონ!
- ტყაგ.** ოც და ათი შავი კენჭი რა უნდა იყოს? ესტატე პეტროვიჩი, ყორანი გინახავსთ?
- ტქვიტ.** მინახავს მარა, რატომ ახსენებ, ცუდი ნიშანია!
- ტყაგ.** თუ გინახავს, აბა ისე გაშავდები, როგორც შავი მამალი ყორანი!
- ტქვიტ.** (შეკრთება) ეს რა შედარებაა! თვითონ დევდარიანი დაემსგავსება მამალ ყორანს. (ჩაფიქრდება და სიარულს მჩქეფება). ჩვენში ადამიანის გაშავებისთანა ადვილი არაფერია! მე შევადგენ სასტიკ ოპოზიციას, შევავრთებ ყველა მოწინააღმდეგებს და საზოგადოებას დაფუძტიცებ, რომ დევდარიანის — თქვენ ბანკის — ხური მავნებელია და თქვენს ხელში ბანკიც დაიღუპება.
- ტყაგაძე.** არავინ დაგიჯერებს. სარევიზიო კამისია სულ ჩემს ქებაში იქნება.

- ტკბობ.** საზოგადო მოღვაწეობაში თქვენ მოქმედებდით ამა-
ყათ და ამიტომ ბევრი პირადი მტრები გაიჩინეთ.
სესხის გაცემაში და სარგებლის მოთხოვნაში თქვენ
დიდს სასტიკობას იჩენდით და ამიტომ უკმაყოფი-
ლოც ბევრი გყავსთ.
- ტყაფაძე.** კანონი ასე მოითხოვდა!
- ტკბობ.** ჩვენს ხალხს სასტიკობა არ უყვარს. ყველა უკმა-
ყოფილო დიდის სიამოვნებით გადმოვავა ოპოზიციაში.
- ტყაფაძე.** ჩემს მხარეზედ იქნება მთელი ინტელიგენცია, მთე-
ლი თავად აზნაურობა და მოქალაქენიც. თქვენ რა
უპირატესობა გაქვთ, რომ გამარჯვება თქვენ დაგრ-
ჩეს!! რით შეშედრებით მე?!
- ტკბობ.** მეც მიმიღია უმადლესი სწავლა. კარგის და ნიჭიე-
რი ადვოკატის სახელი მაქვს გავარდნილი. თვალ ტა-
ნადობითაც არ ვარ დასაწუნი. ლაპარაკი შემიძლია...
- ტყაფაძე.** ათი კაცის ოდენი!
- ტკბობ.** იმდენი მაინც, რომ ერთი კაცის გაშავება შევიძლო.
ყველასთან კარგ განწყობილებაში ვარ. მთავრო-
ბაც კარგის თვალით მიყურებს. გუბერნატორთან და
პროკურორთან კარტს ვთამაშობ! კლიენტები აუ-
არებელი მყავს.
- ტყაფაძე.** კლიენტები რას გიშველიან? გუბერნატორს ხომ
კენჭი არა აქვს და არც მისი დამტკიცებაა საჭი-
რო... ტყუილათ თავი არ შეირცხვინო... ყორანი
გინახავს?
- ტკბობ.** ჰო, რას ჩააცივდი ამ ყორანს, მეორეჯერ აღარ
წამოგცდეს, (დადის გულმოსუფი). შენ მაგას გულით
ამბობ?
- ტყაფაძე.** დიახაც!
- ტკბობ.** მაშ შენის ჭკუით მე დავმარცხდები?! ადექი მაგ
სკამიდან! შენი თუთუნით ააყროლე აქაურობა! ნუ
თუ უნდა დავმორჩილდე? ამდენი შერცხვენა და
დამცირება უნდა შევქამო?

ტყაფაძე ბევრი დამცირება შეგიქამია და ახლბ რა მოხდა ისეთი, რომ ვერ მოინელო? (ზანტათ ღგება).

ტყაფაძე. პეტრე მიხეილიჩ, შენ არ გრცხვენია მაგისთანა სიტყვებისათვის? სადაურს მეუბნები?

ტყაფაძე. მე არაფერს გეუბნები? ჩემის პირით ხომ დევდარიანი გეუბნებოდა.

ტყაფაძე. ჰო, კარგი, გეყოფა, ახალა შენ მითხარი, შენ რა აზრისა ხარ? იცოდე კი, რომ დამარცხებას სიკვდილი მირჩევნია. მოიფიქრე კარგათ, მირჩიე, და მებმარე, მანუგეშე... შენ კარგათ იცი რა იყო, ჩემი სიცოცხლე აქამდის?—ერთი უშინაარსო სიარული სახლიდან სასამართლოში და იქიდან საყვარლებში. ვნ წელი შემისრულდა და ახლა ვიგრძენი ნამდვილი სიცოცხლე, ვიგრძენი ახალგაზღვრი სიკაბუკე.

ტყაფაძე. ციცინოს მიზეზით?

ტყაფაძე. არ დაგიმაღავ, ციცინოზედ ამომდის მზე და მთვარე. მხოლოდ მასში ვპოვე ცხოვრების მიზანი და ნუ თუ გაგიკვირდება, რომ დევდარიანს, იმის გულისთვის თავი შევაკლა? იმან ციცინოს წართმევა მომინდომა, მის წინ შემარცხვინა და თუ კიდევ დამიჯაბნა, ხომ სულ წამართმევს! როგორ შემეძლია მოვითმინო?

ტყაფაძე. ვიბრძოლოთ, ჩემო ბატონო, მთელი ქვეყანა შევაწრიალოთ, ნუ დავზოგავთ ნურაფერს, ვიმოქმედოთ წინდახედულათ და მარჯვეთ, დავტრიალდეთ და ჩვენი გავიტანოთ! პირველათ ხომ არ გვიწევს გაჭირვებასთან შებრძოლება?! მხოლოდ თქვენ ნერვები დააწყნარეთ და ჩემებურათ—ტყავაძურათ—იმოქმედეთ... რამდენი კენჭი გვჭირია?

ტყაფაძე. ვნ1 მაინც?

ტყაფაძე. საკმაო ფული გვაქვს?

ტქობ. უნდა ვიშოვნოთ, მეტი რა ღონღა. რაც მაქვს, სულ ამ საქმეს ვანაცულებ!

ტყავაძე. აბა, შეეუდგეთ საქმეს! გამარჯვების პარველი საბუთი იქნება ის, რომ დევდარიანმა მზადება არ შეგვიტყოს. ის დავარწმუნოთ, რომ ჩვენ გლახები ვართ და ვითომ არაფერს არ ვაკეთებთ. ისე საიდუმლოთ უნდა ვიმოქმედოთ, რომ როდესაც იერიშს მივიტანთ, დევდარიანი სახტათ დარჩეს.

ტქობ. თანახმა ვარ, ძალიან კარგი!

ტყავაძე. ნასწავლი კაცები ბლოკათ უნდა გადმოვიყვანოთ ჩვენს მხარეზედ, ამასთან ყოველივე კუთხეში ჩვენ საიმედო და მარჯვე აგენტები უნდა ვიყოლიოთ.

ტქობ. მეც მაგას ვფიქრობ. ამ აგენტების არჩევა მე შენთვის მომინდვია, ჩემო პეტრე მიხეილიჩ! შენ დამინიშნებარ კამანდირად!

ტყავაძე. კამანდერი თვითონ შენ ხარ, მე კი ისე მაჩანჩალად ვიქნები.

ტქობ. მაჩანჩალას სახელს როგორ გაკადრებ! მე თუ კამანდერი ვარ, შენ უნდა იყო ჩემი შტაბის უფროსი გამგე. შენთვის მომიცია მე ეს საპატიო თანამდებობა.

ტყავაძე. (ღიმილით). დიდათ გმადლობ, ჩემო ღენერალო! მარა ამ საპატიო თანამდებობის პატრონს, თქვენი შტაბის უფროსს, რამდენ ჯამაგირს უნიშნავთ?

ტქობ. ჯამაგირს? ეს კი ჯერ არ ვიცი! თუ მტერი დავამარცხეთ, ჯილდრც მეტი იქნება!

ტყავაძე. ესტატე პეტროვიჩ, ჩემთვის უმჯობესია წინ-და-წინვე ვიცოდე ყველაფერი. მე ღარიბი კაცი ვარ. გამოსაზრდელი შვილები მყავს. ახლა თუ სული მიდგია, იმით რომ, თქვენგან ჯამაგირს ვიღებ, და ორიოდ გროშს ისეც ვშოულობ, ვინმე ვინმეებს თხოვნებს ვუწერ და სასამართლოში გზას ვუჩვენებ. ამ საქმის შემდეგ კი ბევრი მტერი გამიჩნდება, სასამართლოს ახლოც არ გამატარებენ. შენ რომ

ბანკის უფროსი გახდები, ადვოკატობას თავს დაანებებ და მეც შენთან ადგილი დამეკარგება. შენ მოიგებ და მე კი წავაგებ.

ცქვატ. ოღონდ ბანკში ამომირჩიონ და შენთვის იქ მზათ მაქვს მშვენიერი ადგილი.

ტყაგაძე. იქ რა ადგილი უნდა მომცენ, უსწავლელი კაცი ვარ!

ცქვატ. შენ ამოგირჩევთ დამფასებლად. მშვენიერი ადგილია—კარგი ჯამაგირი, სრული თავისუფლება, უთვალავი საგზაო ფული, და დაფასების დროს ქეიფი და მხიარულება. მეტი რაღა გინდა!

ტყაგაძე. ოცენჩიკობა კაი პენსიაა, მარა ათასი მგელი უყურებს და შეიძლება მე არც ამომირჩიონ. ახლა კი ჩემი ერთი შვილი ღემნაზიას ათავებს. ის რით გავგზავნო უნივერსიტეტში. უბრალოთ თავის განწირვა ჩემის მხრიდან სისულელე იქნება.

ცქვატ. სხვას რომ ვუმტყუნო, შენ მაინც დაგაკმაყოფილებ და შენს შრომას ღირსეულათ დავაფასებ. მაგრამ ხომ იცი, ფულები ბევრი არა მაქვს.

ტყაგაძე. ფულები გვეყოფა, ბატონო, მარა ერთი საქმე მაინც უნდა გირჩიოთ.

ცქვატ. მაინც რა?!

ტყაგაძე. ჩვენ რამდენიმე პირისაგან უნდა ვისესხოთ ფულები!

ცქვატ. სარგებელს დიდს გამოგვართმევენ! არ ღირს!

ტყაგაძე. კარგათ მოიფიქრე! ვინც შენ ფულს გასესხებს, ის კენჭის ყრაში წავა შენს წინააღმდეგ, თუ არა?

ცქვატ. ვინ იცის, იქნება წავიდეს.

ტყაგაძე. სულელი იქნება თუ? რომ გავაშავონ, რას მოიიგებს, იქნება თავის ფულიც ვერ მიიღოს უკან. ის უსათუოდ ეცდება მმართველად შენ გაგიყვანოს, რომ ფული ადრე დაუბრუნო, და ამასთან რომ ბანკში თავისი კაცი ჰყავდეს, მაგალითად, რამდენ

ნიმე ათასი მანათი რომ გამოართვათ ფრანგული-
ანცს, რმდენიმე ისაკა აბალაშვილს, და კიდევ ვინმე
მაგისტანას, ხომ ძალიან შემწეობას გაგიწევენ.
ფული შეიძლება არც დავხარჯოთ და სადმე შევი-
ნახოთ.

ტკბილ. მერმე სარგებელი?

ტკბილ. ვიანგარიშოთ! თქვენის აზრით, რა ღირს თითო
კენჭი? ავიღოთ 15 თუმანი.

ტკბილ. 15 თუმანი ძალიან ძვირია!

ტყავაძე. ნუ, ათი თუმანი ვიანგარიშოთ, 5 თუმანი ხომ
მაინც ღირს! შევარცხვინე ის მოკენჭე, ვინც ნა-
კლებათ დაათასოს. აბალაშვილს ხომ კი ექნება
30 კენჭი მაინც.

ტკბილ. 40-ც ექნება.

ტყავაძე. ფრანგულიანცასც ბევრი მოკენჭეები ჰყავს ხელში.
ამდენი იმასაც ეყოლება. ვიანგარიშოთ იმისიც 30
კენჭი. (ჩადის ჩათქვზე) სულ ორივესი 60 კენჭი.
ვთქვათ, რომ 20 კენჭი დაიკარგა, დარჩება მაინც
40 კენჭი, რაც დიდ თანხას შეადგენს. ხუთ თუ-
მნობით რომ იანგარიშო, ისიც აგერ 2,000 მანათს
ის გააკეთებს. მიხვდი ახლა, ვინ არის მოგებაში?
ტკბილ. მაგ ოპერაცია ჭკუასთან ახლოა! მაგრამ მასესხე-
ბენ კი?

ტყავაძე. მე ვისესხებ თქვენის სახელით, რამდენიც გინდათ!

ტკბილ. (ჩაფიქრდება) ჩემს კრედიტორებსაც ინტერესი ექნე-
ბათ ჩემს არჩევაში! მაშ ვალეები უნდა ავიღოთ,
რაც ჭირივით მეზარება! ოხ, რამდენი ხათაბალა,
რამდენი წვალეა მომელის, გავიმარჯვებ თუ არ,
ისიც ვინ იცის? კიდევ მოვითმინოთ ცოტა, ვიფი-
ქროთ!

ტყავაძე. მშვიდლობით ბრძანდებოდეთ, პეტი რალა ფიქრი
გვინდა! მე ციციწოსთან მივდივარ!

ტკბილ. ციციწოსთან? იქ რალა გინდა?

ტყაფაძე. დევდარიანს წაუყუყვან და ვეტყვი, თუ ღმერთი გრწამს, თავი დაგვანებე და ციციხო ღმერთმა მოგახმაროს მეთქი.

ტკობ. მეორე ჯერ აღარ გაბედო მაგის გახსენება? შენ წადი და ფულების შესახებ საქმე გაარიგე!

ტყაფაძე. შე დალოცვილო, ასე გეთქვა და ქე იყო! მაშ საქმეს შევუდგეთ?

ტკობ. უნდა შევუდგეთ! შენ ყველგან უნდა დამეხმარო და შემეწიო! ციციხოსთან ახლა მართლა გაიარე. საცოდავი, ძალიან აღელვებულია. იმას ეგონა, მე უცოლო ვიყავი. ძალიან ჯავრობს. უნდა დავაწყნაროთ, უნდა დავარწმუნოთ, რომ მისი ახლანდელი მდგომარეობა სრულებით არ არის სასირცხლო და სათაკილო! უნდა შევაჩვიოთ ამ აზრს. მე ძალიან კარგათ შემიძლია, მეორე ოჯახიც შევინახო. შენც მოელაპარაკე, უფრო დაგიჯერებს, გამოცდილი კაცი ხარ.

ტყაფაძე. მაგისთანობაში მაინც ძალიან გამოცდილი ვარ. შენ ხელა რომ ვიყავი, ბარე ხუთი ცოლი მყავდა. ახლა, მე უბედურს, ამ სიბერის დროს აღარც ერთი აღარ მყავს. კანონიერი ცოლი წამართვა ღმერთმა და უკანონო ცოლები კი—ჩემზე უკეთესმა ბიჭებმა.

ტკობ. დაიყინა, შენი კანონიერი ცოლი უნდა ვნახოვო. ურჩიე, აქ არ მოვიდეს, თორემ ჩემი ქრისტიანე იმასაც და მეც თვალებს ამოგვთხრის. ჩემი ციციხო...

II

ქრისტინე (ქართულათ გამოწყობილი შემოდის და უკანასკნელ ფრანზას უურს მჭკრაჯს). თვალეხსაც ამოგთხრი და მეცსაც გიზამ. რა დაგემართა, რომ სულ იმის ხსენებაში ხარ. (ტყაფაძე ჩუმათ მიიპარება).

ტკობ. მე, ისე... გამახსენდა!

- ქრისტე.** ტატო, შენ ძალიან ცუდლუტობ. ძალიან გაგიტაცა იმ დაწყევლილმა. ემაგ წვერებში ერთ ღერ ბლანს არ შეგარჩენ, შე უნამუსოვ!.. ჩემისთანა ცოლი სახლში გყავს, მარგალიტსავით შეიღებით დაყურსული ხარ და კიდევ იძახი, ციცინო, ციცინოო (აჯაჯრებს).
- ცქვობ.** ქრისტინე, რა მოხდა ასეთი, რა დაგემართა! ამდენ ხანსაც კი მყოლია, საყვარლები, მარა არაფერი ვითქვამს.
- ქრისტე.** ახლა სულ სხვაა! ლამეც კი გელანდება! ჩემო ციცინოვო, რაღაც დუელიაო! შავი ტყვია მესროლესო. აქ პეტრე მიხეილიჩთან ამდენ ხანს სეკრეტობ! ფერიც აღარ გაქვს, რა გემართება! არ უნდა იცოდეს შენმა კანონიერმა მეუღლემ? მოდი აქ. (ხელს წააფლებს) აქ დაჯექი (ერთად დაჯდებიან). რა ამბავია! სთქვი! რას გაჩუმებულხარ?
- ცქვობ.** აღარ შემიძლია, ასე ცხოვრება, რას მახრჩობ, რად მისპობ თავისუფლებას? მე დიდ უბედურებაში ვარ გაბმული და შენ კიდევ გულს მიფუჭებ.
- ქრისტე.** კაცო, რა უბედურებაა, რატომ არ მეტყვი? უწინ არაფერს მიმალავდი? იქნება გინდა შენის ხელით გამომჭრა ყელი და ციცინოსთან გადასახლდე?
- ცქვობ** (შეშინებულად) რამდენ გოგოებთან მე გავითამაშებ, ყველასთან თუ გადავსახლდი, აშენებულა მაშინ ჩემი შეიღების საქმე!
- ქრისტე.** მაღლობა ღმერთს! ჭკუა არ დაგკარგვია მაინც! რაღას ჩასცივებიხარ იმ საცოდავ გოგოს, მიეცი რამე და გაუშვი, მიანებე თავი!
- ცქვობ.** ქრისტინე, სწორეთ არ დაგიმალავ, და ისეთი ლამაზი, კეთილი და გრძნობიერი ქალი ჯერ არ შემხვედრია! მე არ შემიძლია, ასე უცებ მივატოვო! შენ ჩემთვის ბევრი ცოდვები გიპატივებია, ჩემო ქრისტინე, მაპატივე ესეც! ვითომ შენ არაფერი იცი!

- ქრისტე.** როგორ შემძლია ჭაპატრო, რომ ღამე ძილი აღარ ჭაქვს იმის მიზეზით? სულ რს გელანდება. მთელი ღამე სულ რაღაცაებს როშავდი!
- ცქვიტ.** ძალიან ცუდ სიზმრებს ვხედავ, უქერიფოთაც ვარ. მგონებ სიცხეც მაქვს.
- ქრისტე.** სტყუი! შენ სიცხე არ უნდა გქონდეს? ახლავე ტერ-მომეტრს მოვიტან და გაგზომავ. (წასვლას აპირებს)
- ცქვიტ.** რა საჭიროა ტერმომეტრი! მე სხვანაირი სიცხე მაქვს, დიდ ფიქრში ვარ.
- ქრისტე.** რა გეშარება, არ იტყვი მაინც?
- ცქვიტ.** მე ახალი თანამდებობა მინდა მივიღო!
- ქრისტე.** რომელი, რა?
- ცქვიტ.** მე მინდა გავხდეთ ბანკის მმართველად—გამგეობის თავმჯდომარეთ.
- ქრისტე.** ჯამაგირი კარგი აქვს?
- ცქვიტ.** ოთხი ათას მანათამლის იქნება.
- ქრისტე.** გამოსარჩენიც კიდევ იქნება მაგდენი?
- ცქვიტ.** რას ამბობ, ბანკში ვინ გაიგონა გამოსარჩენი!
- ქრისტე.** მე რას მატყუებ? გამოსარჩენი ყოველგან არის!
- ცქვიტ.** იქ კი არაფერია. ათასი თვალი გიყურებს. ისე, თუ ბანკის საქმეები კარგათ წავიდა, კარგ დივიდენტსაც მივიღებ.
- ქრისტე.** დივიდენტი ჩინია, ტემლაკი, თუ რა ჯანდაბაა?
- ცქვიტ.** ბანკს თუ მოგება ექნება, მოგების ერთი ნაწილი კანონიერათ ერგება ბანკის მმართველს. რასაკვირველია, როგორც ბანკის უფროსი, ის სხვებზე მეტს დივიდენტსაც აიღებს.
- ქრისტე.** შენ რას მიეღებ-მოედები, პირ-და-პირ მითხარი, გამოსარჩენი რამდენი ათასი მანეთი გექნება!
- ცქვიტ.** ამ დივიდენტიდან შეიძლება მერგოს თითქმის ორი, სამი ათასი. შეიძლება მეტიც!
- ქრისტე.** მეტი არაფერი?

- ცქვიტ.** მეტი რაღა გინდა! წლიურათ 7, ან 8 ათასი მექნება და ცოტ-ცოტა ადვოკატობაც შემეძლია. თანამდებობაც საპატიოა.
- ქრისტ.** მე ჩვენი წარმატების წინააღმდეგი რათ ვიქნები! თანხმობა გამოაცხადე.
- ცქვიტ.** კი დავთანხმდები, მაგრამ ჯერ დიდი ცდაა საჭირო. ის ადგილი ერთ კაცს უჭირავს, რომელიც ნებით არ დამიცლის.
- ქრისტ.** თუ ვინმე ხელს გიშლის, უნდა ჩამოაგდო!
- ცქვიტ.** მეც მაგას ვფიქრობ... შენი შემწეობაც მჭირია!
- ქრისტ.** სამსახური დაწყნარებული გექნება მაინც? ადვოკატობა შენ ძალიან გლალავს!
- ცქვიტ.** ძალიან დაწყნარებული და ადვილი. ჩემ მაგიერათ სულ სხვები იმუშავებენ. მე მხოლოდ 11 ან 12 საათზე შევალ ბანკში და ხელქვეითებს თვალს გადავავლებ. სულ დიდკაცებში მექნება საქმე. შენც პატივისცემა მოგემატება საზოგადოებაში.
- ქრისტ.** ვინაა მოწინააღმდეგე.
- ცქვიტ.** ეხლა ბანკის მმართველად დევდარიანია.
- ქრისტ.** რომელი დევდარიანი?! ეს, ჩვენი გრიშა?!
- ცქვიტ.** ახირებული ქალი ხარ, ღმერთმანი, გრიგოლ დევდარიანი როდის იყო ჩვენი?
- ქრისტ.** რას მიჭქარავ! გრიგოლი ჩემს მამიდას შვილებს უნათლავს.
- ცქვიტ.** მერმე?!
- ქრისტ.** მერმე და იმის წინააღმდეგ როგორ ვაგიშვებ, ნათელ-მირონია!...
- ცქვიტ.** მასე ხომ ყველა ნათესავი და მოყვარე გამოდგება, და ვერც ვერაფერ წარმატებას მივიღებ... მე იმას ავეშალე!
- ქრისტ.** განა შერიგება აღარ შეგიძლია? რას ჩაფიქრებულხარ!

- ცქვობ.** (მოწყენილი კარგ-ხანს ფიქრობს და სხადუმლო კილოთი ეუბნება) ქრისტინე, შენ იცი, რატომ ავეშალე დევდარიანს?
- ქრისტ.** არ ვიცი და არც მინდა ვიცოდე, წადი და ახლავე შეურიგდი, იმასთან ბრძოლა შენ რა ხეირს მოგცემს.
- ცქვობ.** მე, როგორც შენი კანონიერი მეუღლე, ვალდებული ვარ უნდა გითხრა, რომ იმან შენ საზოგადოებაში გაგლანძლა.
- ქრისტ.** სტყუი, უგონებ, იმას ჩემი ეშინია, ვერ გაბედავდა!
- ცქვობ.** ქრისტინე, გენაცვალე, როდის გეუბნებოდი მე შენ ტყუილს? შენი გულკეთილობა რომ ვიცი, შენი ჭირიმე, იმიტომაც არაფერს გიმაღავ! ღმერთმანი, იმან შენ საზოგადოებაში გაგლანძლა! მე წამომიძახა! შენი შავი დაქყანული ცოლის ლეჩაქი დაგახურე თავზეო.
- ქრისტ.** რაო, რაო?!
- ცქვობ.** თავად ამ სიტყვებით მითხრა! შენი შავი, დაქყანული ცოლი...
- ქრისტ.** დაიფიცე ჩქარა შენი შვილები!
- ცქვობ.** გამიწყდეს ჩემი საყვარელი შვილები, სამივეს კუბო ერთ დღეს მენახოს, თუ დევდარიანს ჩემთვის არ ეთქვას—დაგახურე შენი შავი ცოლის ლეჩაქი, თუ ჩემს წინააღმდეგ არ გამოხვიდეთ.
- ქრისტ.** უი, მეეჰ!
- ცქვობ.** შენი დაქყანული ცოლი უფრო ადრე გათეთრდება, ვინემ შენო!
- ქრისტ.** უი ჩემს თვალებს! შენის ყურით გაიგონე... ყველაფერი?
- ცქვობ.** იმან მომკლა კაცი, რომ საზოგადოებაში წამომიძახა. შენ ნუ მომიკვდები, ქრისტინე, ისიც მითხრა, შენი შავი, კოჭლი ცოლი უკეთესი თავჯდომარე იქნება, ვინემ შენო.

- ქრისტე.** უი, ჩემს სიცოცხლეს, რატომ ენა არ ჩაუვარდა პირში, რატომ მიწა არ გასკდა და ქვესკნელმა არ მოიყოლა ის უნამუსო! ის შერცხვენილი! მე რე შენ დაგლახდი? არაფერი უთხარი?
- ცქვიტ.** განა შენს გალანძღვას მე შევარჩენდი ვინმეს? მაშინვე რევოლვერი ვიშიშვლე, მაგრამ გაგვაზავეს და სიკვდილს გადამიჩა! ღუელში მაინც გამოვიწვიეთ ერთმანერთი.
- ქრისტე.** რატომ მაშინვე არ მითხარი?
- ცქვიტ.** აღარ შეგაწუხებ: ვიცოდი, გეწყინებოდა!
- ქრისტე.** ღუელი გქონდათ?
- ცქვიტ.** ჯერ არა, მაგრამ...
- ქრისტე.** მე შენ არ გაგიშობ ღუელში, პირველათ ხომ იმან უნდა გესროლოს? რომ მოგკლას? არა, მე თვითონ ვნახავ დევდარიანს და ამბავს გამოვკითხავ. რაკი იმან მე გამლანძღა, მე თვითონ გავსცემ პასუხს.
- ცქვიტ.** ქრისტინე, შენ ჭკვიან ქალს გეძახიან, მაგისტანა საქმე რამ გაფიქრებინა! იმან შენ იმიტომ გაგლანძღა, რომ ჩემი დამცირება უნდოდა. დაწყნარდი, ჩვენ მაინც სხვა ნაირი ღუელი გვექნება. ერთმანერთს შევებრძოლებით კენჭებით!
- ქრისტე.** როგორ თუ კენჭებით, არაფერი მესმის!
- ცქვიტ.** კენჭის ყრაში ის ეცდება, რომ მე გამაშავონ და მე კი უნდა ვეცადო, რომ ის გააშავონ, და მე ამომარჩიონ მის ადგილზე.
- ქრისტე.** ჰოო, მესმის, მესმის, ძალიან კარგი! იმ კუდაბზიკას ერთს არ ვაღიროებ თეთრ კენჭს! იმას ვასწავლი, როგორც უნდა ქალების ლანძღვა! მე არ ვყოფილვარ ქრისტინე კოდარაძის ქალი თუ ის არ გააშავო! მაშინ ნახავს ვინც იქნება შავი!
- ცქვიტ.** სწორეთ კინალამ მოვკალი, შენი ცოლი შავიც არის და კოქლიც არისო.

ქრისტე. უყურეთ ერთი იმ სულკატანს! ვერ უთხარი, რომ ჩემი ცოლი ბრიუნეტკა რომ არის, იმიტომ არის რიხტიანი თქო! ჰმ, კოქლიც არისო?! კოქლი საცოდავი დედა მისი იყო და ყველა კოქლი ჰგონია! არა, კაცო, იქნება ახლა დაფკოქლდი! ტატო, გენაცვალე, შემხედე ერთი მაინც! (გაივლის და გამოივლის).

ნქვატ (ღიმილით). შენ გენაცვალე, რას ამბობ, კოქლი კი არა, ნამდვილ ჯეირანსავით დაიარები!.. ყველაზედ უფრო იმან გამაბრაზა, რომ მთელ საზოგადოებაში წამომიძახა!

ქრისტე. ქალიც იყო ვინმე?

ნქვატ. (შეუიქრინაძება) ნულარ მათქმევივინებ, ვიცი გეწყინება!

ქრისტე. მე ნუ მოგიკვტე, არ დამიმალო!

ნქვატ. სხვებთან ერთად მარშლის მეუღლეც იქ იყო?

ქრისტე. უი, ჩემს თვალებს, კნენა ტასო?

ნქვატ. ხომ იცი, ამისთანა ამბებს ის არ დააკლდება!

ქრისტე. სადღა გამოგყო ახლა თავი, კნენა ტასომ თუ შეიტყო, ხომ მთელ ქალაქს ეცოდინება! რალა ვქნათ ახლა?

ნქვატ. მეტი რალა დაგვრჩენია? ჩვენ უნდა შევფიცოთ ერთმანერთს, რომ ის მტერი, რომელმაც ჩვენ ასეთი შეურაცყოფა მოგვაყენა, უსათუოთ უნდა დავამარცხოთ, და შევარცხვინოთ! მარა შენ გულკეთილი ხარ, ვინ იცის, იქნება კიდევ აპატივო?

ქრისტე. არას დროს! გამიწყდეს ჩემი ოქროსავით შვილები, თუ დევდარიანს ჩემი გალანძღვა შევარჩინო! ფული რომ არ მეყოს, უკანასკნელ ჩემ ბრილიანტებს დავაგირავებ და ისე გაუხდი საქმეს, რომ ბედს იწყვილიდეს.

ნქვატ. გენაცვალე, შენი ბრილიანტები ჩვენ სრულებით არ დაგვჭირდება. ამ საქმეში გამოგვადგება შენი ჭკუა, შენი გამჭკრიახობა, შენი კაი დარბაისლური საუბარი და ყველაზედ უფრო შენი დიასახლისობა! სა-

ნამ კენჭის ყრა არ გათავდება, სადილები და ვახშმები ჩვენს სახლში განუწყვეტელათ უნდა იყოს. იცი, ქრისტინე, ჩვენი ხალხი პურმარილის ხალხია და სტუმრის ძოყვარეობას ძალიან აფასებს! ვინც ჩვენის პურმარილით გაძლება, ის, იცოდე, არასდროს არ მოგვცემს ჩვენ შავ კენჭს!

ქრისტ. მაგაში ვინ მაჯობებს! ყველაფრით მსუყე ოჯახი მაქვს! მასპინძლობა ჩემი საქმე იყოს!

ცქვიტ. მასპინძლობასთან ერთად — თავმდაბლობაც საჭიროა. შენ, ჩემო ქრისტინე, ხან და ხან წყრომა და ყიჭინი გიყვარს! როდი ვარგა! ჩვენს ხალხს არ მოსწონს სიამაყე და ანჩხლობა! თავმდაბლობით და ტკბილი სიტყვით, თუ გინდა, ყველას კურტანს აპკიდებ!

ქრისტ. შენ მაგის ფიქრი ნუ გაქვს, მე ვიცი სადაც უნდა გაწყრომა. მოკენჭებთან ძალიან თავაზიანათ ვიქნები, მარა შინაურები კი მაინც შიშში უნდა ვამყოფო, თვარა ყველა თავზე დაგვაჯდება! არა, ამის მე არ მეშინია! მე უფრო შენი იმედი არ მაქვს. რანაირათ შეგიძლია შენ გაიმარჯვო იმისთანა ძლიერ მოპირდაპირესთან, რომ კიდევ ლამაზ ქალებს დასდევ! გეყოფა იმათი ტრფიალი! მალე წვერში თეთრი თმაც გამოგერევა, და შენი ახლანდელი არშიყობა ვინღა გაიგონა! გაუშვი ის შენი ციციწო, თორემ ხეირს არ დაგაყრის?

III

ტყავაძე. (შემოგაჩნდება გახარებული) ყველაფერი გავაკეთე, როგორც დამაბარე!

ქრისტ. რა გაყვირებს, წყნარათ ვერ იტყვი! რა გავაკეთე?

ტყავაძე. (ცქვიტიშვილს შეხედავს, ისიც თვალებით ანიშნებს ან გააცხადოს) საქმე! პროცესი ავიღეთ.

ქრისტ. ვისი?!

- ტყავაძე.** ვაქარს, აბალაშვილს ოაცხა საჩივარა ჰქონია და ახლა კი ჩვენ ჩაგვივარდა ხელში.
- ცქვიტ.** ძალიან კარგი საქმეა. ფულსაც კარგს მოგვცემს და იმედი მაქვს კენჭის ყრაშიც მოგვეხმარება.
- ქრისტე.** იმას დიდი ნაცნობობა აქვს, რა თქმა უნდა, დაგეხმარება.
- გოგია.** (შემოდის) ბატონო, ვინცა აზნაურები მოვიდნენ და თქვენი ნახვა უნდათ.
- ცქვიტ.** უთხარი, მობრძანდენ.
- ქრისტე.** მოიცადე, ბიჭო, ჯერ არ შემოიყვანო, შუბლის ქინძისთავი არ გამიკეთებია (გადის).
- ტყავაძე.** (საიდუმლო ხმით). ორივე დიდის სიამოვნებით დათანხმდა! რამდენიც დაგჭირდებათ, წაიღეთო. როდის გამოვართვათ!
- ცქვიტ.** თუ შეუძლიათ, დღესვე მოგვცენ! რაც აღრე ჩავიჭერთ ხელში, უმჯობესია, ჩვენ გული მაგრათ გვექნება. იცი, ჯერ ჩვენ ნასესხები ფული ვხარჯოთ, უფრო დავიჭერთ ეკონომიას. შენც გაისარჯე, ჩემო პეტრე მიხეილიჩ, და მეც დავაფასებ შენს შრომას.
- ტყავაძე.** ახლა რამდენს მომცემ?
- ცქვიტ.** შენ რომელი გირჩევნია, ახლა მოგცე ფული თუ იქნებ მოიცდი და, როდესაც შენ ბანკის დამფასებლად დაგნიშნავ, მაშინ ვილაპარაკოთ ამაზე!
- ტყავაძე.** არა ბატონო, მე ფული ახლა მირჩევნია!
- ცქვიტ.** იქნება შენ არ მოგწონს დამფასებლობა. თუ გინდა, ბანკს რომ მამულები დარჩა იმათ გამგეთ და მომველელად დაგნიშნავ. მიადექი და ჰამე ნელ-ნელა, რამდენიც გინდა, ჩემო პეტრე მიხეილიჩ!
- ტყავაძე.** მაგი წყალობა მერე მიქენი და ახლა კი მე ფულები ძალიან მესაჭიროება. ჩემი შვილი ღემნაზიას ათავებს.

ცქვიტ. მაგაზედ არ გაწყენიებ! კარგი. მოგცემ ახლა 300 მანათს და განხოვდეს, თუ ბანკის უფროსად გავხდი, მე ვიცი და ჩემმა სინილისმა! შენს შეილებსაც მე ვუპატრონებ.

ტყაფაძე. 500 მან. ბატონო, ახლა მომეცი და მერე კი პენსია დამინიშნე და ისეთ საქმეს დავმართებ დედარიანს, რომ, მარტო იმას კი არა, ყველას გამოვყრი ბანკიდან, რომ სულ ჩვენი კაცები ჩავაყენოთ.

ცქვიტ. ხო, კარგი, კარგი! სხვებს რომ დავაკლო, შენ მაინც მოგცემ. ოღონდ კი მარჯუთ იყავი.

ტყაფაძე. შენც უნდა იმარჯვო! ჩვენ პარტიას მეთაური კაცები სჭირია: ავალიანი, ლომთათიძე და მარშალი უსათუოთ ჩვენსკენ უნდა იყვენ.

ცქვიტ. ავალიანი ჩვენია, ამას ცდაც არ უნდა. მარშალი და ლომთათიძე კი იმისკენ იქნებიან. მარშალი იმის ნათესავიც არის.

ტყაფაძე. უნდა ჩვენსკენ გადმოვიყვანოთ.

ცქვიტ. რა ნაირად! როგორ (ფიქრებს) მარშალი გაკოტრების გზას ადგია, მაგრამ ფული რომ შევაძლიოთ თუ მიიღო, ცოტას არ დაჯერდება. თუ არ მიიღო, სულ გადაირევა. კნენა ტასოც მემდურის, ყურადღება არ მომაქციაო!

ტყაფაძე. (თვალის ქნევით) აპირობდა ვითომ რამეს?

ცქვიტ. ორჯერ, სამჯერ კუდიც კი გამიქნია, მაგრამ მე აღარ გავყევი. შემეშინა, ვალებში ჩამსვამს მეთქი!

ტყაფაძე. მეტი ღონე არ არის, ახლა შენ თვითონ უნდა გაუარშიყდე. ძვირფასი საჩუქარი მიაართვა სიყვარულიც უნდა გამუცხადო, მარშალზე მხოლოდ იმას შეუძლია იმოქმედოს, რასაც ეტყვის, იმას გააკეთებებს.

ცქვიტ. ფულები დავახარჯო და რომ მიღალატოს?

ტყაფაძე. (ჩუმათ) ქალი თუ ერთხელ შენს ნებაზე დაიყოლიე, ის შენი მონა-მორჩილი იქნება. ის თუ ჩვენსკენ იქნა, მარშალი როგორ გაბედავს წინააღმდეგობას!

- ცქვიტ.** (ღიმილით) ახირებული კაცი ხარ! მაშ გავუარშიყდე? კაცო, რომ არ მომწონს?
- ტყაგამე.** რას ჰქვია, არ მოგწონს?
- ცქვიტ.** ძალად არშიყოფა დავიწყო?
- ტყაგამე.** რა გიჭირს? მთვარესავით ქალია! მე რომ შენ ხელა ვიყავი, მელიასავით დავძვრებოდი ქალებში. აი, ბეჩა, რომ დამშეული არა ხარ?
- ცქვიტ.** ეჰ, ვნახოთ! ვცადოთ! რაც იქნება, იქნეს. თავს გადავდებ, ოღონდ კი გავიმარჯო. (ფაქსს შემდეგ) კნინას ხელში ჩავიგდებ და მოვიმხრობ, მარშალს შეიძლება ამ მხრით მოუაროთ მარა ლომთათიძეს რაღა ვუყოთ. იმას არც ცოლი ჰყავს და არც შვილი.
- ტყაგამე.** დღეს ბანკის ბუჭგალტერი შემხვდა და ერთი ახალი ამბავი მითხრა. ლომთათიძეს კასსიდან ვილაციისთვის 1000 მანეთი გადაუყოლებია. კასსა უნდა შეავსოს, ფულები არა აქვს. შეწუხებულიაო. იქნებ ამ შემთხვევით ვისარგებლოთ.
- ცქვიტ.** (სიხარულით) დიახაც შეიძლება! 500 მანათს გავუგზავნი სესხად, სამძიმარსაც შეუთვლი და ჩემს წინ ვალდებულად გავხდი. ნეტავი ეხლა სად იქნება (მიგატყეფუნთან და ზაქს ჩამოკრავს.) იქნება ბანკშია. ბუჭგალტერი ჩემი კარგი მეგობარია, იმას ვკითხავ! (აიღებს ტყეფუნის ხელს და გასძახებს) ას ოცი! მზათ არის? ხელს თავის ადგილას, დასდებს დაკეკავს. უპასუხებენ.) მეგრელიძე მანდ არის? ოოჰ! თქვენ ბრძანდებით?(იცინის) დილა მშვიდობის, ეს მე ვარ, მე, ცქვიტიშვილი! კაცო! ეს რა ფათერაკი შეემთხვა ლომთათიძეს!... მაშ მართალია?... საცოდავი! სად არის ეხლა? ჯერ არ მოსულა? ნახევარ საათში ხომ მოვა! აბა ჯერ სახლში იქნება, სხვა რა ამბავია ბანკში? თქვენი პრინციპალი რას შობა? ძალიან გულმოსულია? ოო, მწყერი შეიწვას! მწყერი, (იცი-

ნის) მშვიდობით, მშვიდობით! (ჩამოჰკრავს. გასას-
შორებელ ნიშანს). მაშ, მე ლომთათიძეს მოენახავ ან
და წერილით შევეუთვლი, რომ მზათ ვარ შევეწიო.

ტყავაძე. ლომთათიძე იმით არის საშიშარი, რომ, შეიძლება,
იმას სთხოვონ ბანკის მმართველობა და რადგანაც
იმას კარგი სახელი აქვს გავარდნილი, შესაძლებე-
ლია ის ამოირჩიონ და თქვენ კი ორივე რიყეზე
დარჩებით.

ტყავაძე. ამის წინააღმდეგაც უნდა რამე ვიღონოთ! ეს ჩვე-
ნი დაღუპვა იქნება... უნდა მოვიფიქროთ! გაზეთე-
ბიც მუდამ იმის ქებაში არიან. სწორეთ საშიშარი
კაცია! ეხლაც მოჰყვებიან იმის ზეცაში აყვანას! ერთი
მეგაზეთე მაინც უნდა ჩვენც ჩავიჭიროთ ვინმე.

ტყავაძე. აჰა პა პა! მეგაზეთეებს ნულარ გამახსენებ! ისინი ჭი-
რით მეზარება. ამას წინეთ კინაღამ ჭკუაზე შემ-
შალეს. გაზეთში დამხატეს, ბატონო, მარა რანაი-
რათ დამხატეს? თავი, ცხვირი, პირი—სულ ჩემი
იყო, ტანი კი ფოცხვერის გაეკეთებიათ! ჩემი თავი—
ფოცხვერის ტანზე! ფუი! გაფუჭებული ხალხია
იმათთან საქმის დაჭერაც არ ღირს!

ტყავაძე. ოო, ისინი ძლიერი ხალხია! იმათთან მტრობა ჩვენ
ხელს არ მოგვცემს, უმჯობესია ისინი ამ საქმეში
ჩვენ ვიმსახუროთ! შენ ნუ გეშინია, ამის შესახებ
მე მოველაპარაკები პოეტ ამირინდოს. შენ კი
იმაზე იზრუნე, რომ ახალგაზდები ჩვენსკენ დარჩენ!
ისინი სახელს გაგვიკეთებენ!

ტყავაძე. რამე უნდა შესწიროთ სტუდენტობას! ამას წინეთ
რომ ძველი სტუდენტობის ვალი გაგახსენეს, თქვენ
რომ ბრძანეთ იქაური საამხანაგო კასიდან გამომ-
ყოლიაო, ის მაინც გაუგზავნეთ! ნამდვილ კარგ
დროს იქნება! ორი თუმანი, რომ გაუგზავნო, სამ
გაზეთში გამოაცხადებენ.

- ტკბობა.** ესეც შეიძლება. (ფიქრობს) მე სადმე საზოგადოებაში პატრიოტული სიტყვა უნდა წარმოვსთქვა. ასეთ შემთხვევებისათვის პატრიოტობა ძალიან გამოსადეგი და ხელსაყრელია!
- ტყავაძე.** ჩვენ უნდა გვეშინოდეს ახალგაზდა ექიმის ჩინჩალადის! რაღაც ახირებული კაცია! მამულის სიყვარული სისულელეაო!
- ტკბობა.** ექიმები არ იღებენ მონაწილეობას საზოგადო საქმეებში. ისინი საზოგადოთ გაუნათლებელი და ხეპრე ხალხია. სიტუტუცეში ისინი პედაგოგებსაც არ ჩამოუვარდებიან. არა, მე იმათი არ მეშინია. ჩინჩალაძე მგონებ ცოტას მოიდემოკრატებს, მოიმარქსისტებს... ჰო, მართლა, პეტრე მიხეილიჩ, მე შენ ერთი საყვედური უნდა გითხრა. რად დაუძახე იმას ციცინოსთან, რატომ უფრო გამოცდილი ექიმი არ მიიყვანე?
- ტყავაძე.** ჩემი შორებელი ნათესავია. სანდო კაცია. საიდუმლოს შეინახავს. ბებერი დობტორები მექორეები არიან. ახალგაზდობაში ჩინჩალაძეს კარგი ხმა აქვს... ოციოდე კენჭს მაინც იშოვნის ბანკის კრებაზედ.
- ტკბობა.** მართლა? მაშ კიდევ მოიწვიე! გონორარიც კარგი მიეცი და სულ ჩემს ქებაში იქნება!
- გუგია** (შემოდის). ბატონო, აზნაურები დიდხანია იცდიან, შემოვიყვანო?
- ტკბობა.** რაღას უცდიდი, რატომ აქამდის არ შემოიყვანე?
- ტყავაძე** (ჩუმათ) ეს აზნაურები მეკენჭეები არიან. კარგათ დაუხვდით. (გადის. შემოდის ორი აზნაური, ჩახსნი და ქამარ-ხანჯლებით გამწვობილი. ერთს წმ. გიორგის ჯვარი და ერთი შედალი ჭკილია).

IX

- ცქვიტ.** მობრძანდით, ბატონო, უკაცრავათ! მე აქ თქვენ გელოდებოდით და იქ კი ბიჭმა თქვენ გაუცდევინათ თურმე!
- 1 აზნ.** (ჯვარნი) დილა მშვიდობის, ბატონო!
- 2 აზნ.** მადლობა ღმერთს, რომ მშვიდობით გხედავთ.
- ცქვიტ.** (თავაზიანათ ხელს აწაშვეს) დაბრძანდით, აი აქ დაბრძანდით! რამდენი ხანია აღარ მინახავხართ, ხომ კარგათ ბრძანდებით? თქვენი ცოლშვილი?
- 1 აზნ.** გმადლობ, შენი ჭირიმე, ქე გვიდგია გაჯახირებული სული.
- ცქვიტ.** (შეაჩქარეს) თქვენი სახლობაც ხომ კარგათ ბრძანდება?
- 2 აზნ.** ღმერთმა თქვენი თავი ნუ მოგვიშალოს! ქე ვართ გვარიანათ ღვთისა და თქვენი წყალობით!
- ცქვიტ.** სხვა, როგორი მოსავალია თქვენკენ? ხომ კაი ამინდება?
- 1 აზნ.** ვიღუპებით, ბატონო, ვიღუპებით! რაღა მოსავალი იქნება! ყაძახები ჩვენ ყანებს აღარ მუშაობენ, ჩვენ ამ სიბერის დროს თოხს ხომ ვერ დავიკავებთ ხელში და ქე ვართ ასე გაჭირვებული!
- 2 აზნ.** რაც დამუშავებული გვქონდა, ბატონო, ისიც ქარმა და ავდარმა გააფუჭა. სწორეთ ცუდი ღვთის დავიდე! შიმშილობა მოელის ქვეყნიერობას!
- ცქვიტ.** ყოველთვის ასე ხომ არ იქნება, ამ წელში არ არის მოსავალი, მეორეში ხომ იქნება? ყაძახებს რომ შიმშილით კუჭი აეწობათ, ორივე ხელებით იმუშავენ.
- 1 აზნ.** ნამეტარი გაჭირდა ცხოვრება! ადგილ-მამული აღარაფერ შემოსავალს იძლევა! ხარჯი კი ისევ ძველებური გვაქვს. აქეთ მევალე და ბანკი საშველს არ გვაძლევს. თქვენ ნუ მომიკვდებით, ბატონო, თუ

ასე წავიდა ჩვენი საქმე, ყველაფერი ოხრათ დაგვრჩება!

2 აზნ. არც ერთ კეთილშობილს არ შეგვრჩება ადგილ-მამული!

ტკვატ. დროს მოტანილს ისევ დრო წაიღებს, ნუ გეშინიათ. ვის არ უნახავს გაჭირვება, მარა არ უნდა დავეცეთ! უნდა გავისარჯოთ, უნდა შევებრძოლოთ სხვა და სხვა დაბრკოლებებს. იმდენი სამწუხარო ჯერ რა გაქვთ?

1 აზნ. ამაზედ უარესი თქვენს მტერს და დამაწყევარს ნუ ანახვოს ღმერთმა! ბანკმა ადგილ-მამული გამიყიდა, სარგებლის შემოტანა დამიგვიანდა და ერთი კვირაც არ მომიცადეს. დამიხსენით, ბატონო, მომიხერხეთ რამე, თორემ თავიც უნდა გავიუბედურო და ცოლშვილიც წყალში უნდა გადავყარო.

ტკვატ. ოო, მესმის, მესმის. ეს სულ ბატონი დევდარიანის ოინები იქნება! იმისთანა ამაყი და ოხერი კაცი ბანკში გვყავს უფროსად და აბა რა იქნება. არაფრის შეგეშინდეს. ხვალვე მოვასერხებ, რომ თქვენი ადგილი უკანვე დაგიბრუნონ.

1 აზნ. მაგი ხომ სულ გაკეთება იქნება! თქვენს პირს შაქარი! მაგისთვის ვიკლავ თავს, მარა... აქიდანვე უნდა მითხრა, რას გადამახდევინებ. ღარიბი კაცი ვარ, მარა, მაინც თქვენს წინ სირცხვილს არ ვქამ.

ტკვატ. მე არაფერს არ ავიღებ?

1 აზნ. როგორ თუ არაფერს, აგი რაფა შეიძლება?

ტკვატ. სრულებით არაფერს! მე ამისთანა სამართლიან საქმეებში ფულს არასდროს არ ვღებულობ. აბა, რისთვის მიმიღია უმაღლესი სწავლა, თუ ჩემს მოძმეს არ გამოვადგები? თქვენ ჩემი ხასიათი კარგათ არ იცით და იმატომ გიკვირთ. სწორეთმეწყინება, კიდევ რომ შემადლოთ ფული!

1 აზნ. მადლობელი ვარ, ბატონო, მარა რით შემიძლია გადავიხადო ამდენი დავალება!

2 აზნ. ცოტა რამე, ბატონო, ფაიტონის ქირა მაინც მიიღეთ!

ტკბატ. არაფრამდის! ასეთ საქმეში რომ ფული ავილო, განა ეს ფული მე შემერგება? ჩემი გასამრჯელო და ჯილდო ის იქნება, რომ თქვენ დაგაწყნარებთ და თქვენს სურვილს შევასრულებ. (შეოჯს) თქვენც ამ საქმეზე ბრძანდებით ჩამოსული?

2 აზნ. (მოცხვავთ) არა, ბატონო, მე ცოტა სხვა საქმე მაქვს! ჩემი მამული არ არის ჯერ გაყიდული, მარა ისე აწეწილია ჩემი საქმე, რომ დღეს თუ არა ხვალ მაინც საჯარო ვაქრობით გამიყიდიან. ჩვენში, ბატონო, ხმაი ჩამოვიდა, რომ სახემწიფო ბანკი დიდ ფულსაც იძლევა და სარგებელსაც უფრო ნაკლებს თხოულობს.

ტკბატ. აქ რამდენში გაქვთ დაგირავებული?

2 აზნ. სამი ათასში, მარა შეუბნებიან! იქინეი ათი ათასსაც მოგცემენო.

ტკბატ. მე შემიძლია მოვახერხო, რომ 15 ათასიც მოგცენ.

2 აზნ. მომეხმარე, შენი ქირიმე, თუ თუთხმეტი ათასი მომცეს, მაშინ (საიდუმლო კილათი) იმ ბანკს სულ შევატიებ ჩემ ადგილს და ქია! თქვენ ნუ მომიკვდებით, აღარ დაგიმაღავდა, ოცენჩიკები რომ არ დამეთრო, სამი ათასსაც არ მომცემდენ. ერთხელაც არ შევიტან სარგებელს.

ტკბატ. გადაგირავებას მე მოგიხერხებ, მხოლოდ ადგილის შეტიებას კი არ გირჩევ. შენი შვილები ხომ უადგილოთ დარებიან. თქვენს ნასახლარზეც ვინ იცის სადაურ გადამთიელებს გადმოასახლებენ.

2 აზნ. იმისთანა ხრიაკი ადგილია, რომ მარტო ტურის კივილი დაახრჩობს, ვინც უნდა გადმოასახლონ!

ჩქვბტ. მაგაზედ მერმე მოვილაპარაკოთ! ხხლა კი თქვენ ჩემს სახელზე ვეჭილობა გააკეთეთ და რამოდენიმე თვეში საქმე გათავებული გვექნება. რა თქმა უნდა, ფულს არც თქვენ გამოგართმევთ.

2 აზნ. დიდი მადლობელი ვარ, ბატონო, თქვენისთანა კეთილი და განათლებული კაცი ღმერთმა ნუ მოუშალოს ჩვენს დაბეჩავებულს ქვეყანას. ჩვენც შეგვასახელებთ რამეზე, ჩვენც გვიმსახურეთ. მართალია, დაედარიბდით, მარა მთლად კი არ დავეღლახაკებულვართ!

ჩქვბტ. თქვენ კარგათ იყავით და მოვესწრებით... არა, სწორეთ ძალიან მიკვირს, რომ ერთი კაცი ვერ ვნახე დედარიანის მადლიერი და მაინც ის არის ბანკის თავმჯდომარეთ.

1 აზნ. როგორც მე არ ვარგვარ, ბატონო მინისტერად, ისე არც ის ვარგა ბანკის უმფროსად, მარა ყველაფერი თქვენისთანა ნასწავლი კაცების ბრალია! კენკის ყრაზე, ბატონო, გამოდგებით და იძახით, დედარიანი შესანიშნავი კაცია, ის ამოვირჩიოთო! აბა, ჩვენ რა ვიცით, ვინ ვარგა და ვინ არა! რასაც თქვენისთანა კარ კაცი გვეტყვის, ჩვენც იმას გავიმეორებთ.

ჩქვბტ. ხხლა ის აღარც ნასწავლს კაცებს მოგვწონს და კრდეც გვინდა გამოვცვალოთ.

1 აზნ. ოჰ, ნეტავი მაინც!

2 აზნ. მაგისტვის სამახარობლო გერგებათ!

ჩქვბტ. ნასწავლმა კაცებმა პირ და პირ ვუთხარით, შენის ნებით დაანებე თავი თქო, მარა გაჯიუტდა. მე თავადი ვარ, ვინ გამიბედავს, შავი მომცესო. მე ვუთხარი, მარტო თავადები არ გეყოფა, ახნაურები მოგცემენ შავს მეთქი. იცით რა მიპასუხა?!

1 აზნ. რაი, ბატონო!

2 აზნ. რა თქვა?

- ტქვიტ.** მე მეფის შთამომავალი ვარ. აზნაურები ჩემს ნაყმევებად მიმაჩნია. ვინ გამიბედავს, რომ შავი მომცესო!
- 1 აზნ.** ღმერთო კი მომკალი, ვინ არის მისი ნაყმევი?
- 2 აზნ.** რომ უძგუფებ შავ კენქს, ქე დაინახავს მაშინ!
- ტქვიტ.** თქვენმა აზნაურუკებმა რა უნდა მიქნანო!
- ორივე აზნ.** (გუღმოსუღათ) აზნაურუკებმაო?!
- 1 აზნ.** აგერ ვნახავთ, თუ მარტო თავადები ეყოფა!
- 2 აზნ.** მთელი აზნაურობა შავს მისცემს, მაი სიტყვები რომ სადმე გაამხილოს.
- ტქვიტ.** გაამხილა და გაათავა. იმან საზოგადოებაში წამოგვიძახა, აზნაურებმა რომ ხმა ამოიღონ, პალურის ცემით გავაგდებ კრებიდანო.
- 2 აზნ.** ხომ მალე იქნება კენქის ყრა?
- 1 აზნ.** აბა ვნახოთ ერთი! რაფა გაბედა მაგისტანა უზდექლობა!
- ტქვიტ.** ყველას ძალიან მოგვივიდა გული! დაფუწყეთ ძებნა ისეთ კაცს, რომელსაც კენქის ყრაში მისი დამარცხება შეეძლებოდა.
- 2 აზნ.** ამისთანა კაცი ერთი თქვენ მეგულებით!
- 1 აზნ.** ოხ, ნეტავი ამას იზამდეთ, თვარა რაღა გვიქირს.
- ტქვიტ.** წარმოიდგინეთ, რომ ნასწავლმა კაცებმაც ერთ ხმად მთხოვეს, მარა მე ვერ გავბედე. მე ერთი უბრალო აზნაური ვარ და ის კი თავადია მეთქი!
- 1 აზნ.** დათანხმდით, ბატონო, ჩვენს გვარში ბარე 15 მოკენქეა, ერთი არ დაგაკლდებათ.
- 2 აზნ.** ჩემს გვარშიც ვიშოვნე 10 კენქამდის. მთელი აზნაურობა თქვენსკენ იქნება.
- ტქვიტ.** აქაც ბევრი მეხვეწეს. ვინ იცის, იქნება კიდევ დამიყოლიონ! ჩვენ უნდა დავამტკიცოთ, რომ ჩვენც კაცები ვართ, რომ ჩვენც გვაქვს ძალა!.. ეხ, როგორ გავერთეთ ლაპარაკს (საათს ხედავს) უკაცრავათ, სასამართლოში უნდა წავიდე! აი ვექილობის.

პირი, აქ ხელი მოაწერეთ (აძლევეს შეოჯგუხ აწნ.) და ნოტარიუსს დაამტკიცებით.

2 აწნ.

დიდათ გმადლობ, ბატონო და, აგი საქმე რამე ნაირად კენჭის ყრამდის უნდა გამიკეთო შენი ქირიმე.

ტქვატ.

ოო, რა თქმა უნდა! ფიქრი ნუ გექნებათ!

ქრისტე.

(სიხქარით შემოდის. აწსაუბრები თავს უკრავს). ოო, ეს ყველა ჩემი ძველი ნაცნობები ყოფილა! გამარჯობა თქვენი! ხომ კარგათ ბრძანდება თქვენი მეუღლე? (შეოჯგუხსაც) თქვენი?

1 აწნ.

მოკითხვა შემოგითვალეს, ბატონო.

2 აწნ.

ჩემმა სოფიომაც მოკითხვა დამაბარა!

ტქვატ.

ქრისტინე, ჩვენ საქმეებზე მიგვეჩქარება!

ქრისტე.

მე ხომ არ გაკავებთ! ჯერ საქმე გააკეთეთ და მერე კი გთხოვო (აწსაუბრები) უსათუოთ სადილად ჩვენთან დარჩეთ. იმისთანა ზუთხი გავაკეთებთ კინძ ძმარში, რომ მგონებ, ვერ დამიწუნებთ.

2 აწნ.

რათ სწუხდებით, ბატონო.

1 აწნ.

მადლობელი ვართ, მარა შეგაწუხებთ.

ქრისტე.

ძალიან მეწყინება, რომ არ ძოხვიდეთ! სოფელშიც ცოტა რამე უნდა დაგაბაროთ.

ოჯგუხ აწნ.

(თავს უკრავს) გმადლობთ, გეახლებით, თუ არ შეგაწუხებთ!

ქრისტე.

შემაწუხებთ კი არა, მასიამოვნებთ! შენც არ დაიგვიანო, ჩემო ტატო! მთელი ქვეყანა შენ შემოგყურებს. საცაა კლიენტებიც მოვლენ.

ოჯგუხ აწნ.

(თავს უკრავს) ნახვამდის, ბატონო, მშვიდობით ბძანდებოდეთ! (მიდიან. ტქვატიშვილი თავსაწიანათ გწასი უწვენებს).

ქრისტინე.

ნახვამდის!.. არ დაიგვიანოთ! (კარგაწსასი უყურებს)... იმ კულა ბზიკას ერთს არ ვალირსებ თეთრ კენჭს. (სარკესთან მიბრუნდება და ფიქრის შემდეგ). შავიაო! მაგისთანა მყრალი ენა რომ აქვს, იმიტომაც დარჩა სულ უცოლოდ. (საწერ სტოლზე ქადადებს ადაგებს,

- მერმე. (აბჯანისგან გახედავს) უჰ, როგორ გაუსვრიათ პოლი ამ სოფელელ მურტალ აზნაურიშვილებს (უძახის) გოგია, გოგია! (გოგია შეშაღდის) ყოველთვის მე უნდა გითხრა, შენით ვერ მიხვდები, რომ პოლს გაწმენდა უნდა?!
- გოგია. ახლა მოვდიოდი გასაწმენდათ, მარა ვინცხა ქალი მოვიდა და იმან გამაჩერა. ბატონს კითხულობს.
- ქრისტე. ვინაა, თუ იცი? ლამაზია?
- გოგია. ვინაა არ ვიცი და ვინცხაა კი კია, სწორეთ სურათია!
- ქრისტე. ვინ უნდა იყოს?! კლიენტკა იქნება? უთხარი, შემოვიდეს! (გოგია მიდის) ნუ თუ ის არის? მარა. ის როგორ გაბედავს აქ მოსვლას?

✓

- ცაცინო. (შეშაღდას ჩეღ-ნეკლას მწვენილას სანით). მე ესტატე ცქვიტიშვილთან საქმე მაქვს.
- ქრისტინე. (შევახეთ) სახლში არ გახლავსთ! თუ საჩქარო საქმე გაქვთ, მოიცადეთ, და თუ არა, მერე მობრძანდით!
- ცაც. ისევ მოვიცდი! ეს ხომ მისი ოთახია?
- ქრისტინე. (ცაცინოს ათვალიერებს) თქვენ რა საქმე გაქვთ?
- ცაცინო. (ჩაფიქრებულაა კარგ სანს, მერმე თათქას გონს მოვიდა) ჩემო დიავ, თუ ქალი ხარ, ნუ დამიმაღავ, და მართალი მითხარი, ესტატეს ცოლი ჰყავს?
- ქრისტე. რაზედ კითხულობ? დიახაც ჰყავს.
- ცაც. ნუ თუ მართლა? კანონიერი ცოლი? სჩანს მართალი სთქვა იმ ოხერმა დევედარიანმა! შავი, დაქყანული ცოლი... (აჩქრდება ქრისტინეს).
- ქრისტე. (გაფიქრებული) ოოხ, იმ უსინიღისომ თქვენც შეგატყობინათ? პლურტია, მატყუარაა... ესტატეს დიახაც არ ჰყავს დაქყანული ცოლი!
- ცაც. (სიხარულით) აბა ტყუილი რქვა?!

- ქრისტე.** დიხაც ტყუილი! თქვენსავით ახალგაზდა რომ იყო, ესტატეს ცოლი სილამაზეში თქვენც არ ჩამოვივარდებოდათ! ახლა კი ის სამი შვილის დედაა!
- ცაც.** ვინა?! ესტატეს ცოლი? სჩანს, მართალი უთქვამს. იქნებ ცოლთან აღარ ცხოვრობს?
- ქრისტე.** თქვენ, ვინცა ბრძანდებით, სადაურს მიედებ-მოდებთ! ესტატეს ცოლიც ჰყავს და შვილებიც, როგორც ყოველივე კეთილ სინიდისიერ კაცს.
- ცაც.** მე ჩემი თვალით მინდა ვნახო მისი ცოლი, უთხარით, რომ გამოვიდეს!
- ქრისტე.** ვინა ხარ, რომ ასე გეინტერესება იმის ნახვა? იქნება იმას სრულებით არ უნდა შენთან ლაპარაკი!
- ცაც.** სთხოვე, მე ერთი საბრალო, დატანჯული ქალი ვარ! მშობლების ოჯახს მოწყვეტილი ღმერთო! როგორ დამხნევია გზა! რაღა ვარ ახლა მე? რა თვალით შევხედო ქვეყნიერობას!
- ქრისტე.** (მღვდლებს) მაინც ვინა ხარ, შე საბრალოვ!
- ცაც.** მე ციციხო ამაშუკელის ქალი ვარ.
- ქრისტე.** შენ ხარ ციციხო?! ესტატეს ეხლანდელი ხასა, ციციხო? საბრალოვ, ეს რა მოგვლია? როგორ დაგიღუპავს თავი? რა ვაგიჭირდა ასეთი, რომ ცოლ შვილიან კაცს ხასად წამოყვევი? მე ვარ, მე, მისი კანონიერი ცოლი! თუ გინდა შვილებსაც გაჩვენებ!
- ცაც.** (შეკრახება) თქვენ ბრძანდებით? გამჩენო ღმერთო, დამიბნელე ბარემ მზე და ცოცხალს ნულარ გამიყვან აქედან? რაღა ვქნა ახლა? რა წყალში გადავარდე! მე ხომ ხასად არ წამოგყოლივარ, ცოლად შევირთავო, მითხრა!
- ქრისტე.** შე საწყალო, ვეღარ მიხვდი, რომ გატყუებდა! შენისთანები ბევრი შეუცდენია და მერე მალეც მოუშორებია თავიდან!
- ცაც.** როგორ მომიშორებს, პირობა მომცა, შემომხეცა!..
- ქრისტე.** შენისთანა გომბიო თუ მოიშორა, დიდი საქმე ყო-

ფილა! არ იცოდი, კაცმა თუ დაგვახელა, არ დაგვზოგავს?

წაფ. როგორ მომატყუებდა? ნასწავლი კაცია! გუშინაც მითხრა, სამუდამოთ შენი ვიქნებო!

ქრისტე. შე უბედურო, შენი საიდან იქნება? ათი წელიწადია, ჩემთან ჯვარ-დაწერილია. ჩემი ფულით არის გამოზდილი. მე რომ არ წავყოლოდი ცოლად და ფულები არ მიმეცა, ვერც სწავლას გაათავებდა! შენ როგორ მიბედავ გვირგვინის შეურაცყოფას? ფიქრობ მაინც იმაზედ, რასაც ამბობ?

წაფ. (დაბნეული და გაშტურებული) მე რა ვქნა, რაში ვარ დამნაშავე?.. თვითონაც მითხრა, სიყვარული გვირგვინზეც უმტკიცესიაო.

ქრისტე. მოუჩმახავს! არ დაუჯერო! შენისთანა გამოუცდელ ქალებს მაგნაირი ლამაზი სიტყვებით ლუბავენ!.. ახლანდელი ქალიშვილები რომ ხართ მაინც, დააღებთ ხახას, და თუ კაცმა ერთი გაგიცინათ და გაგეხუნტრუცათ, მაშინვე გამოეკიდებით! ქალის მოტყუებაში—ნასწავლიც და უსწავლელიც—ყველა ერთნაირად უსინიდისო.

წაფ. (ტირილის კილოთ) რაღა მეშველება ახლა? როგორ დავიჯერებდი, თუ ტყუილს იკადრებდა! სულ იმას მეუბნებოდა, შენი სილამაზის მონა ვარო!

ქრისტე. სილამაზესთან თუ ქალს ჭკუა აკლია, მარტო სილამაზე ხომ მახე და უბედურებაა! სილამაზესავით წარმავალია მისი ბედნიერებაც! შენც დაგილუბავს თავი! სანამ თვითონ ესტატე გაგადებდეს, მე შენ გირჩევ, შეეხვეწე, მოგცეს რამე სარჩო და თვითონ მოშორდი, თორემ გაჩენის დღეს დაიწყებელი!

წაფ. მე მოვშორდე? ჩემის ნებით? არასდროს!

ქრისტე. ამას წინეთ მითხრა, ჩემი ახალი საყვარელი ციციწო კიდევ მომბეზრდა და უნდა მოვიშოროვო!

წაფ. არაფრამდის არ დავიჯერებ? ტყუილი იქნება, ესტა...

ტემ ჩემი გულისთვის დევდარიანს აეშალა და დუელიც გამოუცხადა.

ქრისტე. თვითონ შენ სტყუი! იმან ჩემი გულისთვის წაეკრდა!

ნაც. თქვენ არც კი გახსენებიახართ!

ქრისტე. ხმა გაკმინდე! იმან მე გამლანძლა, და იმიტომ აეშალა!

ნაც. სრულებით არა! დევდარიანმა მხოლოდ წამოიძახა, შავი დაქყანული ცოლიო, მარა...

ქრისტე. ჰო და, მაგ სიტყვები რომ არ ეთქვა, არც აეშლებოდა, ახლა მის წინააღმდეგ პარტიასაც ამზადებს.

ნაც. ახლავე აგიხსნით, როგორც იყო, მაცაღეთ!

ქრისტე. ხმა არ ამოიღო! არაფერს არ გაცლი! დევდარიანმა მე გამლანძლა, და შენთან რა ხელი ჰქონდა!

ნაც. დევდარიანი ჩემთან იყო და მაშინ...

ქრისტე. ვინ იყო შენთან? რაიო?

ნაც. დევდარიანი ჩემს ბინაზედ მოვიდა და...

ქრისტე. შენთან მოსვლას არც კი იკადრებდა, შენთან რა უნდოდა?

ნაც. ნეტავი ფეხი მოსტეხოდა და არ მოსულიყო!

ქრისტე. მართო ერთხელ იყო?

ნაც. არა ორჯერ მოვიდა!

ქრისტე. (ეშმაკობით) რა გითხრა? რაზედ იყო?

ნაც. (უფემანაბს) რა ვიცი, უსირცხვილო ყოფილა.

ქრისტე. თქვი, მე რას მიმაღავ, მე შენ დედათ შეგფერი, ნურაფერს დამიმაღავ, რა მინდაო? იქნება გაგიარე-შიყდა!

ნაც. (მორცხვათ) ჩამაცივდა, მომწონხარ და სახლში მესტუმრეო.

ქრისტე. თვითონ, თავის პირით გითხრა, წამომყევით?!

ნაც. (ცოტა გაბეჯულათ) ძალას ვინ ატანდა! კიდევ ბევრი მეხვეწა!

ქრისტე. იქნება ცოლად შერთვაც დაგპირდა?

ნაც. რამდენჯერ მითხრა, თუ წამომყვები, კნენინდაც გაგჩხლიო.

- ქრისტ.** მერე, შენ რა უპასუხე?
- ცაც.** რა უნდა მეთქვა. (მორცხვათ) მე ხომ ესტატეს ვერ ვუღალატებდი!
- ქრისტ.** ვაი შენს თავს, შე სულელო, ბედნიერება კარზედ მოვდგოჩია, და შენ კი უარი გითქვამს.
- ცაც.** რად მინდა მე მაგნაირი ბედნიერება!
- ქრისტ.** შე უტვინო, მთელი ჭკუა რომ მარტო თვალეში და ლოყებში წაგვსვლია, ველარ იფიქრე, რომ დევდარიანი უცოლოა, და თუ სახლში წაგიყვანა, კიდევ ცოლად შევირთავს? შე საწყალო, რას ჩადგხარ? განა ასე სანატრელია ცქვიტიშვილის ხასობა? მალე როსკიპი ქალის სახელიც გაგივარდება. ისედაც მთელი ქალაქი შენზე ლაპარაკობს. წადი დევდარიანთან! თუ იმის კნენა გახდები, მაშინვე გაგიმთელდება გატეხილი სახელი.
- ცაც.** იმან მამაჩემის სახლკარი გამიყიდა! კირივით შემძაგდა!
- ქრისტ.** იმას ნამდვილათ შეუძლია შენი დახსნა! არ დაკარგო შენი ბედი? უთხარი, მეგონა ცქვიტიშვილი უცოლო იყო, თქო, იცოდე, უსათუოდ ჯვარი და აწერინე, ისე ახლოს არ მიიკარო!
- ცაც.** (ფიქრის შემდეგ) იმანც რომ მამატყუოს! მე რომ ტატო მიყვარს!...
- ქრისტ.** იმ ჩემ შვილებს გეჟიცები, რომ ტატოს შენისთანა საყვარლები ბევრი ჰყოლია და მალეც მოუშორებია თავიდან, ჩემი ტატო ყველაფერში კარგი კაცია, მარა ქალებზედ ძალიან წუწყია! სახლში მოსამსახურე ქალებიც კი არ დამიყენა, ახლა ამის მიზეზით სულ ბიჭები მყავს.
- ცაცანო.** ოხ, ღმერთო, მაგას ხომ დედაჩემიც მეუბნებოდა, მეგონა ის მატყუებდა.
- ქრისტ.** დედა შენის გულს ყველაფერი წინ-და-წინვე უგრძობნია! რად დატანჯე ისინი? ალბათ შენის მიზეზით

ველაოც სარგებელი შემოიტანეს ბანკში თავის დროზე, და ამიტომ ბანკმაც გაუყიდა ადგილი. შენ გაუმწარე იმათ სიბერის დღენი! ჯოჯოხეთად გადაუქციე ეს სოფელი. ჯერეც არ შემშრობიათ ცრემლები! თურმე შენი პატარა დაიც სულ ტირის და კითხულობს, სად არის ჩემი ციციწოვო!...

ნაწ. (ოხწრით) ნულარ მეუბნები, კმარა! ნუ თუ იმ ანგელოზსაც ყველაფერი უთხრეს?

ქრასტ. (ენერგიულად) უთხრეს კი არა, ყოველ დღე თურმე ეჩიჩინებიან, ციციწოს თვალეზე სიბნელე ჩამოეფარა, მოატყუეს, შეაცდინეს, შენც ისე დაგემართება, თუ დედ-მამას არ დაუჯერებო.

ნაწ. (ტირებით) რაღა ვქნა ახლა! მართლა სიბნელეში ვყოფილვარ! რა საზიზღარ მდგომარეობაში ჩავეარდნილვარ, რაღად მინდა თავი ცოცხალი!..

ქრასტ. დაწყნარდი, საბრალოვ, არ დალუპო შენი ახალგაზღობა. მე რომ გირჩევ, დედაც ვერ გირჩევს უკეთესს? დამიჯერე (საიდუმლო ხმით) წაყვეი დევდარიანს. გვირგვინოსანი კნენა რომ შეიქნები, ვინც ახლა დაგცინის, ისიც შორიდან მოგცემს სალაშს. მაშინ დედმამაც დიდის სიამოვნებით გაპატივებს ყველაფერს და საზოგადოებაც. დაფიქრდი კარგათ!

ნაწ. (ცრემლებს იწმენდს). არაფრის ფიქრი აღარ შემიძლია! თავი აგერ გამისკდება? რა მიქნა ესტატემ! რა თვალით შემხედავს კიდევ!.. მე აქვე მოუცდი და მოველაპარაკები მაინც...

ქრასტ. ესტატე შორს წავიდა! ის გაცხარებულათ ამზადებს თავის პარტიას! შეიძლება ერთ კვირასაც აღარ დაბრუნდეს.

ნაწ. აბა სადღა წავიდე? ვინ მყავს აქ მის მეტი პატრონი! არც ფული მაქვს, რომ ბანკიდან მაინც დავიხსნა მამა-ჩემის ადგილი.

- ქრისტე.** მაგის ნუ გეშინია, ყველაფერს მე მოგიხერხებ.
- ცაც.** თქვენ როგორ შეგაწუხნოთ! თქვენ ალბათ მემღუროთ!
- ქრისტე.** სრულებითაც არ გემღური, შენ არ ხარ პირველი და არც უკანასკნელი იქნები. მოიწმინდე ცრემლები, ერთი წვეთი ლოყახედ შეჩერებულა! ნუ მომერიდები, ამიხსენი.
- ცაც.** ტყავაძემ მითხრა, მარშალს შეუძლია ბანკიდან გამოიხსნას ადგილიო. 15 თუმანია შესატანი.
- ქრისტე.** მარშალს მე შევუთვლი, რომ დაგეხმაროს, გირჩევ კი ჯერ თვითონ დევდარიანს მიმართო!
- ცაც.** მე ჯერ მარშალს ვთხოვ, მარა ფულები ხომ მაინც არ მაქვს?
- ქრისტე.** მე მოგცემ. შენ ხომ 15 თუმანი გინდა? მე კიდევ მეტს მოგცემ, რომ ჯიბაში ყოველთვის გქონდეს! თავისუფალი ფული კაცს თავისუფლებას აძლევს, რაც დაგჭირდება, იმას გააკეთებ. (ზანს ანაწყუნებს). პეტრე მიხეილიჩი დაბრუნდა?
- ტყავაძე.** (შემოდის). რა გნებავთ?
- ქრისტე.** შენ წახვალ მარშალთან. სთხოვ ჩემ მაგიერ, რომ ამ ქალს უსათუოდ საქმე გაუკეთოს! უნდა შეიტანოთ ბანკში 15 თუმანი. არ შეგაწუხებდი მარა, ბატონი ხომ დღეს შორს წავიდა დიდის ხნით და ციციოს მისი ნახვა აღარ შეუძლია. ხომ ყველაფერი მიხვდი!
- ტყავაძე.** მივხდი! ვეცდები გავაკეთო!
- ქრისტე.** (უჯრას ადებს და ფულებს ითვლის). ესეც 15 თუმანი (აძლევს ციცინოს). და ეს კი 100 მანეთი ჯიბის ფულად გქონდეს.
- ცაც.** (ყოყმანობს). როგორ გამოგართვათ!
- ქრისტე.** აიღე, შე უბედურო, იქნება მამა შენს მაინც წაადგეს რამეთ?

- ტყავ.** აბა ჩქარა წავიდეთ, თორემ საცაა მარშალიც წავა სახლიდან.
- ქრისტ.** წადი, საცოდავო, რა რიგად მებრალეები (მივა და შუბლზე აკოცებს, ფულებსაც ძაღათაძღვეს). წადი, რაც მე გირჩიე, იმის შესახებ კარგათ მოიფიქრე! ესტატეს არაფრამდის არ უთხრა, თუ აქ იყავი, და მე შენ ფულები მოგეცი?
- ცოდ.** (ტიჩილით). გმადლობთ. მე ჩემდა უნებურათ ვარ დამნაშავე თქვენს წინ. მაპატიეთ, მაპატიეთ! (შიდის).
- ტყავაძე.** ჩქარა წავიდეთ, თორემ ათასი საქმეები გვაქვს. (კაჭუყება).
- ქრისტინე** (მარტოდ ჩაფიქრდება). ამისთანა შევნიერი ქალის გაფუჭება ცოდვა არ არის? (დადის). ჩვენ რუსეთში შევიძინეთ უმაღლესი განათლებაო! ფუი, მაგისთანა განათლებას. ერთი კაბის კუდი თუ დაინახეთ, სადღაა თქვენი განათლება! ყველაფერს ნ მანათიანი „შლიაპკა“ დააბნელებს. სულ პლურტები ხართ! პლურტები!
- ტყავაძე** (ნელ-ნელა შემოდის და უკან შეჩერდება, უკანასკნელ სიტყვებსაც გაიგონებს). ჩვენ არ ვართ პლურტები!
- ქრისტ.** (შეკრთება და მისკენ მოტრიალდება) შენ აქ რამ დაგაბრუნა, პლურტების უსტაბაშო!
- ტყავაძე.** ქალბატონო, ის საცოდავი ქალი სად წავიყვანო, სულ ტირის და მოთქვამს. რომ დაწყნარდება, მაშინ წავიყვან. ახლა ჩავაჟინე ფაიტონში და ბინაზედ გავისტუმრე.
- ქრისტ.** პეტრე მიხეილიჩი! შენ ხომ იცი, ვინც არის ეგ ქალი?
- ტყავაძე** (თვალის დაქნევით). ესტატე პეტროვიჩის იგია, იგია...
- რისტ.** შენ უნდა მოახერხო, რომ მაგ ქალი მოაშორო ესტატეს და გაურიგო სხვა ვინმეს.
- ტყავაძე.** შენმა ქმარმა. შტაბის უფროსად დამნიშნა, შენ კი მაქანკლობას მავალებ. სწორეთ კაი ამბავია!

ქრისტე. (წეროშით) როგორ ბედავ სიტყვის შემობრუნებას, შე მუქთა მჭამელავ! სულ კისრის ტეხით გაგაგდებ აქედან!

ტყავაძე. მე თვითონ წავალ. ეგერ დევდარიანი 200 თუმანს მაძლევს, ჩემსკენ გადმოდიო.

ქრისტე. შე გამოჩერჩეტებულო, მეც მაგას გეუბნები!

ტყავაძე. ესტატეს ვულალატო?

ქრისტე. არა, კენჭის ყრაში არ უღალატო! მხოლოდ ციციწო გაურიგე სხვას, თუ გინდა დევდარიანს და ის დიდ ფულს მოგცემს.

ტყავაძე. ხოო! მაგ კი შემიძლია! კი გაურიგებ, მარა, ქალბატონო, როგორ მოვიქცე? ესტატემ მიბრძანა—მაგრათგეკიროს ყური, ციციწო არავინ გამიბრიყვოსო, შენ მეუბნები უსათუოდ გააბრიყვე და დევდარიანს მიუყვანეო, ამას წინეთ მარშალმა მითხრა, ერთი მეც დამანახვეო თქვენი მოციმციმე ვარსკვლავიო. ვის გაუგონო, აღარ ვიცი! სწორეთ ბევრი შრომა დამჭირდება, და შენ ამისთვის ერთს ათ თუმანიანს ხომ მომცემ მაინც.

ქრისტე. შე უსინიღისოვ, ჩემგან შენ ფული გაკლია, კიდევ რომ თხოულობ? ათ თუმანს კი არა, ათ მუშტს მოგცემ მაგ გახობორიკებულ კოსროზედ!

ტყავაძე. რას ჯავრობ, ბატონო, მერე მოვრიგდებით! ისე წამომცდა: ჩემი შვილი ახლა ღემნაზიას ათავეებს, და ფული სჭირია, რომ რუსეთში გავაგზავნო.

ქრისტე. შენ არ გისწავლია და ქვეყანა აკლებული გაქ, შენმა შვილმა თუ კიდევ რუსეთში მიიღო უმაღლესი სწავლა, ხომ ყველას აქედან გადაგვასახლებს...

გოგია (შემოვარდება). ბატონი მობრძანდება, ვინცხა სტუმარიც მოჰყვება.

ქრისტე. (საჩქაროთ მიდის) კრინტი არ დასძრათ, თუ ზინმე აქ იყო! გესმისთ? თორემ ვაი თქვენი ბრალი! (კარებს იხურავს. შემოდის ცქვიტიშვილი და პოეტი ამირინდო).

VJ

- ქვატ.** მობრძანდი, ჩემო ძვირო სტუმარო, დღეს სწორეთ ბედზე შეგხვდები, დიდი ხანია საქმე მქონდა!
- ამირანდო.** ვაიმე, ვაიმე! ჩივილს ხომ არ მიპირობთ? ადვოკატების მეჭირივით მეშინია!
- ქვატ.** ღმერთმა დამიფაროს! უნდა გავანდოთ ერთი საიდუმლო! მე მაქვს განზრახვა, გავაკეთო ერთი კეთილი საქმე, მაგრამ არ გამამხილოთ კი! ჩემი პრინციპია—მადლი ისე უნდა გაკეთდეს, რომ მარცხენამან არა უწყოდეს მარჯვენას ნამოქმედარი!
- ამირ.** (ჯდებთან) ძალიან კეთილი, მაგრამ მე რა შუაში ვარ?
- ქვატ.** ახლავ მოგახსენებ. რაც ადვოკატობა დავიწყე, წესად შემოვიღე, რომ შემოსავლის ათ პროცენტს ვახმარებ სხვა და სხვა სამადლო საქმეებს. ხან ღარიბ სტუდენტებს ვუგზავნი, ხან ბიბლიოთეკებს და შკოლებს ვეწევი, მარა ყველა ამ ფულს ვხარჯავ უთავბოლოთ და უსისტემოთ! მე მინდა ეს თანხა თქვენ გადმოგცეთ!
- ამირ.** (წამოდგება) ძალიან უკაცრავათ ბრძანდებით! მე ღარიბი ვარ, მაგრამ მაინც იმდენად არ დავიმცირებ თავს, რომ სამადლო თქვენი თანხით ვისარგებლო.
- ქვატ.** რა აჩქარებული ხალხი ხართ პოეტები? ჯერ მე მათქმევინეთ, და მერე გაჯავრდით. ამ ბოლო დროს ეს თანხა გვარიანათ გაიხარდა, და მე მსურს თქვენის შემწეობით ვხარჯო ეს ფული სისტემატიურათ ერთ სასარგებლო საქმეზედ.
- ამირ.** ჰოო, ეს სულ სხვა საქმეა!
- ქვატ.** ამას წინათ მე ჩვენ ძველ ჟურნალ-გაზეთებს ვათვალისწინებდი. მინდოდა შემეტყო ჩვენი მწერლების აზრი იმ ხალხების შესახებ, რომელნიც ჩვენს გარშემო ცხოვრობენ და რომელნიც, ადრე თუ გვიან,

ასე თუ ისე, ცხოვრების ასპარეზზე შეგვებრძოლებიან. ამ ძებნის დროს ჩემი ყურადღება მიიპყრო ძალა უნებურად საუცხოვო ლექსებმა, რომელთა ქვეშ მხოლოდ სახელი ამირინდო ეწერა.

ამირ.

დიახ, ბევრი ჩემი ლექსებია აქა-იქ უპატრონოთ გაბნეული!

ტქვიტ.

იმათი უპატრონობა—სირცხვილია, საცოდაობაა! მხოლოდ ჩვენს ღარიბ ქვეყანაში შეიძლება, რომ ასეთი თვალმარგალიტები არხივებში ინახებოდეს და ამათი კითხვით ხალხი კი ვერ სტკებოდეს. როგორც პატრიოტს, მე ყველაზედ უფრო თქვენს პატრიოტული ლექსები მომეწონა.

ამირ.

მართლა?

ტქვიტ.

სამშობლოს სიყვარული, სიყვარული ჩვენის დედენისადმი, ჩვენის ხალხისა, ჩვენის წარსულისა, ჩვენის ქვეყნისადმი—ეს ღვთაებრივი გრძნობა ისეთის ალტაცებით, ისეთის სიძლიერით და თან ისეთის სიკეკლუცით არის გამოხატული ამ ლექსებში, რომ იმათ წაკითხვამ მე სწორეთ მომაჯადოვა!

ამირ.

დიდათ მოხარული ვარ, რომ მოგწონებოდათ, არ მოველოდი!..

ტქვიტ.

რომელი მოწონებდა, აკი ვთქვი, მომაჯადოვეს მეთქი! თქვენს ლექსებს ღრმა აზრთან ერთად ისეთი მუზიკალური თანხმოვანება აქვთ, ყოველგან რითაც მაც ისე ჰარმონიულათ არის შეწყობილი, რომ ასე გგონია, ეს იტალიური სონატებიაო! მე ვიგრძენი იმათ კითხვის დროს ღრმა სიტკბოება, გულის სიმშვიდე და თან ნაციონალური სიამაყეც!

ამირ.

წარმოიდგინეთ, რამოდენიმე ჩემი ლექსი იტალიურათაც გადაუთარგმნიათ!

ტქვიტ.

დარწმუნებული ვარ, ყველა ევროპიულ ენებზედ გადათარგმნიან, მაგრამ ერთი ეს მითხარით, ჩვენს ხალხს რა წაადგა? ჩვენმა ხალხმა რომ გაიცნოს

თქვენი ლექსები, საჭიროა იაფ ფასიანი გამოცემები და ჩვენ კი ასეთები არ გვაქვს.

ამირ. სამწუხაროა, მაგრამ რა ვქანთ, მეცენატები ჩვენ არ გვყავს, არც ენერგიული გამომცემლები მოგვეძევა და მხოლოდ ჟურნალ-გაზეთებს შევჩერებივართ.

ტქვატ. ჰო და იფიქრეთ. ახლა! თუ მარტო გაზეთებს შევაჩერდით, ხომ დაიღუპა ჩვენი საქმე. ჩვენ გვჭირია ხალხში გასაფრცვლებლად იაფი, მაგრამ კარგი საკითხავი წიგნი! მე მინდა ამ საქმეს მოვახმარო ჩემი თანხა!

ამირ. ძალიან სასიამოვნოა. დიდ ამაგს გაუწევთ ჩვენს ხალხს და მწერლობასაც.

ტქვატ. პირველად მე მსურს გამოვცე თქვენი პატრიოტული ლექსების კრებული. გთხოვთ ნება მომცეთ და ახლავე მითხრათ, რამდენიც ეღირება.

ამირ. მაგას რაღა აჯობებს! დიდათ გამადლობთ, თურმე მე თქვენ აქამდის არ გიცნობდით, დიდათ მოხარული ვარ. გამოვცეთ, ძვარიც არ უნდა დაგვიჯდეს.

ტქვატ. ოთხასი ეყოფა?

ამირ. ოო, მეტიც იქნება!

ტქვატ. უნდა გამოვცეთ სუფთათ, კარგათ, კორრექტურაც კარგი უნდა იყოს, და ღირდეს სულ ორი, სამი შაური. რაც გაყიდვისგან ფული შემოვა, ისიც თქვენი იყოს, მხოლოდ გამოცემაზედ თვითონ იშრომეთ!

ამირ. მშვენიერი იქნება! მე შრომას უსასყიდლოთ ვჩაკისრებ, შემოსავალი ან თქვენ აიღეთ, და ან შესწირეთ რომელიმე საზოგადოებას.

ტქვატ. წიგნების გამომცემელ ამხანაგობას შევწიროთ იმ პირობით, რომ მეორე იაფ-ფასიან წიგნად გამოსცენ თქვენი ლირიული ლექსები. გთხოვთ, საქ-

მეს დღესვე შეუდგეთ! ინებეთ ახლა 400 მანეთი და თუ კიდევ საჭირო დარჩეს, არ მომერიდოთ. (ფულს აძლევს).

ამარ. თავისი ნიკის და ნაშრომის დაფასების გაგონება ყველასთვის სასიამოვნოა, და თქვენ მე ორკეცათ მასიამოვნეთ! ნეტავი ბევრი მოგვცა თქვენისთანა კეთილი მიმართულების, ინტელიგენტები! არ ვფიქრობდი, თუ თქვენ ჩვენი ლიტერატურა ასე გიყვარდათ? სამწუხაროთ ჩვენი ინტელიგენცია სამშობლო მწერლობას არ ეწყობა! ჩვენი ლიტერატურა აღარ გვაკმაყოფილებსო! რა ვქნათ! ეს გარემოება ჩვენი ლიტერატურის ბრალია, თუ თვითონ ინტელიგენციის, ეს ალახმა უწყის! თქვენ გამიმთელეთ ჩემი დაკოდილი გული!

ნქობტ. მართლაც რომ ცუდი ინტელიგენცია გვყავს, მაგრამ ეს ჩვენი უკულმართობის ბრალია. ჩვენ შკოლებში და ხშირათ ოჯახებშიც მოკლებული ვართ ბუნებრივ განვითარებას დედა ენის შემწეობით, ამიტომაც ჩვენ გადაგვარების გზას დავადექით! მაგრამ უნდა გვახსოვდეს, რომ ჩვენ გვყავს კარგი ხალხი, ხალხი!

ამარ. ხალხი გაუნათლებელი ხომ არ ვარგა და, თუ განათლებამ გადაგვარება და დამახინჯება შეგვძინა, მაშინ ხომ მთლად დავიღუპეთ, ინტელიგენცია ხალხისთვის ლამპარი უნდა იყოს, და ჩვენ კი დედანაც გვავიწყდება!

ნქობტ. იმედი იქონიეთ! რა-და-რა ხალხი ხან რჯულიანი და ხან ურჯულო არ ყოფილა ჩვენი ქვეყნის ბატონად, მარა ენა კი არ დავიკარგავს.

ამარ. მაშინ სულ სხვა პირობები იყო, ახლა კი, ღმერთმანი, გვეკარგება! მაგალითით დაგიმტკიცებ: კაცი რომ, ბატონო ესტატე, ქალებთან უცხო ენაზედ

დაიწყებს არშიყობას, იმას სამშობლო ენა უსათუოდ დაკარგული აქვს.

ტკბობ. (დიმილ.) ეს პოეტები, ღმერთმანი, ახირებული ხალხი ხართ! განა არშიყობით გაიზომება ენის ცოდნა? არშიყობის დროს მე ენა სრულებით არ მქირია!

ამაკ. არა, მართალი მითხარით! როდესაც ძალიან აღზნებული ბრძანდებით და თქვენს გულს აწვება ტრფობა-ალერსის სურვილი, მაშინ, სულის სიღრმიდან რომელ ენაზედ წამოგცდებათ ტრფობის სიტყვები?

ტკბობ. რა თქმა უნდა, დედა-ენაზედ! ერთხელ რუსის ქალთან, გატაცებული რომ ვიყავი, წამომცდა—გულის კოშკებში გენაცვალე მეთქი, და კინალამ გამეჩქა! (იღინიან) არა, ყველაფერში თვითონ ჩვენ ვართ დამნაშავე—სადაც, მაგალითად, დედა ენაზედ ბქობა შეგვიძლია, იქ განგებ არ ვშობით ამას. ამ ოთხი წლის წინეთ ბანკის კრებას დაესწარით?

ამაკ. არა! რატომ კრებულობთ?

ტკბობ. წარმოიდგინეთ, სოფლიდან ხალხი ჩამოდის, უნდათ ავი და კარგი შეიტყონ და დედაენის მეტი არც ერთი ენა არ იციან. მე მოვითხოვე ამ ენაზედ იყოს ბქობა, მეთქი! მაგრამ იცით, ვინ გამიხდა წინააღმდეგი?

ამაკ. ვინ იყო, უსინილისო!

ტკბობ. ვინ და თქვენი დიდი მეგობარი თავადი დევდარიანი! იმის მიხეზით ჩემი აზრიც აღარ მიიღეს!

ამაკ. ფუი მის კაცობას! მე დიდი ხანია იმის პატრიოტობას ექვის თვალით ვუყურებდი! ნუ თუ ისე დაუჩლოუნგდა გონება?

ტკბობ. მისი პატრიოტობა ვინ გაიგონა! იცით, ერთმა საიმედო პირმა გამაჯრთხილა: დევდარიანთან არაფერი წამოგცდეს—ის მთავრობის ჯაშუშიაო... ის მომავალ კრებაზედაც ასე აპირობს!

ამირ. მე იმაზე დიდი ხანია ექვი მქონდა... იმას მართლა ჯაშუშური თვალები აქვს! ჩინოვნიკების ცოლებსაც ეარშიყება! მე იმას ვაყურებივ სეირს, ახლავ ველარაფერს გაბედავს. ისე გამოვლანძლავ გაზეთში, რომ მტკვარმაც ვერ გარეცხოს. ის მგონებ ხელახლად კენჭის ყრასაც აპირობს.

ჩქვიტ. აპირობს და იმედიც აქვს, რომ პირველი თქვენ მისცემთ თეთრს!

ამირ. არას დროს! იმისთანა მიმართულების კაცს, მე უსათუოდ შავს მივსცემ. ვინმე უნდა მოვნახოთ ძლიერი კონკურენტი!

ჩქვიტ. ბევრი ვეძებეთ, მარა ვერავინ ვიპოვეთ. თქვენ რომ გთხოვონ?

ამირ. ააჰ, მე არას დროს არ ამირჩევენ ისეთ თანამდებობაზედ, სადაც კარგი ჯამაგირია. ვინმე ნემეცს მონახვენ და მე არც კი მახსენებენ! უნდა გაგიტყდე, რომ იქ, არც მე შევალ, აზაა ჩემი საქმე, მე თავისუფლება მირჩევნია! თქვენ ხომ იურისტი ხართ, თქვენ არ შეგაძლიეს?

ჩქვიტ. როგორა რა, ერთხმად შემაძლიეს, მარა გადაჭრილი პასუხი ვერ მივეცი. უფრო კი უარს ვიტყვი.

ამირ. ვითომ რატომ!

ჩქვიტ. თვითონ განსაჯეთ! მე პრაქტიკა დიდი მაქვს, პატროსანი კაცის სახელიც დავიმსახურე. ჩვენში საზოგადო მოღვაწეობას უსათუოდ გალანძლვა და დამცირება მოსდევს! რა უნდა მომცეს იმდენი ბანკმა, რომ შევცდე და კანდიდატად გამოვიდე?

ამირ. მართო მაგას როდი უნდა უყუროთ! ყველამ თუ ასე თქვა, ხომ დაიღუპება ბანკი! არა, მე სწორეთ მიამება, რომ დათანხმდებოდეთ, ჩემი სიმპატია თქვენსკენ იქნება! ჩემს აზრს ამის შესახებ მე გაზეთშიც გამოვაცხადებ.

- ტკბატ.** რა საჭიროა, გაზეთში ჯერ აღრეა გამოცხადება!
ამარ. თქვენ არაფერი დაგიშავდებათ და მე კი გონლ-
 რარს ავიღებ. მთელი ფელეტონი შეიძლება გამო-
 ვაცხო!
- ტკბატ.** მე არ მინდა, თქვენ ზარალი მოგაყენოთ, მაგრამ
 ამას კი გთხოვთ, რომ ჩემს შესახებ ბევრი არაფე-
 რი დაწეროთ, მე ქება ჭირივით მეზარება!
- ამარ.** ეგ კი მე ვიცი! პირველად ხომ არ ვწერ, როგორც
 აჯობებს, ისე მოვიქცევი.
- ტკბატ.** პოეტები საზოგადოთ ჯიუტები ხართ, მე რომ და-
 გიშალო, თქვენ მაინც არ დამიჯერებთ! თქვენი
 ნება იყო.
- ამარ.** თქვენ ძალიან საჭირო იქნებით ბანკში! და პარ-
 ტიაც დიდი გეყოლებათ!
- ტკბატ.** მე პარტიების თავი არ მაქვს. ხელს არ გავანძრევ
 და კრინტსაც არ დავსძრავ!... მართლა, პოეტო!
 თქვენ კენჭი გაქვთ?
- ამარ.** (სიცილით) ბარე ოთხი მქონდა!
- ტკბატ.** ამდენი როგორ შეიძლება?
- ამარ.** დობტურმა მითხრა, შეიძლება მეტიც გქონდესო.
 მხოლოდ ოპერაცია გამიკეთა ორი ამომიღო და
 ორი კიდევ დამრჩა შიგ კუჭში.
- ტკბატ.** (ხაჩხაჩებს) არა, მაგისტანა კენჭები ღმერთმა გვა-
 შოროს. რაც დაგრჩათ, ისიც ამოაღებინეთ და მის
 მაგივრათ შეიძინეთ ნამდვილი, კანონიერი ბანკის
 კენჭი, რომ კრებაზედ ხმა გქონდესთ.
- ამარ.** დიახაც შევიძენ და, თუ თქვენ კენჭს იყრით, ჩემი
 კენჭები, კანონიერი და უკანონოც, ყველა თქვენს
 ფეხთ ქვეშ იყოს.
- ტკბატ.** (ღიმილით) თქვენი უკანონო კენჭები გამოხვიეთ
 ქალაქში და გაგზავნეთ საერო მუზეუმში, კანო-
 ნიერი კი მოიტანეთ ბანკის კრებაზედ და თქვენის
 სინიღისისამებრ ყუთში ჩაავდეთ!

- გაგა** (შემოდის). ექიმი ჩინჩალაძე გეახლათ!
- ქვატ.** სთხოვე, შემოვიდეს.
- ქრისტ.** (შეორე ოთახიდან) ტატო, მარტო ხარ?
- ქვატ.** არა! ჩემთან ამირინდოა.
- ქრისტ.** ვინა?
- ქვატ.** ჩვენი საყვარელი მგოსანი — ამირინდო.
- ქრისტ.** სთხოვე, ჩემთან შემოვიდეს, საქმე რომ გაათავოთ!
- ქვატ.** (ამირინდოს) თქვენზე ქრისტინე ძალიან გაჯავრებულია, ამასწინეთ რომ ფელეტონში ქალები გალანძღეთ.
- ჩინჩალაძე.** (შემოდის ჩქარის ნაბიჯით).

VII

- ქვატ.** ოო! დოქტორს ვახლავარ! მედიცინის მომავალ მნათობს.
- ამირან** (ჩითმას მოაწეობს) უფრო კი ჩამქრობს!
- ჩინჩალა.** (ორივეს ხეჯს არომეჯს) ძველი ნანგრევების პოეტიც აქ ყოფილა?
- ამარ.** ერთს თავადიშვილს ფილტვების ანთება ჰქონდა, და ამ თქვენმა მედიცინის მნათობმა გამოუწერა: თავადობაზე ხელი აიღე და მორჩევიო. მაგისთანა რეცეპტისათვის სწორეთ მაგას მედიცინის დოქტორობასაც მისცემენ.
- ჩინჩ.** თქვენ კი ამით ისარგებლეთ და უშველებელი ლექსი გააქრელეთ! არა გრცხვენიათ! ახლანდელ დროში, რომელი ჰკუათა მყოფელი ჩხაბნის ლექსებს? გეყოფათ ამდენი რეტროგრადობა!
- ამარ.** ჩვენ ხომ შევასრულეთ ჩვენი მისსია, ენა მაინც გადაფაქიხეთ და შეგინახეთ; ახლა თქვენ გამოდით ასპარეზზე და იმუშავეთ. ჩვენ მაინც მოვხუცდით, მარა ერთი ჩვენი ძველი ანდაზა არ გაამართლოთ: ბედაურნი დაიხოცნენ, ვირებს დარჩათ მოედანიო!

- ჩინჩ.** საკვირველი ევოლიუცია ხდება თქვენში. ჯერ ხომ სამშობლოს ეტრფოდით, მერე ბულბულსა და ვარდს გაუჭირვით საქმე და ახლა კი სულ ვირების ხსენებაში ხართ? ჩაუკვირდით კარგათ ცხოვრებას! ნუ თუ ახალს ვერაფერს ხედავთ? გაითვალისწინეთ, რა გზას დაადგა ახლანდელი ჩვენი ცხოვრება!
- აძარ.** ჩემო მეცნიერო, ამ ბოლო დროს ვირებს იმიტომ ვახსენებ, რომ ახლანდელი ჩვენი ცხოვრებაც გავირებულა. ჩვენ ახალგაზდების იმედი გვექონდა და თქვენ კი სულ ლობე-ყორეს ედებით! დედა ენა რის მაქნისიაო, პატრიოტიზმი რეტროგრადობა არისო. სულ გატუტუცდით, ჩვენი აღარაფერი გესმისთ და თვითონ თქვენ კი დაბრმავდით. ხალხი გატყავებულა და თქვენ იძახით კაპიტალისტებიაო, თავად ახნაურობას გახრეკილი წოდების მეტი არაფერი დარჩენია, და თქვენ კი ყვირით ფეოდალები არიანო!..
- ჩინჩ.** ახლავე ყველაფერს აგიხსნი, თქვენ არ გესმისთ, რომ ჩვენ უფრო მახვილი თვალი გვაქვს...
- ქრისტ.** (მეორე ოთახიდან კარებს ჩოტად შემოადგებს). ზად არის პოეტი? მე აქ ვიცი და თქვენ კი მაქ გაერთეთ!
- ცქვატ.** (აშირინდოს) მიბრძანდით ქრისტინესთან, თორემ, აქაც ექიმი მოსვენებას არ გაძლევთ და იქ კი ქრისტიანეც არ დაგაყრის ხეირს, თუ კიდევ დაიგვიანეთ.
- აძარინდო.** მაშ მშვიდობით. (ჩინჩასძქვს) მერმე ამიხსენით, ჩემო მეცნიერო, მერმე განმანათლეთ! (შიდის).
- ცქვატ.** (ექიმს) რაც უნდა აუხსნა, მაინც ვერ მიხვდება, არ ესმის. ფილოსოფიური განათლება არ მიუღია!
- ჩინჩ.** თქვენ კი მიიღეთ?
- ცქვატ.** ჰეგელის ფილოსოფიის შესახებ სამი რეფერატი დამიწერია. კანტი და კონტი კრიტიკულად გამიჩრევია.
- ჩინჩ.** (საიდუმლო ხმით) „კაპიტალიც“ წაგიკითხავსთ?

ნქვობ. რომელი წაკითხვაა, კიდევ შემიქამია!.. კონსპექტიც მაქვს შედგენილი. მე სტუდენტობის დროსვე მივაქციე ყურადღება მარქსსა და ენგელსს.

ჩანჩ. პირველად მესმის! სწორედ მიამა! სჩანს ეკონომიური მოძღვრებაც შესწავლილი გექნებათ!

ნქვობ. რა თქმა უნდა! ჩვენ იურისტები—თქვენსავით ვიწრო ფარგალში არ ვტრიალობთ. აი ჩემი ბიბლიოთეკა გადაათვალიერეთ! ჩვენ ეკონომისტები ვართ და ფინანსისტებიც. განსაკუთრებით ფინანსიური უფლება და საბანკო კითხვები დაწვრილებით მაქვს შესწავლილი. რას გავჩერებულვართ. დაბრძანდით! (ჟღებთან).

ჩანჩ. მერე რატომ არსად არ იჩენდით ამდენ ხანს თქვენს ცოდნას?

ნქვობ. ქუჩაში ხომ არ ვიყვირებდი. თუ რამეს ვწერდი, ფსევდონიმებს ვაწერდი! აი კენჭის ყრა რომ იქნება, მინდა ოპპოზიციაში ჩავუდგე დევდარიანს და მაშინ მნახავთ!

ჩანჩ. ესეც სასიამოვნოა, მეც სასტიკი იერიში მინდა მივიტანო იმ დახვესებულ ფეოდალზე... ჰო, მართლა, მე თქვენთან საჩხუბრად მოვედი და იმ მოშიარემ სულ გადამავიწყა!

ნქვობ. საჩხუბარი რა გვაქვს! რაკი ჩვენ ახრებში ერთმანერთს ვეთანხმებით, ერთობით უნდა ვიმოქმედოთ მაგ თავადის წინააღმდეგ.

ჩანჩ. რა მოგივიდათ, თქვენ და დევდარიანს ჩემი პაციენტკას ბინაზედ? ხელმეორედ დამიძახეს. გული წასვლოდა! უნდა შეგატყობინოთ, რომ ის ქალი ორსულად არის. ნერვები ისედაც აშლილი აქვს და თქვენ კი თურმე უწესოთ მოექცეით!

ნქვობ. სულყველაფერი იმ ოხერ დევდარიანის ბრალია, იმან...

- ჩინჩ.** მე არ ვიცი, ვისი ბრალია, და არც მინდა ვიცოდე! მხოლოდ, საბრალიო, კინალამ ჭკუაზე შემლილიყო! თქვენც უსინიდისოდ მოქცეულხართ, გულშემოყრილი ქალი დაგეტოვებინათ!
- გოგია ჩინჩ.** (შემოდის). ბატონო, სტუმარი გეახლათ!
- ჩინჩ.** მე თქვენ გაფრთხილებთ და გთხოვთ ყურადღება მიაქციოთ, თუ კი თქვენ ბატონობთ! იმ ქალს წყნარი ცხოვრება ესაქიროება! მშვიდობით! (მიდის).
- ტქვიტ.** გმადლობთ, ექიმო, გმადლობთ, თქვენც ნუ დაიზარებთ მის ნახვას, თუ საჭირო. დარჩეს! (გოგიას) სთხოვე, შემოვიდეს. (გოგიაც გადის). ოოხ! (ძლიერ ამოისუნთქავს) მოჰკლავს კაცს ამდენი თვალთმაქცობა, ოხ ნეტავი გავიტანო მაინც. ახლა ლომთათიძეც თუ დავიუოლიე, კარგი იქნება. (აქეთ-იქით დასერიწნობს. შემოდის ლომთათიძე დრმად მახუცგებუდი, მაგრამ უჩაღის სახით და მოძრაობით). ოო! ძვირფასს არისტიდეს ვახლავარ! მობრძანდით ბატონო!

VIII

- ლომთათიძე.** თანაგრძნობისათვის მადლობელი ვარ. ფულები მე კიდევ შევიტანე ბანკში და ახლა ჩემთვის თქვენი შემწეობა საჭირო აღარ არის. არც მეგონა, თუ თქვენ ჩემს მდგომარეობას ყურადღებას მიაქცევდით!
- ტქვიტ.** რას ბრძანებთ, ბატონო, ძლიერ ამადლევა ამ შემთხვევაში. ვინ იყო ისეთი უსინიდისო, რომ მეტი ფული აიღო თქვენგან და უკან კი აღარ დაგიბრუნათ.
- ლომთათიძე.** ვინც იყო, თქვენთვის სულ ერთია, მე ფულები კიდევ ვიშოვნე, და თქვენი ფული უკანვე მიიღეთ (ჰაკეტს სტოლზე სდებს).

ჭკობ. სხვა სარგებელს გამოგართმევდა! ჩემგან კი ისე მიიღეთ, უსარგებლოთ და უვექსილოთ! განა ჩვენი ვალდებულება არ არის, კაცს დავეხმაროთ ფათერაკის დროს?

ღამთ. მიკვირს, რომ ახლა მოგივიდათ თქვენ ეს აზრი და ამ სამი წლის წინეთ, როდესაც მე სხვისთვის მინდოდა ფული და თავდებობას ვკისრულობდი, თქვენ უარი მითხარით? გახსოვთ?

ჭკობ. მაშინ სულ სხვა იყო? მე თქვენ ხათაბალიდან დაგიხსენით მაშინ! ის ხომ ფულს არას დროს არ გადაგიხდიდა! მაშინ თავისუფალი ფული არც მქონდა! სწორედ მეწყინება, რომ ახლა ფული არ აიღოთ ჩემგან!

ღამთ. მე არ მინდა თქვენს წინაშე ვალდებული ვიყო! ამ ფულებს რალაცა ცუდი სუნი უდის.

ჭკობ. აბალაშვილის გაოფლიანებულ უბეში ინახებოდა და დღეს მე ჩამივარდა ხელში (სუნავს) იქნება მართლა უდის სუნი?

ღამთ. არა, მე მაგ აზრით არ მითქვამს! ადვოკატები ტყუილად ფულს არ გამოიმეტებთ! ალბათ რაიმე სხვა აზრი გექნებოდათ!

ჭკობ. პატიოსან სიტყვას გეფიცებით, რომ წრფელის გულით მოვიქეცი! განა რა ასეთი დიდი ფულია 500 მანეთი, რომ იმაზედ ლაპარაკი ღირდეს? თუ გნებავთ, ახლავე ცეცხლს წავუკიდებ ამ პაკეტს?

ღამთ. რა დაგიშავათ! თუ ასე გადასაყრელი ფულები გაქვთ, შესწირეთ წერა-კითხვის საზოგადოებას და მადლობას მაინც დაიმსახურებთ.

ჭკობ. რომ თქვენ დაგიმტკიცოთ ჩემი უანგარობა, დიდის სიამოვნებით შევასრულებ თქვენს სიტყვებს და დღესვე გავუგზავნი ამ ფულებს საზოგადოების გამგეობას. მხოლოდ, ამას გთხოვთ თქვენ არაფერი იფიქროთ

ჩემზე და ნდობის თვალით მიყურებდეთ, რადგანაც თქვენს ნდობას დიდათ ვაფასებ.

ჯამთ. ბატონო ესტატე, თქვენ რაღაც არა ჩვეულებრივად, დაბნეულად ლაპარაკობთ, მითხარით პირდაპირ! გაქვთ რაიმე საქრთამო საქმე ჩემთან?

ექვტ. (ჩაფიქრდება) არა, საქრთამო რა უნდა მქონდეს, ისე კი ცოტაოდენი სათხოვარი მაქვს.

ჯამთ. აქედანვე გეუბნები უარს. მე წინადგრძნობა მაქვს. თქვენი წერილიც რაღაც მლიქვნელოვანი ენით იყო დაწერილი. სწორეთ ქრთამის სუნი ჰქონდა იმ ფულებს! მშვიდობით.

ექვტ. ცოტა მოითმინეთ!

ჯამთ. უწმინდესი საქმეც რომ იყოს, აქედანვე მტკიცე უარს გეუბნებით! მე თქვენთვის არა მცალია!

ექვტ. საქმე მართლა უწმინდესი და სერიოზულიც არის. ახირებულია, ღმერთმანი, ჯერ შეიტყვეთ რაც არის, და მერმე ბრძანეთ!

ჯამთ. არ მსურს მოვისმინო და ახლა! (შიდას).

ექვტ. (შადაღის ხმით) მე თქვენ სერიოზულათ გელაპარაკებით და ეს რას ნიშნავს, თქვენი პასუხი მე მთელ საზოგადოებას უნდა შევატყობინო. მოუთმენლად მელოდებიან.

ჯამთ. ხო, რა იყო, რა იყო, სიტყვას ნუ გააქრელებ, თქვით ბარემ!

ექვტ. პატივცემულო არისტიდე! თქვენ კარგათ იცით, რომ მოახლოვებულია ბანკის კენჭის ყრა!

ჯამთ. ვიცი, მერე?

ექვტ. ისიც იცით, როგორც ბანკის დირექტორმა, რომ ბანკის ოპერაციებს ხელს უშლის ახლანდელი მმართველი; თუ საქმე ასე წავიდა, ბანკიც მალე გაკოტრდება.

ჯამთ. ბანკი არას დროს არ გაკოტრდება. და ეხლანდელი მმართველიც თავის საქმეებს სინდისიერათ ასრულებს.

- ტქვიტ.** ასეა, თუ ისეა, იმის მოქმედება ბევრს არ მოსწონს და აქ შესდგა ერთი წრე, ერთი გვარიან ძლიერი ჯგუფი, რომელმაც თავის მოქმედების დევიზად დაისახა, გადავაყენოთ ბანკის მმართველობისაგან დევდარიანი და მის მაგივრათ ამოვარჩიოთ არისტიდე ლომთათიძე?
- ლომთ.** ვინ? მე?!
- ტქვიტ.** დიახ, თქვენ! მართალია, თქვენ წინ და წინვე უარი განაცხადეთ, მაგრამ მე მაინც გთხოვთ, მომცეთ თანხმობა და თქვენი კანდიდატურაც გამოაცხადოთ.
- ლომთ.** არც თქვენი და არც თქვენის წრის მე არაფერი არ მწამს, არც თავმჯდომარეობა მინდა!
- ტქვიტ.** მე თქვენი უარიც არ მწამს და ყველას შევატყობინებ, რომ კენჭის ყრაზე დათანხმდით.
- ლომთ.** აქ რაღაც ეშმაკობა უნდა იყოს, მე კენჭს არაფრამდის არ ვიყრი!
- ტქვიტ.** ჩვენ იმედი გვაქვს, რომ თუ კარგათ გთხოვთ, დათანხმდებით! დამიწერეთ პატარა ბარათი, რომ პასუხი წავულო. არაფრამდის არ დამიჯერებენ! მეტყვიან, კარგათ ვერ სთხოვეო!
- ლომთ.** არ მინდა და რას ჩამაცივდით! თუ გინდათ, წერილობით გეტყვით უარს და არ დამეხსნებით?
- ტქვიტ.** თქვენს იქით საშველი არ გვაქვს, აი აქ დაბრძნდით და თანხმობა დაწერეთ!
- ლომთ.** ბატონო ესტატე! თუ კაცი ხართ, თავი დამანებეთ. თქვენ მგონებ ჩემი პატივისცემა და ნდობის დამსახურება გინდოდათ, მე კატეგორიულ უარს ვაცხადებ! მიკარნახეთ, როგორ დავწერო. უარი! დამიხსენით თქვენის წრის ხრიკებისაგან!
- ტქვიტ.** დიდათ ვწუხვარ, რომ არ თანხმდებით. თუ წერილი არ ვაჩვენე, არ დამიჯერებენ.
- ლომთ.** (ჯდება სტოლთან, ქაღალდს და კალამს ხელში აიღებს) როგორ დავწერო!

- ტქვატ.** კალამი ნახეთ, ხომ კარგია! აი ეს წმინდა ფურცელი აიღეთ! (აძღვეს), ძლიერ ვწუხვარ, მაგრამ რა გაეწყობა! თუ უარს აცხადებთ, ასე უნდა დაიწყოს.
- ლომთ.** თქვი ხო, თქვი, რაღას აგრძელებ?
- ტქვატ.** აი, აქედან დაიწყეთ! „მე, ბანკის დირექტორი, არისტიდე ლომთათიძე ვთხოვ პატივცემულ საზოგადოებებს, არავინ წამოაყენოს საზოგადო კრებაზედ ჩემი კანდიდატურა. მე არაფრამდის არ მსურს და არც თანახმა ვარ, კენჭი ვიყარო ბანკის გამგეობის თავმჯდომარის თანამდებობაზედ და ამიტომ ნურც ნურავინ თავს შეიწუხებს.
- ლომთ.** ვეღარ გაათავე?
- ტქვატ.** ორი სიტყვა კიდევ! „ვამბობ მტკიცე და შეურყეველ უარს“ ხელი მოაწერეთ—დავითები პატივისცემით დირექტორი ბანკისა არისტიდე ლომთათიძე. წერტილი დასვით? აბა მიჩვენეთ! (ათვალიერებს) მადლობა ღმერთს!.. ახლა მაინც დამიჯერებენ (დაჭკვეტავს და უბეში ინახავს) ახლა დაგვიძვებით ხელიდან და დევდარიანის ხათრით არ გინდათ ყუთი დაიდგათ, მაგრამ სახეში გქონდესთ, რომ ჩვენ უსათუოდ ავირჩევთ მალე ქალაქის მოურავად, ავალიანი მოხუცდა და თავსაც ანებებს.
- ლომთ.** ახლა მხოლოდ თავი დამანებეთ და მომავალში რა იქნება, ვინ იცის!
- ტქვატ.** ახლა ერთი ესეც მითხარით, თქვენ რომ უარს ამბობთ, ვინდა უნდა გამოვიდეს დევდარიანის წინააღმდეგ?
- ლომთ.** მე რა ვიცი?! ვინც უნდათ, ის იყოს, მხოლოდ ადვოკატი კი ნუ იქნება!
- ტქვატ.** წარმოიდგინეთ, რომ მგონებ ადვოკატს ასახელებენ... სხვათაშორის მეც მთხოვეს.
- ლომთ.** არ შეგაცდინონ! არ დათანხმდე!
- ტქვატ.** ვითომ რატომ?
- ლომთ.** გაგაშავებენ, გაგლანძღავენ!

- ტკბატ.** რა ვქნათ, რომ დევდარიანი არ ვარგა!
- ღამთ.** ბანკის მმართველად არც თქვენ ვარგინხართ. თქვენისთანა კაცების საზოგადო მოღვაწეობა არ გამოგვადგება! ყოველივე საზოგადო მოღვაწე ზნეობითაც უმწიკვლო უნდა იყოს!
- ტკბატ.** დევდარიანზედ უფრო მწიკვლიანი და უზნეო ვინდა იქნება! არა, ის უსათუოდ უნდა გამოვცვალოთ.
- ღამთ.** მოღვაწე მხოლო მაშინ უნდა გამოვცვალოთ, თუ უფრო უკეთესი და საქმისთვის უფრო სასარგებლო კანდიდატი გვყავს, ისე ზამოცვლას კი რა ფასი აქვს? თქვენისთანა კაცი სასამართლოშია მარდი, სადაც გაძრომ-გამოძრომა სჭირია და კრედიტის დაწესებულებაში თქვენ გზასაც ვერ გაიგნებთ, რა ახალი პროგრამმა უნდა შემოიტანოთ, მაგალითად თქვენ, ვინ არიან თქვენი ამომრჩეველები, ან რა უნდა გააკეთოთ?
- ტკბატ.** რა პროგრამმა უნდა? საფრანგეთის პალატის დეპუტატად ხომ არ მირჩევენ, რომ რაიმე განკერძოებული პროგრამმა მქონდეს, რომ მოვიმხრო ან რადიკალები, ან სოციალ-დემოკრატები. ბანკს, რა ოპერაციებიც ექნება, ყველაფერს გავაკეთებ კარგათ და თავის დროზე. ვისაც მე მოვწონვარ, ის მე თეთრს მომცემს და ვისაც არა, ის შავს.
- ღამთ.** რანაირი ბანკის მმართველი უნდა გამოვიდეს თქვენგან, რომ არც საკუთარი პროგრამმა გაქვთ, არც მიმართულება, არც საკუთარი აზრი ამა თუ იმ საბანკო კითხვებზე? როგორ აპირობთ კანდიდატად გამოსვლას?
- ტკბატ.** მე ისე ვამბობ, მე ხომ თავმჯდომარეობა არ მინდა! რა ჩემი საქმეა! ათასწილად მირჩევნია ადვოკატობა! მე მხოლოდ ის მწყინს, რომ თქვენ — გამოცდილი ფინანსისტიც, უარს ამბობთ!
- გოგია** (შემოდის). ქალაქის მოურავი გეახლათ!

IX

- აგაღიანო** (შემოდის). გამარჯობა თქვენნი! ოო, არისტიდეც აქ ბრძანებულა! თქვენ კი დევდარიანი ბულვარში დაგეძებსთ! (ხელს აწოშევენ).
- ღობო.** ადვოკატის ბრალია! ლაპარაკს შევერჩი! უკაცრავად! მშვიდობით (ხელს აწოშევენ და მიდის).
- ტქვოტ.** მშვიდობით, ჩემო არისტიდე, მშვიდობით! (აგაღიანს) აი აქ დაბრძანდით, აქ უფრო რბილია! (აგაღიანს ჯდება). წარმოიდგინეთ ახლა ბანკის მდგომარეობა! აგერ 12 საათი შესრულდა და თავმჯდომარე კი ბულვარში დასეირნობს. ახლა მას დირექტორიც მიემატება და იქ კი, იქ — ბანკის ვიწრო კარრიდორებში, დილიდანვე მთხოვნელები ელოდებიან. განა ეს სამსახურია?!
- აგაღ.** (დინჯად) რაც მართალია — მართალია! ეს არც მე მომწონს. მე ხომ ზედამხედველი კომიტეტის თავმჯდომარე ვარ, მაგრამ დევდარიანთან ვერაფერი გამიკეთებია! ამაყი და ჯიუტი კაცია!
- ტქვოტ.** სწორეთ გაბატონდენ დიდებულიძე-დევდარიანები. დროა მოვსპოთ ამ უნიჭო თავადების ბატონობა. ახლა დევდარიანი გამოვცვალოთ და მალე კი მარშალიც ზედ მივაყოლოთ.
- აგაღ.** რაც მართალია — მართალია! მე არც ერთი არ მომწონს. გამოვცვალოთ, კმარა, რაც გვემსახურენ, ახლა სხვებსაც დაუთმონ ადგილი!
- ტქვოტ.** მე საერთო იერიშის გეგმაც შევადგინე და ყველა ეს გამაგრებული პოზიციები, ჩვენ — აზნაურებმა უნდა ავიღოთ! ჩვენს თავადებზე ნათლად მართლდება მაქსნორდაუს თეორია. ისინი გადაგვარებას დაადგენ. მათი ადგილი ჩვენ უნდა დავიჭიროთ. თქვენ, მაგალითად, ძალიან შეგფერისთ მარშლობა, და მე კი,

თუ თქვენი თანხმობა იქნება, დევდარიანის ადგილზე კენჭს ვიყრი.

აგაღ. არავინ გავვიგონოს, წადი, კარები ნახე!

ცქვობ. ნუ გეშინიათ! ჯერ ვერავინ შეიტყობს და მერე კი ანაზედ მთელი ქვეყანა ალაპარაკდება! ჩვენ უნდა შევადგინოთ ისეთი მტკიცე პარტია, რომ ყოველივე სხვა საქმეებშიც გამოგვადგეს.

აგაღ. დიახაც საჭიროა, მხოლოდ 300 მტკიცე კენჭი გვჭირია, რომ ყოველგან ჩვენ გავბატონდეთ.

ცქვობ. 100 კენჭამდე მე ახლაც მექნება! ჩემი ნათესავები, ჩემი ცოლის ნათესავები, ჩემი კუთხის ხალხიც ხომ ჩემია! ბევრი სხვა კუთხის აზნაურებიც ჩემს პარტიაში გადმოვლენ. ბევრი კაცის დავალება მაქვს და, რა თქმა უნდა, ხათრს ვერ გამიტეხენ. მხოლოდ მოქალაქეებზე რომ თქვენ იქონიებდეთ გავლენას, დიდათ დამავალებთ!

აგაღ. დიდის სიამოვნებით! მე არ მოგაკლებ ჩემს პროტექციას! მხოლოდ შენც არ უნდა შემარცხვინო და არც მიღალატო!

ცქვობ. ამაშიდ განა ეჭვი გაქვთ?

აგაღ. ბანკში უსათუოდ გაგიყვან, მხოლოდ იქ დიდი შრომა საჭირო და საქმეებიც კარგათ უნდა წაიყვანო. ბანკს რომ აუარებელი ადგილები დარჩა და მთელი ქვეყანა სჭამს, უნდა უპატრონო და მოაწესრიგო, კონვერსიაც უნდა მოახდინო! კრედიტი უნდა გააიაფო და მაშინ ჩვენი ბანკიდან აღარ გადააგირავებენ ადგილებს სხვა ბანკებში, ბანკის მოქმედების რაიონიც უნდა გაათავართოვო, რომ სხვა-და-სხვა გუბერნიებიდანაც დააგირავონ ადგილები ჩვენს ბანკში! ეს კითხვები ხომ გაქვს შესწავლილი?

ცქვობ. რა თქმა უნდა! ჩვენ იურისტები—ენციკლოპედისტები ვართ. განსაკუთრებით კი ეს კითხვები დაწვრილებით შევისწავლე! ვრცელი პროგრამაც შე-

დგენილი მაქვს, როგორ უნდა ვიმოქმედო ბანკში და საზოგადოებაშიც. ამის მე სრულებით არ მეშინია, ოღონდ კი ამირჩიონ! მართალია, პირველი ნაბიჯის გადადგმა ძნელი! მაგრამ მე მომხვდეს პირველი ყუმბარა! თუ მე გავიმარჯვე, მაშინ თქვენც ფიქრი ნუ გექნებათ! ჩვენ უსათუოდ ახალი მარშალიც გვეყოლება!

აგაღ. ჩუმათ ილაპარაკე! ამის შესახებ მე მხოლოდ ხანდახან გავითიქრებდი და შენ კი, შე ეშმაკო, ამის გეგმაც შეადგინე?

ტქვიტ. მე შესმის, რომ თქვენ მოგბეზრდათ ქალაქის მოურავობა! შეძლებული კაცი ბრძანდებით, რას იკლავთ თავს. განა საპატოო თანამდებობა არ სჯობია!

აგაღ. მართლაც ძალიან დავიტანჯე, ამ სიბერის დროს დასვენებაც მჭირია! რამდენი თანამდებობა თავზე მომახვიეს. ვარ ქალაქის მოურავი, ბანკის ზედამხედველ კომიტეტის თავმჯდომარე, წიგნების გამომცემელ საზოგადოების თავმჯდომარე, საქველმოქმედო საზოგადოების თავმჯდომარის ამხანაგი და კიდევ, ვინ იცის, სად არ ვითვლები. წარმოდგინე, ამას წინეთ რაღაც საზოგადოება შესდგა, ჩვენი მწვანელი საზღვარ-გარეთ უნდა გაეტანათ, იქაც თავმჯდომარეთ ამომარჩიეს. საშველს აღარ მაძლევენ, მინდა თუ არ მინდა, ყველგან მირჩევენ, და მეც უარი ვერ მითქვამს! თუმც კი ძალიან მომბეზრდა ამდენი უშინაარსო თავმჯდომარეობა!

ტქვიტ. შრომა დიდი გაქვთ! უთქვენოთ არც ერთი საქმე არ გაკეთდება და ვინ გეუბნებათ მადლობას?

აგაღ. რომელი მადლობაა? ყოველ დღე მლანძღავენ, ერთხელ კარრიკატურაშიაც დამხატეს! ქალაქის საქმეებზე რა კორებს, რა ინსინუაციებს არ ავრცელებენ! ცენზორიც ყურადღებას არ აქცევს, თორემ, როგორ შეიძლება, ამისთანა უსამართლობის

ბექდვა? მე სწორეთ უმაღლეს მთავრობასაც მინდა ამის შესახებ შეეჩვილო, ყველამ კბილი გაიღესეს ქალაქის ლანძღვაზე.

ტქვატ. მარშალი რომ იქნებით, კრინტსაც ვერავინ დასძრავს! იცით, თქვენ მაშინ უსათუოდ კამერგერობასაც მიიღებთ! ოხ, როგორ დავშვენდებათ თქვენ კამერგერის მოქედელი მუნდირი!

აგაღ. (ტკბილის ღიმილით) კამერგერობაზე უარს ვინ იტყვის? ამორჩევითაც, ამომირჩევენ, მაგრამ... წადი კარები ნახე, არავინ გვიყურებდეს! (ტქვიტიშვილი კარებს ათვალიერებს)

ტქვატ. არავინ არის, ნუ გეშინიანთ!
აგაღ. ახლოს მოდი! (ჩუმად) მე ის მათექრებს, რომ თურმე ცხონებულს მამა-ჩემს დეპუტატთა საკრებულოში, გვაროვნობის წიგნში არ ჩაუწერია, არც თავისი თავი და არც შვილები. არც მე ვარ აქამდის ჩაწერილი!

ტქვატ. თქვენი აზნაურობა ქვეყანამ იცის! რამ შეგაწუხათ?
აგაღ. რაც საბუთები მქონდა, წარვადგინე გეროლდიის დეპარტამენტში, მაგრამ შემომითვალეს, თვით ირაკლი მეფის ხელმოწერილი დოკუმენტი გამოგვიგზანეთო. რა მოვიფიქრო, არ ვიცი! ირაკლი მეფე სულ ომებს ანდომებდა დროს და საბუთების საწერად სად ეცალა!

ტქვატ. არხივებში უსათუოდ დარჩებოდა სადმე, მხოლოდ მოძებნა უნდა!

აგაღ. რომ ვიპოვიდეთ, ჩემი საცხოვრებლის ნახევარს არ დავზოგავ.

ტქვატ. მე წუხელის ისეთი სიზმარი ვნახე, რომ სწორედ ვიპოვით საბუთს!

აგაღ. რა სიზმარი! გლახა არაფერი იყოს?

ტქვატ. გუშინ სულ აზნაურების საქმეებს ვაკეთებდი და, შეიძლება, ძილში ჩამყვა. სიზმარში უცებ ფრინვა

დავიწყე. აფერინდი ზევით და ზედ გომბორის მთის კორტოხზე მოვექეცი და დიდ ცაცხვის ხეზე შევმოვჯექი. ჩემს განცვიფრებას საზღვარი არ ჰქონდა! ამ ცაცხვის ძირში სკამ-ლოგინზე იჯდა ჩვენი დიდებული მეფე ერეკლე! ნამდვილი ერეკლე. ზავზე სპარსული ქული ეხურა, სახე მოღუშული ჰქონდა... ხელში ეკავა ბატის ფრთის კალამი და რაღაცას წერდა. ბარათები შეიკრიკებს მიჰქონდათ იქით-აქეთ: მიამა მეფის ნახვა. ჩამოვფერინდი იმის ფეხების წინ და დაუჩოქე. მეფემ მკითხა მრისხანეთ: შენ აზნაურობის, თუ თავადობის საბუთი გინდა! ჩქარა მითხარი, რა ძღვენი მომიტანეო. თურმე საბუთებს არიგებდა.

აგაღ.

მერმე შენ რა უპასუხე!

ცქვიტ.

მე სიცილი დავიწყე, ვერაფერი მივხვდი! მეფე გაწყრა. მეცენ შეიკრიკები, მოკვლას მიპირობდნენ, მაგრამ მეფის ახლო ეს ჩვენი ტყავაძე იღვა, იმან მტნო და გადამარჩინა!

აგაღ.

ახირებული სიზმარია! მერე ტყავაძეს არაფერი ჰკითხე!

ცქვიტ.

მე რად ვკითხავდი! ახლაც საბუთები რომ ახსენეთ, იმიტომ მომაგონდა ეს სიზმარი! იქნებ კიდევ აგვიხდეს, იქნება ტყავაძემ მოსძებნოს სადმე! ახლავე დავუძახებ (ორჯერ დაჰკრავს ზასს).

ტყავაძე.

(შეშოდის) რას მიბრძანებთ, ბატონო!

აგაღ.

პეტრე მიხეილიჩ, სული ნუ წაგიწყდება, მართალი მითხარა, შენ გლახი ხარ, თუ მაძიებელი აზნაური?

ტყავაძე.

ძალიან უკაცრავათ ბრძანდებით ამისთანა სიტყვებისათვის, მე ტახტის აზნაურიშვილი ვახლავარ.

აგაღ.

მერმე საიდან იშოვნე! ტყავაძეები არ იყვნენ აზნაურები?!

ტყავაძე.

რა შოვნა მინდოდა! მე მაქვს საბუთი თვითონ ერეკლე მეფისაგან ხელ-მოწერილი და ბეჭედ და რტყმული.

- აგაღ. ერეკლე მეფისაგან?! მალე დაგამტკიცეს?
- ტყაფაძე. როგორც კი წავარდგინეთ საბუთი ღეროლდიაში, ორ კვირაში დამამტკიცეს.
- აგაღ. საბუთი სადღა იშოვნე?
- ტყაფაძე. არხივში ვიპოვნე.!
- აგაღ. მაინც სად?
- ტყაფაძე. რას მეკითხებით, საბუთების მეტი რა ყრია ლუბერნსკი პრავლენიაში დეპუტატ სობრანიაში და... სხვაგანაც!
- აგაღ. სხვა გვაროვნების საბუთიც შეგიძლია იპოვო?
- ტყაფაძე. რატომაც არა! თუ მოვინდომე, ყველაფერს გავაჩენ.
- ტყაფაძე. პეტრე მიხეილიჩ, შენ ბატონ მოურავს წაყვეი. შენთან სალაპარაკო საქმე აქვს. (ავაღიანს) მგონებ სიზმარი აგვიხდება და საბუთსაც ვიპოვით! ყოველივე ექვებიც მალე გაქრება.
- აგაღ. (ტყაფაძეს) შენ შემოიარე ჩემთან ქალაქის გამგეობაში. პირდაპირ ჩემს კაბინეტში შემოდი და იქ ერთ საქმეს მოგანდობ, თუ გაირჯები და შეასრულებ, იცოდე, მეფურათ დაგაჯილდოვებ.
- ტყაფაძე. მე თვითონ მინდოდა თქვენთან მოსვლა, ბატონო, დიდი სათხოვარი მაქვს. ღვთისა და თქვენის წყალობით, ახლა ჩემი შვილი ღემნაზიას ათავებს. სად შემიძლია მე იმას უნივერსიტეტში ფულები ვუგზავნო. შეხედეთ, ბატონო, ჩემს სიღარიბეს, ჩემს მოხუცებულობას და დაუნიშნეთ ჩემს შვილს ქალაქის სტეპენდია.
- აგაღ. ნუ გეშინია! მე ჩემს მფარველობას არ მოგაკლებ. შენ მხოლოდ ერთგულად გვემსახურე!.. მაშ ესტატე პეტროვიჩ, საქმეს შევუდგეთ! (ამ დროს შემოდის ამირანდო ქრისტინეს ოთახიდან).
- ტყაფაძე. შევქმნათ ტრიუმვირატი! მგოსანიც ჩვენია! ამირანდო (ხელს აკოშვს). სეკრეტებო ხომ არ გაქვთ!

- ჩქვიტ.** არა, იმის თაობაზე ვლამპარაკობდით, თქვენ რომ მიჩიეთ მეს; თუ კანდიდატად გამოველ, ეს თქვენი ბრალი იქნება და თუ გამაშავეს, მაშინ რაღას მეუბნებიოთ?!
- ამირანდო.** ჩემს კისერზე იყოს!
- ავალ.** ძალიან სასიამოვნოა! შრომა და მზადებაა საჭირო და უნდა შევეუდგეთ, მშვიდობით!
- ამირ.** რადგანაც მე დარწმუნებული ვარ, რომ ქვეყნისთვის ეს დიდათ სასარგებლო საქმე იქნება, მე თავს არ დავზოგავ!... ერთად წავიდეთ (სქდს აწმევის გრძობიერათ და შიდას).
- ჩქვიტ.** (გაჭყვება) ღმერთმა ბედნიერი ქნას ეს ჩვენი საქმე!
ტყავაძე (შარტოთ). ყველაფერი მეგონა, მარა თუ ჩვენს ქვეყანას ნასწავლი „რაზბონიკები“ მეესწრებოდა, ეს კი აღარ მეგონა! სადაური არხივებიაო? როგორც ვატყობ, ყალბი დოკუმენტი უნდა! ვიშოვნი მარა, კი დავუყენ ოთუზბირათ!..
- ჩქვიტ.** (შემოდის გახარებული). გადაწყდა! ბრძოლა იწყება და უკან დახევაც აწი არც მსურს და არც შემოძლია. ერთი ასეთი დღე კიდევ და გამარჯვებაც ჩვენი იქნება! შენ როგორ ატყობ? დასაწყისი ხომ კარგია?
- ტყავაძე.** ნიჩევო, ნიჩევო!
- ჩქვიტ.** ნიჩევო კი არა, ჩინებულათ მიდის საქმე! ბედი ჩვენსკენ არის!
- ტყავაძე.** ჰოკამესტ ნიჩევო, ბოლ ჰომოჩ! ნიჩევო, მარა იმის მეშინია, რომ ცოტა დრო დაგვრჩა! და უცებ რომ შენს ყუთში რამოდენიმე მეტი შავი კენჭი გადასრიალდეს, მაშინ რაღა ვქნათ?
- ჩქვიტ.** არ უნდა გადასრიალდეს!
- ტყავაძე.** მაინც სახეში უნდა გექონდეს, რომ ოუ ვინიცობაა პირველ კენჭის ყრაზე ვერ გავიმარჯვეთ, ისე უნდა მოვახერხოთ, რომ ეს კენჭის ყრა უკანონო იცნონ! და მეორეზედ უსათუოდ გავალო!

- ტქვატ.** ვითომ ეს საჭირო დარჩება?!
- ტყაგაძე.** ვინ იცის! ყველაფერი წინდაწინვე დავამზადოთ! იქნება შენ მოახერხო!
- ტქვატ.** მაგასაც მოვახერხებთ! (ჩუმათ) უნდა წარვადგინოთ ჩვენის პარტიიდან რამდენიმე ყალბი ვექილობა, მაგრამ ისე ლამაზათ გაკეთებული, რომ სიყალბე ვერავინ ვერ შეატყოს. მარტო ჩვენ ორმა უნდა ვიცოდეთ. ის კაცები მიიღებენ მონაწილეობას კენჭის ყრაში; თუ ჩვენ გავიმარჯვებთ, ჩუმათ ვიყოთ, და თუ საქმე საეკვოთ დარჩეს, მაშინ სიყალბეც გამოვჩხრიკოთ და კენჭის ყრაც გავაბათილოთ!
- ტყაგაძე.** (ღიმილით). ძალიან კარგი ოსტატობა იქნება, მარა ამისთვის ჩვენს მამლებს მერე კულებს არ დასკრიან?
- ტქვატ.** შიში ნუ გექნება, მახეს ისე გავაბამ, რომ შიგ ჩვენი მოწინააღმდეგეები ჩავარდნენ!
- ტყაგაძე.** თუ ყველაფერს ასე კარგათ გავაკეთებთ, მაშინ რისლა უნდა გვეშინოდეს! ახლავე გილოცავ სრულ გამარჯვებას.
- ტქვატ.** გმადლობ, ჩემო ძველის ძველო მეგობარო! გადამეხვიე! მე შენს ამაგს სიკვდილამდის არ დავივიწყებ! (ეხვევიან და ჰქოცნიან ერთმანეთს) ჩემო პეტრე მოციქულო!
- ტყაგაძე.** თქვენ კი გაიმარჯვებთ, მარა ჩემი საქმე წახდა!
- ტქვატ.** შენი საქმეც უკეთესათ იქნება!
- ტყაგაძე.** როგორ იქნება უკეთესათ, ამდენ ხანს მე მართლა ყოვლის შემძლებელი პეტრე მოციქული ვიყავი, ახლა კი ვატყობ, რომ შენ ჩამჩრდილე და პირველობაც შენ გრჩება. მაგ ოინს მე ვერასდროს ვერ მოვახერხებდი!
- ტქვატ.** (სიხარულით) ოო, ასეც უნდა იყოს!... მე პეტერბურგის უნივერსიტეტი გამითავებია, ექვსი წელიწადი ვიყავი სტუდენტად! ტყუილად ხომ არ მი-

სწავლია! მე ფრთები უნდა გავშალო და ჩემი ძა-
ლაც ვაჩვენო ქვეყანას. უნდა გავიმარჯვოთ! შენც
ბედნიერად გაგხდი! რომ შენს ბედს ყველა შენატ-
როდეს.

ტყაგამე. მაგ შენ ლამაზ ენას ვენაცვალე! რომ ასეთი ნი-
კიერი ხარ! (კიდევ ეხვევიან ერთმანეთს და ჰკოცნიან).

შ ა რ დ ა

მომხილველ მისამი

(მარშლის თ-დ დიდებულიძის სახლი. სცენა წარმოადგენს მარშლის სადარბაზო ოთახს და მის კაბინეტს. სადარბაზო ოთახი ძვირფასათა და მდიდრულათ არის მორთული ევროპიულ გემოვნებაზედ. კედელზე უმაღლეს პირთა სურათებიც არის ჩამოკიდებული. კნების ტასოს დიდი სურათიც არის. კაბინეტიც მდიდრულათაა მორთული, მაგრამ უფრო ქართველური ელფერი აქვს. კედელზე თამარ მეფის სურათიც ჰქვია. ხალები, თოფ-იარაღი, ძველი ნივთები. საწერ სტოლს გარდა, კარგათ გაწყობილი კუშეტკაც არის ერთ კუთხეში. კაბინეტს და დარბაზს კარები აერთებს).

I

(მოსამსახურე ათაგებს დარბაზის დასუფთავებას და წასვლას აპირებს, რომ შემოდის ზ. მ. ტყავაძე.)

ტყავაძე. (კოხტათ გამოწეობილი ახალ ჩოხაში, ვერცხლის ქამარ-ხანჯლით და ქილებით. კაკარდიანი ქუდიც ახალი აქვს. საიდუმლოს კილოთი ეუბნება) ჯერ კნენია ხომ არ ამდგარა?

მსახური კოტე. ოო, პეტრე მიხეილიჩ, გამარჯობა თქვენი! (ხელს უწვდის ჩამოსართმევად).

ტყავაძე (მწერალათ ახედ-დახედავს, მარა ხელს მაინც მისცემს). ახლა კი გართმევ ხელს, მარა, იცოდე, სტუმართან არ წამომიპოტინო!

კოტე არ გეკადრება ვითომ თუ? ახლა ძველი დროი აღარ არის! თანასწორობა მოდის, ვერ შეიტყვეთ?! და თავისუფლებაც უკან მოსდევს.

- ტყაგაძე.** არ გაგიგონოს შენმა ბატონმა, თუ არა ახლავე მოგცემს თავისუფლებას. გკრავს პანჩურს და ადგილიდანაც გამოგაგდებს.
- კოტე.** გამაგდებს თვარა ჩინები არ წამართვას. სანამ მუშაობა შემძლია და ჯანლონე მაქვს, რა მიჭირს! ვისი უნდა მეშინოდეს? იმან იკითხოს, ვინც უშრომლათ დროს ატარებს, რომ უჩვენოთ შიმშილით მოკვდება! ნუ გეშინია, პეტრე მიხეილიჩ, გაბედვ ხელის ჩამორთმევა! მე და შენ ერთ ტაფაში ვართ! მალე იგენიც ჩვენსავით დაგლახდებიან.
- ტყაგაძე.** ძან ცდები მაგ სიტყვებისთვის! არ ფიქრობ და ისე ამბობ. ბიჭო, შენ რომ მარშალთან მე ხელი გამომიწვადო, მერე მარშალი მე ხომ აღარ ჩამომართმევს ხელს? შენი ხელი უნდა მერჩიოს, თუ მისი? რას მომცემს მე შენი ბანჯგელიანი ხელები? მისი ფუნთულა ხელი არ მირჩევნია?!
- კოტე.** რა ნახე ამ დიდ კაცებში, რომ სულ უძვრები! ვერ ხედავ, რომ მაგენის დროი წასულია? ყველაფერი ხელიდან ეცლებათ!
- ტყაგაძე.** ბიჭო, არ დამღუპო, ჩუმათ თქვი! შე სულელო, ხელიდან რომ ყველაფერი ეცლებათ, იმიტომ უნდა უფრო დაეუახლოვდეთ. სიმდიდრეს სამარეში ხომ ვერ ჩაიტანებენ! ჩვენ არ დაგვრჩება? შენს წინ რომ აქ ლაქიად ივანე იყო, გახსოვს?
- კოტე.** ხო, მერე?
- ტყაგაძე.** ხო და, ქკვიანი ბიჭი იყო, მარტო ხუთი წელიწადი იყო მარშალთან და ახლა, ვერ ხედავ რა ევროპისკი გასტინიცა გამოქიმა პროსპექტზე? მარშალი ახლა თვითონ სესხულობას მისგან ფულებს და ხელსაც კარგა ლამაზათ ართმევს. აი, აქაა, შე სულელო, თანასწორობა, შენ თვითონ უნდა ამალლდე და იგენს გაუთანასწორდე... თუ იმას უცადე, რომ სანამ იგენი დაგლახდებიან და სიგლახემი

გაგვისწორდებიანო, მაშინ შენი საქმე დაღუპული იქნება! კოტე, ჭკუით იყავი, ჭკუით და ისარგებლე დროით... მარა, მე რას გარიგებ, შენ ისედაც კაი ბიჭი ხარ, წადი, შენი ჭირიმე, და ჩუმათ უთხარი მარშალს, რომ მეაქა ვარ. არ დამკლა კაცი, კნეინამ არ შეიტყოს!

კოტე. რა გაქვთ ასეთი საიდუმლო? წუხელის ღამის სამ საათამდე სულ კაბინეტში ყურყუტობდა და შენ გიცილიდა.

ტყავაძე. კოტე, გენაცვალე, ჩქარა შეატყობინე და უპატივცემულოთ არ დაგტოვებ, წადი, თუ ძმა ხარ! წადი (ხელს ჭკიდებს და კარებისკენ მიჰყვება).

კოტე. ხომ კაი „მალარიჩი“ იქნება!

ტყავაძე. ოღონდ საქმე მშვიდობით გათავდეს და იქნება! ნულარ მაგვიანებ!

კოტე. ახლავე გამოგიგზავნი (მიდის).

ტყავაძე. (მარტო). ჩვენი მარშალიც ჩემს მრევლში ჩაეწერა. ციციხო კაი საკნატუნებელი იქნება, უსათუოდ გამირიგეო, მე კი მოვუყვანე და გარიგება თვითონ მოახერხოს... არ ვიცი, არ ვიცი... ძაან კერპია ი დალოცვილი ციციხო, ძლივს წამოვიყვანე (ათასს ათვადიერებს და გახერდება კნეინა ტასოს დიდი სურათის წინ). თუ ჩემმა ესტატემ იმარჯვა, მგონებ უფრო ადრე ჩაკნატუნებს კნეინა ტასოს, ვინემ, მარშალი მის ციციხო... ჰე, სადაა ამდენ ხანს მარშალი! არ გამეჩქეს ე ქალი! (კარებს გაადებს და გაიხედავს).

მარშალი დიდბუღიძე (შემოდის რიხიანათ კაბინეტში, მობრუნდება და კარებს დაჭკეტავს, მეჩმე გადის დარბაზში, და დიდკაწურათ ხელს უწვდის ტყავაძეს). კაცო, სად დაიკარგე ამდენ ხანს?

ტყავაძე. (აწთმევს ორივე ხელებით) თქვენო ბრწყინვალეზავ, მოვიყვანე, აქ იცილი?

- დად.** სად იცდის? წუხელის რად არ მოიყვანე?
- ტყავაძე.** უქეიფოთ იყო, თავი სტკივოდა, თქვენო ბრწყინვალეზავ!
- დად.** ახლა, ძალიან ცუდ დროს მოიყვანე! დღეს ჩემი კნენის დღეობაა! საცაა, სტუმრებიც მოვლენ!
- ტყავაძე.** აბა უკანვე წავიყვან! მადლობა მაინც ათქმევინეთ, რომ მამა მისის ადგილი გაყიდვისაგან დაიხსენით.
- დად.** მაინც მომგვარე, მხოლოდ არავინ დაგვინახოს!. შენ ყარაულად გაჩერდი. კოტე! (ბიჭი თავს გამოჭყოფს! მარჯალი ჩუმად ეუბნება). თუ კნენა თავის ოთახიდან გამოვიდეს, მაშინვე შემატყობინე! შორს არსად წახვიდე! (კოტე იმალება. ტყავაძეც მიდის. მარჯალი ღელავს, დადის, კაბინეტშიც შეიხედავს და ისევ კაცს დახუჩავს) ოხ, რა ცუდ დროს მოიყვანა! ყველაფრამდის გაფუჭებულია ეს ტყავაძე! ხეირიანათ არაფერს გააკეთებს. (წვეკებს, თმას და ტანისამოს ისწორებს).
- ტყავაძე.** (შემოიყვანს ციციანოს) შემოდი, ბოშო, ნუ გეშინია!
- დად.** ოო, მობრძანდი, მობრძანდი! (ხელს აწოშავს. ტყავაძე გადის) დიდათ მოხარული ვარ, რომ კიდევ მოხველით ჩემთან. თუმცა ბევრი წვალეზა დამჭირდა, მაგრამ მაინც იმდენი მოვახერხე, რომ თქვენი სურვილი შევასრულო! დავიხსენი გაყიდვისაგან თქვენი ადგილ-მამული! ახლა ხომ მაინც დაწყნარდით!
- ცაც.** დიდი მადლობელი ვარ, ბატონო, ყველაფრისათვის. თქვენ რომ არ დამხმარებოდით, საცოდავი მამა-ჩემი უსახლკაროდ დარჩებოდა!
- დად.** დარჩენილიც იყო უსახლკაროდ, მაგრამ რაკი საქმეში მე ჩავერიე, იმიტომაც კარგათ გათავდა! აქეთ წამოდი, აი აქ დაბრძანდი!
- ცაც.** სახლში მიმეჩქარება. მე მოვედი, რომ უგულითადღისის მადლობა შემოგწიროთ. ღმერთი გადაგი-

ხდისთ სამაგიეროს, გმადლობთ, რომ ჩემი გული-
სთვის გაისარჯეთ! მშვიდობით ბრძანდებოდეთ
(თავს უკრავს).

დიდ. (ციცინოს ხელს ათმევეს) აბა ვისთვის უნდა გავი-
სარჯო? თქვენისთანა კეთილშობილი, სათაყვანო ქა-
ლი რასმეს მთხოვდეს და არ შეეფასებო?

ციც. ჩემი საცოდავობისთვის გაისარჯეთ! მე კი ჯერ-
ჯერობით არაფრით არ შემძლია სამაგიერო გა-
დაგიხადოთ.

დიდ. ცოტა მოითმინე, აი დაჯექი (ძალით აყენს) შენი-
სთანა კეკლუცს არსებას სამაგიეროს გადახდა ყო-
ველთვის შეგიძლია! რა ნაზი და სანდომიანი ხე-
ლები გაქვს? ბექედს რად არ ატარებ ამ თითზედ.
ნუ თუ არავინ გიფეშკაშა?!

ციც. ბექედი არ მიყვარს.

დიდ. როგორ იქნება?! ბექედი ხელებს მშვენებას უმა-
ტებს, უბექდოთ როგორ შეიძლება? მე შენ გაგა-
ტან სამახსოვროდ! ზურმუხტის თვალი აქვს (მარც-
ხენა ხელიდან აძრავს და ციციანს უკეთებს).

ციც. (წამოღგამას ახიანავს) არა, ბატონო, ღირსი არა ვარ,
ნუ ირჯებით!

დიდ. შენ ყველაფრის ღირსი ხარ! აი უყურე, როგორ
დაგშვენდა!. რა მომხიბვლელი ხელებია! როგორ
გაუძლოს ვაჟკაცის ტუჩმა, რომ ზედ არ ეამბო-
როს!.. (ხელზე კოცნის).

ციც. (შეკრთება) აჰ, რას შობი, ბატონო, როგორ გეკად-
რებათ ხელზე კოცნა!

დიდ. ამისთანა ანდამანტი ხელის კოცნა ნეტარებაა. ხელ-
ზეც გეკადრება კოცნა და პირზედაც! შენი თვა-
ლები, ხომ მთელი შავი ზღვაა, ვენაცვალე მე ამ
თვალეებს (გრძნობიერათ ხელს ჭკიდეებს და კოცნის თვა-
ლებში, ღოუებზე) ვენაცვალე ამ ვარდის ლოყებს,
ამ ბროლის ტუჩებს.

- წმც. (წამოფარდება) ვაიმე! აგი რას ნიშნავს?!
- დად. ნუ შეგრცხვება, არავინ გვიყურებს! კარებზე ყარაულ-ლები მიყენია! უმჯობესია მაინც კაბინეტში შევიდეთ!.. (კაბინეტისკენ მიეზიდება).
- წმც. ღმერთო! რა გნებაესთ, რა მინდა მე იქით!
- დად. წამოდი და მერმე შეიტყობ. (ძალით მიჭყავს, თან ჭკოცნის).
- წმც. ხელი გამიშვით! არსად არ წამოგყვებით! მე თქვენ მამასავით გიყურებდით.
- დად. წამოდი! რაღას მტანჯავ! ნუ გეშინია, ვერავინ შეგვიტყობს!
- წმც. ხელი გამიშვით, ნუ თუ თქვენც ცუდ რამეს მიპირობთ?
- დად. ნულარ იგვიანებ! ცუდს რას უნდა გიპირობდე? განა მე ცქციტიშვილზედ უარესი ვარ? იმას თუ გამოეკიდე, მე რა ვარ! მე უკეთეს პატრონობას ვერ გაგიწევ? წამოდი, ჰო!
- წმც. (უძაღდება) თავი დამანებეთ! ერთ წამსაც აღარ მოვიცდი აქ! ხელი გამიშვით!
- დად. ეჰ, რას აჭირვებ საქმეს! შენს მეტიც კი გვინახავს ლამაზი ქალი! ხომ ყველაფერი გითხრა პეტრიამ? მეტი გზა არ გაქ, უნდა დამნებდე!
- წმც. (გაუსხლტება) თქვენც ისეთი უნამუსო ყოფილხართ, როგორც სხვები. ახლოს არ მომეკაროთ! (კაკებს ეტაკება) გამიღეთ კარი! აქ სად მოვსულვარ! აგი რა მემართება!
- დად. (მივარდება და ხელს წააფლებს) აქეთ წამოდი! კარები დაკეტილია, ყველგან ყარაულები მიყენია!
- წმც. ვიყვირებ და მთელ ქვეყანას შევეყრი!
- დად. რამდენიც უნდა იყვირო, ვერავინ გაგიგონებს. (კაბინეტისკენ ეწევა).
- წმც. (კიდევ გაუსხლტება) ბატონო, ნუ მეპყრობით ასე უნამუსოთ, შეხედეთ ჩემს ახალგაზღვობას! მე ხომ

- პირუტყვი არა ვარ, რომ ყველას ვეკუთვნოდეთ. თქვენი ქალიშვილი რომ ასეთ მდგომარეობაში ჩავარდნილიყო, რას იქმოდით მაშინ?! რა გინდათ ჩემგან, მე ერთი საწყალი; უძლური, ნამუს-ახლილი ქალი ვარ! მაკმარეთ ის უბედურება, რაც გამოვცადე! თავი დამანებეთ! რა ნახეთ ჩემში, რომ ყველა ასე უღმერთოთ მაწვალებთ! გამიშვით სახლში...
- დიდ.** არას ღროს! მე შენ ვერ გაგიშვებ! ჩემი ტუჩი რომ ქალს მიეკვრება, ის უსათუოდ ჩემი ჭნდა იყოს!.. მართლა, რა გააკირვე საქმე! ვინ გგონივარ მე? მე—გიორგი დიდებულისძეს მეუბნები უარს? მე შენ გიბრძანებ, თუ შენზე თხოვნამ არ გასჭრა!
- ცაც.** (მჩისსანეთ) მე თქვენს ბრძანებაზე არ დავიარები. ჩემი მბრძანებელი ჩემი სინიდისია! თქვენ თავადიშვილი კი არა, მხეცი ყოფილხართ! ახლოს არ მომეკარო!
- დიდ.** (ასლას მიიწევს) როგორი მხეციც ვარ, ახლავე დავიმტკიცებ.
- ცაც.** (უკან გაქანდება. უბიდან რეფლექსს იღებს) ახლოს არ მომეკარო, თორემ სიცოცხლეს მოგისპობ.
- დიდ.** (გაკვირვებით შესდგება) ჰერი ჰაა! ეს ზარბაზანი საიდან გააჩინეთ?!
- ცაც.** ჩქარა გააღე კარი! თორემ ახლავე გესვრი!
- დიდ.** არ გაგიყდე, არ დატოვო მთელი ქვეყანა უმარშლოთ! კაცის მკვლეელი გინდა გახდე?
- ცაც.** ჩქარა უბრძანეთ, რომ აქედან გამიშვან! თავი რაღად მინდა ცოცხალი, თუ ყოველგან ასე იქნება! ფუჰ, თქვენს ნამუსს! ჩქარა დაუძახეთ ბიჭებს!
- დიდ.** ხო, კარგი, კარგი! რომ შემეხვეწო, აღარ დაგტოვებ! დაწყნარდი მაინც, ასე აღელვებულს ხომ ვერ გაგიშვებ აქედან. სულ ხელები გიკანკალებს. მართლა არ გაგივარდეს და არ მესროლო!

- ცოც.** მომძულდა ასეთი სიცოცხლე! ქვეყანაზედ აღამიანები არ ყოფილა! ცოცხალი რაღად მინდა თავი!
- დად.** ხომ ხედავ, რომ აღარაფერს გერჩი, ნულარ მიმიზნებ. შენ ქალი ხარ, უცებ არ გაგივარდეს (ისმის წაჩის ხმა).
- კოტე** (შემოფარდება) კნიაზო, კნენაც ადგა და ვილაც მთხოვნელებიც მოვიდენ.
- დად.** სად არიან?!
- კოტე.** აგერ იცდიან—კარრიდლორში!
- დად.** ხომ არაფერი გაუგონიათ, თუ იცი! ქალო, შეინახე მაგ რევოლვერი, სირცხვილია, რას იტყვიან? დაწყნარდი!
- ცოც.** კიდევ უფრო ვიყვირებ! მთელმა ქვეყანამ შეიტყოს, რა კაციც ბრძანებულხართ!
- დად.** შენ ვინ რას დაგიჯერებს?! ისევ შენ გაგლანძღავენ, ნულარ ჯიუტობ. მე ხომ შენზე ძალადობა არ მინდოდა, მე ბეჭედიც ხომ მოგეცი! მე მხოლოდ შენი გამოცდა მსურდა შენ პატიოსანი ქალი ყოფილხარ!
- ცოც.** (საჩქაროთ იძვრებს თითიდან მის ბეჭედს და გადაუგდებს). მე თქვენი არაფერი მინდა, თქვენი ბეჭედიც უნამუსო იქნება (ბეჭედს კოტე იღებს). სადღა მთხოვნელები, რატომ არ მოდიან?
- ტყავაძე** (შემოფარდება). დავიღუბეთ კაცი! ცქვიტიშვილი მოდის.
- დადებ.** ვინ?
- ცოც.** ესტატე?! მერმე მე?!
- ტყავაძე.** შენ აქ ამდენხანს რას აკეთებ? ესტატე გაგიყვდება, ყველას მოგვეკლავს!
- ცოც.** მერმე?! მე რა ვქნა?
- ტყავაძე.** გუშინ არ გითხრა, არსად წახვიდე სახლიდანო?
- ცოც.** მერმე, შე უსინიდისოვ, რისთვის წამომიყვანე?

ტყავაძე. შენ არ მითხარი, მადლობა მინდა მარშალს გადა-
ვუხადოვო! ჩქარა დამალე? რა გაქ მაგი ხელში
(წიწინო მალავს). თქვენო ბრწყინვალეობავ! უშვე-
ლეთ რამე ამ საცოდავ ქალს? დამალეთ სადმე!

დად. სადღა დავმალო—იქიდან კნენა ტასო მოდის და
აქედან კი ცქვიტიშვილი. ე, რა ხათაბალაში გამა-
ბი, შე უტვინოვ, რა დროს ახლა მოყვანა იყო?

ტყავ. ციციხო, სთხოვე, სადმე დავმალოს, თორემ ხომ
იცო, თუ ესტატემ აქ გვნახა, დავიღუპეთ კაცი!
ჩემი შვილები მაინც შეიბრალებ! ულუკმა-პუროთ
დარჩებიან!

წაწ. რა ვქნათ! სად დავიმალო, აქ ვერც მე ვეჩვენები
ესტატეს.

დად. შეიყვანე იმ ოთახში, კარები ჩაიკეტოს და ხმა არ
ამოიღოს.

წაწ. იიქ?! იქ არაფრამდის არ შევალ! მერმე როგორ
გამოვიდე?

დად. (აძლევეს გასადებს) ჰა, გასაღები! იქიდან კარები და-
კეტილია და ვერავინ შემოვა. ეს კარები თვითონ
შენ დაკეტე! როდესაც ზალაში არაკაცი იყოს,
გამოდი ჩუმათ და გაიპარე!

წაწ. (უფემანახს) იქ, მერე ვერავინ მნახავს?

ტყავაძე. ჩქარა წადი. (ჩუმათ) ესტატე მგონებ აგერ კარებს
მოადგა, ჩქარა (მოჭკვიდებს ხელს და სსჩქაროთ კაბინე-
ტში მსჭყავს).

დად. კოტე, აქ არაკაცი შეუშვა! ფრთხილათ იყავი,
კნენამ თუ გკითხოს, გასაღები ბატონმა წაიღო-
თქო! (კოტე მიდის)

წაწ. ღმერთო, შენ ხარ ერთი ჩემი მფარველი (შედის
კაბინეტში), შენ შემეწიე და დამიხსენი ამ ურჯუ-
ლოებისგან.

- ტყავაძე.** წყნარათ იყავი, არ დაგელუბო! მე თვითონ წაგიყვან მერმე სახლში. (გადის და კარებს უხურავს, ციციწი შიგნიდან კეტავს).
- ცაც.** (ღმერთს ევედრება) ღმერთო, მშვიდობით გამიყვანე აქედან! (კუთხეში იმალება).
- ტყავაძე.** (მარშალს) მთხოვნელები შემოვიყვანო, თქვენო ბრწყინვალეზავ?
- დიდ.** გაეთრიე აქედან! რომ შენი ფეხი არ ვნახო ჩემს ოჯახში, შე გაიძვერავე, შენა! რა დროს ეხლა მოყვანა იყო? (ტყავაძე სიჩქარით გაძვრება).
- კოტე.** (ჭიქით ნარზანი მოაქვს) კნიაზო! იქნება ნარზანს მირთმევთ, მთხოვნელები მოდიან!
- დიდ.** ჰოშოლ ვონ! თავზე გადისხი! უთხარი, მოეთრიონ ვინც არიან! (კოტე მიდის. მარშალი ადგეუბული ოთახში დადის და უფვაშებს იგრებს. შემოდის ჩოხეში კარგათ გამოწყობილი თავადი ჰრახორშიკი და აზნაური, თავადს ლეკურიც ჰკიდა, აზნაურს კი მარტო ხანჯალი. ორივე დიდის მორიდებით თავს უკრავენ).

II

- თავადი.** კნიაზ მარშალს ვახლავართ.
- აზნაური.** ბატონიშვილს გაუმარჯოს!
- თავადი.** ხომ კარგათ ბრძანდებით, ბატონო!
- დიდ.** (ხელს აწთმევს) გმადლობთ! დაბრძანდით! ვარ ისე უგუნებოთ! ხვალიდან ხომ კენჭის ყრა იწყება და, რა თქმა უნდა, დიდი ტანჯვა მომელის! რაზედ გარჯილხართ, დაბრძანდით!
- თავადი.** ჩვენ, ბატონო, ახლა რომ კორპუსი გაგვიხსნეს, იქინეი გვინდა შვილები მივაბაროთ სახელმწიფო ხარჯზე და გთხოვთ სილარბის მოწმობა მოგვცეთ, თქვენ ადგილ-მამული კარგად უნდა გქონდეთ? მარა მოწმობას მაინც მოგცემთ!

თავადი. ქე მქონდა, ბატონო, გვარიანი მამული, მარა შემიჩთენ იქიდან-აქედან, პაჩოტნი ყარაულათ წადი, ჩინს მოგცემნო, და ბევრი ფული ღამქირდა. პრაპოშჩიკობა ქე ვიშოვნე, მარა ნახევარი ადგილ-მამული მევალებმა წამართვეს და ახლა, დიდი-დიდი 20 დესეტინა მიწა მექნება.

ახუნაურა. მე, ბატონო, მაგის ნახევარი არ მაქვს! ორი ვაჟი და ოთხი ქალი მომცა ღმერთმა, ცარიელი იგენის წულის ყიდვას ვერ აუთავდი. არ დაგიმაღავ, ბატონო, და ძალიან გაჭივრებაში ვართ. თვითონ მე ვმუშაობ! ხელებზე ტკვფშები მაქვს ავარდნილი! მაინც სულ იმის ფიქრში ვარ, რაცხა პატარა მიწა მაქვს, იგიც ბანკმა არ გამიყიდოს. მოგვეხმარე, ბატონო, იქნება შვილები მაინც გამოგვიზარდონ სახენწიფო ხარჯზე! მოწმობასაც ნუ დაგვიკავებთ.

დად. დიდის სიამოვნებით! მოწმობას დღესვე გადმოცემთ, მარა იცოდეთ, რომ კიდევ მაგისთანა მოწმობა პოლიციასაც უნდა გამოართვათ! სწორეთ სირცხვილია ჩენი წოდებისათვის, რომ ასე ცოტა მამული გქონებიათ, დაბრძანდით! რას გაჩერებულხართ (ჯდებიან). მარტო მაგისთვის გაისრჯეთ და ამის სიშორეზედ წამოდით!

თავადი. მაგი საქმეც გვქონდა და ისეც, ჩვენ კენჭის ყრაზე ჩამოვედით!

ახნ. ცოტას მაინც გვეიხედ-გამევიხედავთ და სულს მოვითქვამთ. ავსა და კარგს შევიტყობ, თორემ სწორეთ დავყრუედით, ბატონო, სოფელში, ფოჩტა ჩვენ არ გვაქვს და გზაი, გაზეთი არ მოგვდის და წიგნი, და საიდან უნდა შევიტყოთ რამე?

დად. ძალიან სასიამოვნოა, რომ კენჭის ყრას ინტერესით ეკიდებით. ცოტა ხარჯი კი მოგივათ, მარა რა გაეწყობა, საზოგადო საქმეს!

- თაგადი.** ჩვენ, ბატონო, ერთი კაპეიკი არ დაგვეხარჯება.
- დიდ.** როგორ? უქმელი ხომ ვერ გასძლებთ?
- თაგადი.** ჩვენ, ბატონო, ცქვიტიშვილის სტუმარი ვართ. იმან დაგვპატიჟა და იმის ღარჯზე ვართ.
- დიდ.** (გაკვირ.) მართლა? მერე ცქვიტიშვილს თქვენისთანა სტუმრები ბევრი ჰყავს?
- თაგადი.** სამი ვაგონი კენჭის კაცი ერთად ჩამოვედით! კიდევ ბევრი მოდიან.
- აზნ.** მთელი აზნაურობა მისკენ არის!
- დიდებ.** საკვირველია! მერმე თქვენ თვითონ იცნობთ ცქვიტიშვილს?
- თაგადი.** ესტატიე ცქვიტიშვილს, ბატონო, ვინ არ იცნობს? თავმდაბალი, მსუყე პურმარილიანი, ყველას შემწე, ქვეყნისთვის სასარგებლო კაცია! აქაც ის მოგვეყვა. თვითონ გვასწავლა გზაი.
- დიდებ.** მერმე სად წავიდა?
- აზნ.** დეპუტატებთან შევიდა აქვე, ბატონო, საკრებულოში.
- დიდ.** (დგება, მასთან სტუმრებიც). მაშ ჩვენც იქით წავიდეთ, თუ დღესვე მოწმობა არ მოგეცით, მერმე დროც აღარ გვექნება.
- თაგადი.** დიდი მადლობელი ვიქნებით, ბატონო.
- აზნ.** ჩვენი შვილების მადლი გაცხონებს, ბატონო! (შიდიან).
- ცაცინო.** (კაბინეტში ჯერ იმალება, მერმე დაწყინადა, და ოთახს დაუწყო თვალიერება; შემდეგში ჩუმათ წამოვიდა კარებისაკენ და დაეყურა). მგონებ წავიდენ. მადლობა ღმერთს! (კარებს ადებს და დაბზაზში გამოდის). უნდა გავიპარო, იმ ოთახს მე ვერ ვენდობი. ტატომ არ დამინახოს მაინც! (ფეხსაკრეფით შიდის).
- კენენა ცაცინო.** (მთისმის მისი სმა გარედან). ბიჭო, დარბაზში არავინ არის?!
- ბაჭის ხმა.** არაფერ, ქალბატონო!

- ცაცინო** (შეკრობა და უკანვე შემოტრიალდება). კნენა მოდის, ხომ დავიღუპე, თუ დამინახა! (ისევ კაბინეტში შედის, კარებს მოფხურავს. შავრამ დაკეტვას ვერ ასწრებს).
- კნენა** **ტასო** (შემოდის ძვირფას ტანისამოსში). კოტე! კოტე! (შემოდის ბიჭი) ჯერ ცქვიტიშვილი მოსალოცავად არ მოსულა?
- კოტე**. მოვიდა, ქალბატონო, მარა აქ მარშალს იყო და დეპუტატებთან შევიდა.
- ტასო** (ისუნთქავს). ჰმ, ჰმ! აქ რალაცას სუნია! კოტე, აქ ქალი ხომ არავინ ყოფილა? ასეთი „ღუხები“ კაცს ხომ არ ექნებოდა? ალბათ ახალი ვინმე გაიჩინა? ვინ იყო მაინც?
- კოტე**. არა კაცი, ქალბატონო!
- ტასო**. შენ რას გეშინია, მე არ გაგამხელ—აქ უსათუოდ ყოფილა ვინმე, მე ყნოსვა არ მომატყუებს.
- კოტე**. დასამალი რაა! თქვენ რომ ფიქრობთ, ქალბატონო, იმისთანა არაკაცი ყოფილა! წელან ერთი ახნაური შვილი იყო და ადამის წლის ცოლი მოჰყვა, იგი დატოვებდა ქალის „ღუხებს“.
- ტასო**. მართლა? (საჩუქში ისედება) მაშ წადი ახლა და მარშალს უყარაულე, თუ სამსახურიდან გამოვიდეს, მაშინვე შემატყობინე. გესმის? არა კაცი არ მიიღო ჩემთან ცქვიტიშვილის გარდა. (ჩუმათ) თუ აქ არ ვიყო და ის მოვიდეს, პირ და პირ ჩემს ბუღუარში შემოიყვანე. კარრიდორში არ გაატარო, ჩუმათ შეიყვანე კაბინეტში და იქიდან ჩემს ოთახში. თუ ბატონმა რამე შეიტყო, ერთს დღესაც აღარ გაგაჩერებ. მიხვდი? (კოტე თავს უქნევს და მიდის. ცაცინო—ცქვიტიშვილის სახელის გაგონებაზე გაკვირვებაშია და მღელვარებას. კნენა ტასო თმას ისწორებს) როგორც იქნა ცქვიტიშვილიც ხელში ჩამივარდა, კარგ დროსაც არის! აკი ამბობდენ, ვილაც ციციხო მოიტაცა და

იმას ეტრფისო, მარა quelle comparaison! moi, célèbre princesse, elle, — miserable paysane სოფლის გომბიო II ТОЛЫКО!

- კოტე** (შემოდის). კნენა! დევდარიანი მობრძანდა!
ტასო. აკი გითხარი, არავინ მიიღო-მეთქი!
კოტე. არ დამიჯერა, უშველებელი ბუკეტი მოგართვათ!

III

- დედ.** (შემოდის. თავიგულს მიატოვებს და ხელსე კოცნის).
 je vous félicite chère princesse sincèrement et cordialement! უქეიფოთ ხომ არ ბრძანდებით, რომ არავის მიღება არ გდომებიათ?
- ცინცინა.** დევდარიანი!!
- ტასო.** დღეს კოტა უქეიფოთ ვარ! და შენს მეტს არავის არ მივიღებ, ისიც ნათესავი რომ ხარ იმიტომ. (ჯდება).
- დედ.** (ჯდება) კნენა, ეს როგორ შეიძლება? თქვენი დღეობაა! მხიარულათ უნდა დაუხვდეთ ყველას. ამდენი თავად-აზნაურობა არის ჩამოსული, ამდენი ხალხი მოზღვავედა! ყველა უნდა მიიღოთ, ასე როგორ შეიძლება?
- ტასო.** სრულებითაც არ მივიღებ. ჩემი გიორგი ახლა ხომ არ იყრის კენქსა და ტყუილათ თავი რად შევიწუხო? (თავიგულს ბიჭს აძლევს, რომელიც ვაზაში ხსნდება და მიდის).
- დედ.** მარშალი არ იყრის, მაგრამ მე ხომ ვიყრი კენქს? თქვენის გავლენით, თვენის მოხერხებით, მე უნდა დამეხმაროთ! თქვენზეა ჩემი იმედი დამყარებული. ამ ოთხის წლის წინათ, მე უთქვენოთ ვერას დროს ვერ გავიდოდი ბანკის მმართველად! კნენა, გაისარჯეთ ამ წელშიც, ერთი თქვენებურად დატრიალით და დამეხმარეთ!

- ტასო.** ახლა მე რაღა დახმარება შემძლია! მაშინ ხომ მოწინააღმდეგე არავინ გყავდა! ახლა კი თვითონ შენ გაიჩინე ძლიერი მეტოქე!..
- დეკლ.** ჩემი მეტოქე ცქვიტიშვილია, და ის კი სჯულდებით არ არის ძლიერი! იმისთვის ყურადღებაც არ მიმიქცევია!
- ტასო.** აი თავათ მაგაშია შენი შეცდომა, რომ თავის დროზე ყურადღება არ მიაქციე და ახლა კი გვიანი არის! ის ძალიან მარჯვე, ნიჭიერი და შეძლებული კაცია!
- დეკლ.** მერე ვინ არის მისკენ?
- ტასო.** tous le monde, გიორგი ნუ მომიკვდება! რას ეშლებოდი, ყოფილიყავი შენთვის და ქე იქნებოდი! რა მოხდა თქვენშორის ასეთი?
- დეკლ.** მე ხომ არ ავშლილვარ! ბანკის ვეჭილობა არ მივეცი და იმაზედ გადამეკიდა!
- ტასო** (ღიმილით). ჩემთან რომ ტყუილი არ გაგივა, არ იცი? „cherchez la femme, cherchez la femme“ ხომ გაგიგონია!
- დეკლ.** თუ კი იცი, რაღაზედ მეკითხებოდით!
- ტასო.** „კრასსავიცა“ ციცილოც აღარ დაგანება და ბანკსაც გართმევს! ჰა!
- დეკლ.** ბანკს ვერას დროს ვერ წამართმევს და ციცილო, დღეს რომ მოვინდომო, დღესვე ჩემი იქნება.
- ტასო.** საიდან იქნება, ამბობენ ცხრა კლიტულში ჰყავსო.
- ნიცანო** (მდედვარებს). ჩემზე ლაპარაკობენ!
- ტასო.** გრიშა! მე ვიცი, რანაირად იტანჯები შენ ციცილოს გულისთვის. მართალი გითხრა, ძალიან მებრალები! ალბათ იმედიც დაკარგული გაქვს და გინდა ჯავრი ცქვიტიშვილზე ამოიყარო?
- დეკლ.** კნენა, გინდათ ნიზლავი, რომ მე გავიმარჯვებ! ციცილო მალე იქნება ჩემი, მისი გულიც მოვიმადლიერე..

- ტასო.** რა ნაირად? უმაგთულო ტელეგრაფით ხომ არ ელაპარაკებოდით?
- დეკდ.** გუშინ წინაც იყო ციკინო ჩემთან ბანკში! ტყავაძემ მომიყვანა. მამა მისის ადგილი იყო გაყიდული და როგორც იქნა დავიხსენით. დიდი მადლო'ელი დარჩა და გულიც მოიბრუნა ჩემსკენ! მარა ახირებული კაცია, ღმერთმანი, ე ჩვენი გიორგი, ისიც ჩაერია ამ საქმეში!
- ტასო.** რომელი გიორგი?!
- დეკდ.** რომელი იქნება?—ჩვენი მარშალი! წერილიც მომწერა, მზელი ბანკი შეაწუხა, ჩქარა დაუბრუნეთ ადგილიო. რა მისი საქმე იყო!
- ტასო.** მარშალმაც გაიცნო?
- დეკდ.** რომელი გაცნობაა, მეშინია, არ ჩამეცილოს! კწენია, თქვენ უნდა მიაქციოთ ამას ყურადღება!
- ტასო.** მე რა მენაღვლება! იმას მე სრული თავისუფლება მივეცი! მე ნუ შემაწუხებს და როგორც უნდა, ისე მოიქცეს!.. მაინც თუ შენ საჭიროთ მიგაჩნია ჩემი ჩარევა, მე დავეხმარები, რომ ციკინოში არ შეგეცილოს.
- დეკდ.** ციკინო ახლა ყოყმანობაშია: ცქვიტიშვილზეც გული უტყდება და არ იცის, რა ქნას! კიდევ მესამე პირის ჩარევა მე საქმეს წამიხდენს. საკმაოა მხოლოდ ახლა ცქვიტიშვილი გავაშავო და ციკინოც ჩემი იქნება.
- ტასო.** ეჰ, სად არის ძველი რაინდობა, რომ სიყვარულს რაღაც შავ კენკებში ურევ? რას ჩააცივდი ამ ბანკს? თუ მართლა გიყვარს, დღესვე მოგიხერხებ, რომ ციკინო შენთან მოვიდეს. მხოლოდ შენ წაიყვანე ის საზღვარ-გარეთ, ფრანგული ენა შეასწავლე და ისეთი პრინცესა დარჩება, რომ ყველას თვალს მოთხრის! ადგილ-მამული შენ დიდი გაქვს, სარჩოდ ხომ გეყოფა?

- დეკდ.** კნენა, როგორ შემძლიან ახლა მაინც ბანკი მივატოვო, ქვეყანა რას იტყვის? ხარჯიც გავწიე! მამულის შემოსავალი წინ-წინ დავაგირავე, რომ ახლა სახარჯო ფულები მქონოდა. არა, ბანკში უსათუოდ მეუნდა გავიმარჯვო, და მაშინ ციციოსაც ჩემს იქით გზა არ ექნება!
- ტასო.** კენქის ყრა შენ რას გიშლის, თუ კი მართლა გიყვარს და ჯვარსაც დაიწერ, ის გოგო სულელი ხომ არ იქნება, რომ ახლავე არ დათანხმდეს. ცქვიტი-შვილს კიდევ გაუხარდება...
- დეკდ.** (წამოადგება). კნენა, მე არ მესმის რომელ ჯვრის წერაზედ ამბობთ? ვისზე დავიწერო ჯვარი?
- ტასო.** ვისზედ და ციციოზედ! არ დაშვენდება, კნენობა თუ?
- დეკდ.** რა დაგიშავეთ ასეთი, რომ ასესასტიკათ დამცინით? მე, დევდარიანმა, მეფის შთამომავალმა, იმსოფლის გოგოზედ უნდა დავიწერო ჯვარი?!
- ცაცანო** (შეკრიება). ახ, უნამუსო! თვითონ არ მპირდებოდა, მატყუარა!
- ტასო.** რა გული მოგდის? ლუი მეთუთხმეტეს შთამომავალი ხომ არა ხარ, რომ მესსალიანსის გეშინია?
- დეკდ.** არა, მე საზოგადოთ წინააღმდეგი ვარ ჯვრის წერისა. თავისუფალ სიყვარულს ვეტრფი! ციციოსაც დროებით ავიყვან!
- ცაცანო** (თავისთვის). შე ძაღლო, არ მოესწრები მაგ დროს!
- ტასო.** პატიოსან მოღვაწეს არ შეფერის ხასობაზედ ლაპარაკი! მშვიდობით!
- დეკდ.** გადაბრუნდა სწორეთ ქვეყანა! თქვენც მაგას ამბობთ! თქვენს გიორგის უთხრათ, ის არა სჯობია?
- ტასო** (მწყრადან) გიორგი რა თქვენი ხელ წამოსაკრავია! მეორეჯერ არ გაბედოთ მაგისთანა ლაპარაკი!
- დეკდ.** კნენა, პარდონ! რას მიწყრებით, მე თქვენ გეხუმრეთ! დღეს ცუდ გუნებაზედ ამდგარხართ! მე მა-

ინც იმედი მაქვს, რომ კენჭის ყრაში დამეხმარებით, გული მოიბრუნეთ ჩემსკენ! მე ძალიან მეწყინა, როგორ იფიქრეთ, რომ მე ციციხოზე ჯვარს დავიწერ! როგორ შევარცხვენ ჩემს ნათესაობას! მშვიდობით (ხელზე კოცნის, შიდას).

ცაინო.

საზიზღარი!

ცასო

(მკვასეთ). მშვიდობით!... (კარგ ხანს ჩაფიქრებული) ესეც დახმარებას მთხოვს!... მეც შევეწევი იმით, რომ ციციხოს ცქვიტიშვილს ჩამოვაშორებ, და მაგას გადავსცემ! ცქვიტიშვილი უსათუოდ ბანკში უნდა გავიყვანო! იქ ჩემი კაცი მჭირია! კოტე, ბიჭო! (შემოდის კოტე) ცქვიტიშვილი არ მოსულა?

კოტე.

მოვიდა მარა, დევდარიანის ხმა რომ გაიგონა, უკან წავიდა.

ცასო.

დაეწიე და უთხარი, ახლა მოვიდეს! (კოტე შიდას)

ცინ.

იმას აქ რაღა უნდა?! ღმერთო!

ცასო

(ჩაფიქრებული). ერთი წავა და სხვა მოვა ტურფასა საბაღნაროსა!... ამის შემწეობით, ჩვენს საქმეს გამოვაბრუნებ. (ფიქრობს, კარგახანს სიჩუჟა).

IV

ცქვიტიშვილი (შემოდის სიჩქარით). როგორც იქნა ველირსე თქვენს ხილვას (ხელზე ორჯერ კოცნის).

ცინ.

(კარებთან მღეღვარებს). ნუ თუ ეს ჩემი ტატოა?!

ცასო.

დილის შემდეგ სულ შენ გელოდები!

ცქვიტი.

მეც ორჯერ მოვედი, ხომ კარგათ ბრძანდებით! ხომ არ გამიწყურით, რომ საყურე მოგართვით სამახსოვროთ?

ცასო.

გამოუთქმელად გმადლობ! ძვირფასი ბრილიანტები! ალბათ ძვირიც დაჯდებოდა!

ცქვიტი.

ძვირფასო კნენა, რას ბრძანებთ! თუ კი რამე მაქვს, ყველაფერს თქვენ განაცვალებთ! მე, როდესაც

- მაგონდება, რომ ეს საყურეები თავისი ბრილიანტებით ეამბორება თქვენს ყურებს, ჩემს გულშიც ნეტარებას ვგრძნობ და იმას ვნატრულობ, ოხ ნეტავი თვითონ მე ვიყო, ეს საყურეები მეთქი! დიდ ხანს ვიტანჯე დიდხანს ვერ გიბედავდი გამემხილა ჩემი გულის კრთომა! რამდენი ღამეები უძილოთ გამიტარებია თქვენს მოგონებაში. თქვენ გეაღერებოდით ჩემი აზრები, ჩემი ოცნება და ღმერთს ვმადლობ, რომ დაბოლოს თქვენთან დაახლოვებასაც ვეღირსე.
- ტასო.** (ნაზათ). საბრალოვ, მერმე აქამდის რატომ მაღავდი შენს გრძნობებს?
- ტქვატ.** მე ერთი უბრალო ადვოკატი და თქვენ კი ბრწყინვალე კნენია, მარშლის მეუღლე! მე ვცდილობდი მხოლოდ ჩემს გულში ჩამეკლა ჩემი გრძნობები.
- ტასო.** ოჰ, ჩემო კარგო! (კოტნის თავზე, ტქვატიშიელი ხელზე) ძალიან მოხარული ვარ, რომ შენ დაგიახლოვდი! მე შენ დიდს სახელს, ბედნიერებას მოგანიჭებ, მხოლოდ, რაკი შენ ჩემი იქნები, ცოტა მეც უნდა დამიჯერო.
- ტქვატ.** მიბრძანე, კნენია და მე თქვენი მონა ვიქნები! (კიდეკ კოტნის ხელზე).
- ტინინო.** (თვალებს იფშენეტავს). აგი რა მესმის? ამას ვინ ამბობს?! (ერთს წერტილს ჩაჩეკდება).
- ტასო.** ჩემო კარგო, რა საჭიროა ძვირფასს ნივთებში ბევრი ფულის გადაყრა. საჭიროების დროს ნივთი ფულის მაგივრობას ხომ ვერ გავვიწყევს?
- ტქვატ.** კნენია, ღმერთმა ნუ გავვიჭირვოს იმდენი? მე სრულს თქვენს განკარგულებაში ვარ, რამდენიც დაგჭირდეთ, მომთხოვეთ! მაგრამ რას ვამბობ, ჩემი ფულები თქვენ რად დაგჭირდებათ? თქვენი მეუღლე მილიონების პატრონია!
- ტასო.** ოხ, ჩემო კარგო, ჩვენი მილიონები წარვიდენ, გაქრენ, სიზმარებრ ჩქარა! დრო იცვლება! ვინ იცის, მომავალში რა მოგველის!

ჩქვიტ. ეგ დაუჯერებელია, სულ ბალები და სალამოები გაქვთ!
ტასო. შენ მე ყველაფერი უნდა დამიჯერო და თუ სა-
 ჭირო დარჩეს, კიდევ უნდა გაისარჯო!

ჩქვიტ. თავს გადავსდე, ოლონდ თქვენ მიბრძანეთ. ისეთი
 რა უნდა იყოს რომ მე ვერ შევასრულო! თუ ჩემი
 ქონება არ მეყოფა, ხომ მთელი ბანკი მექნება ჩემს
 განკარგულებაში! ოლონდ თქვენ თავმჯდომარეთ
 გამიყვანეთ ბანკში და მე ვიცი! მიბრძანეთ, იქნება
 ახლა არის რამე საჭირო! იქნება რამე გაწუხებდეს!
 მიმსახურეთ, გამახარეთ!

ტასო. ახლა ისეთი არაფერია! მერმე იყოს!

ჩქვიტ. მერმე რად იყოს, ახლა მიბრძანეთ! მე ხომ სამუდა-
 მოთ თქვენს ფეხრთ ვიქნები, ნუ თუ ჩემი ნდობა
 არა გაქვთ?

ტასო. როგორ არა, მაგრამ...

ჩქვიტ. სიკვდილამდის საიდუმლოთ დამრჩება ყოველივე
 თქვენი სიტყვა. იქნება რამე ფათერაკი შეგემთხვათ?

ტასო. ფათერაკი ჩვენ არაფერი, მაგრამ... ჩვენს სეკრეტარს
 შეემთხვა! მხოლოდ არსად წამოგვდეს, არავინ
 იცის! (ჩუშაო) ანას წინეთ დეპუტატთა საკრებუ-
 ლოს კასსას მარშალმა მოულოდნელი რევიზია გა-
 უკეთა და, O. YAKOV, ფული 24 ათასს მანეთამდის
 დაკარგული აღმოჩნდა!

ჩქვიტ. ხომ მაშინვე შეაყენა პროტოკოლი?!

ტასო. ეს ხომ სკანდალი იქნებოდა! მთელი საკრებულო
 შერცხვებოდა! ვინ იცის, მარშალსაც გასვრიდნენ!

ჩქვიტ. უნდა მოახერხონ, რომ რამე ნაირად გასავალშიც
 გაიყვანონ! ამისთანა შემთხვევაში ასე იციან. ნეტა
 რა თანხა იყო?

ტასო. რა ვიცი! წყალმა ქვეყანა წალეკაო, და ყოველ
 მხრიდან შემოწირულებას აგზავნიდენ. დიდი ფული
 შედგა. ნაწილი კიდევ დაურიგეს და დანარჩენი კი...
 დაიკარგა!

- ცქვობ.** ჰოო! ტყუილად შეწუხებულხართ! ეს სამადლო თანხა ყოფილა. მე სხვა რამე მეგონა! ეს ასეც უნდა ყოფილიყო! სამადლო თანხას იმიტომ უძახიან სამადლოს, რომ ყველა მადლიანად მიირთმევს. ეს ყოველგან ასეა! არ შეწუხდეთ! ზოგიერთი ქველმომქმედი პირი მაგ ნაირი საშუალებით ირჩენს თავს. სხვაგან კიდევ უფრო მეტს ჭამენ! შაქარსავით შეერგება იმ თქვენს სეკრეტარს. რევიზიას ხომ არავინ უკეთებს და რა უჭირს!
- ტასო.** მაინც საშიშარია, ვინ იცის. მარშალს ბევრი მტერი ჰყავს, ჩვენ გვინდოდა ადგილი ხელ-მეორეთ ზედ-მეტად დაგვეგირავებინა ბანკში, მაგრამ დედარიანის შეგვეშინდა! ფული ჩვენ უნდა შევავესოთ, სეკრეტარს კაპეიკიც არ გააჩნია!
- ცქვობ.** როგორც კი ბანკის მმართველი გავხდები, მეორე კვირაშივე, გავარიგებ მაგ საქმეს. მე მოგებმარებით, რომ ნაწილი მაინც გასავალში გავიყვანოთ და ნაწილი ბანკიდან რომ ფულს ავიღებთ, იქიდან შევავესოთ!
- ტასო.** ჩემო ესტატე. მეც იმიტომ ვცდილობ შენთვის! ძალიან ბევრი კენჭი გიშოვნე! მხოლოდ კი მერმე არ მილალატო, სხვაში არ გამცვალო!
- ცქვობ.** როგორ გამიწყრება ღმერთი! ჩვენს მოლალატეს ბედმაც ულალატოს! არას დროს!
- ტასო.** მაშ მოდი ჩემთან ჩემო მსხნელო! სამუდამოთ ჩემი დარჩი (კოცნიან ერთმანეთს).
- ცაცანო.** (გამოიჩქვევს). კოცნიან (აღუჯვებუდი—სიარულს დაიწყებს) რა მემართება! რა ღვთის წყრომაა! ნუ თუ ამანაც გამწირა?!
- ცქვობ.** ოხ, ღვთაებავ, რა ბედნიერებას გრძნობს ჩემი გული, როდესაც ასე ახლოს ვარ თქვენთან! მუდამ თქვენს დაახლოვებას ვცდილობდი და ახლა, ოხ ნეტარებავ (ხელზე ჭკოცნის).

- ტასო.** (თითის ქნევით და ნაზი დიმილით). ნუ თუ მაშინც ცდილობდი ჩემს დაახლოვებას, როდესაც ციცინოს იტაცებდი?
- ტქვატ.** ამ ბედნიერ წამს ნულარ გამახსენებ მაგ სამწუხარო ამბავს. ჩემს ცხოვრებაში მაგ ისეთი ნაბიჯი იყო, რომ მუდამ სანანებლათ მექნება.
- ცაფ.** გამჩენო! რომელი ენით ამბობს ამას? (ერთ წერტილს შიახრდებს და ფიქრბს).
- ტასო.** ნუ თუ ისეთი ლამაზია, რომ ყველა გიჟდებით?
- ტქვატ.** სრულებითაც არა! ვაჟაკის ამბავი ხომ მოგეხსენებათ! მე იმათ ოჯახში სტუმრად ვიყავი დი ციცინოც მომეწონა, როგორც საზოგადოთ მოეწონება მამაკაცს ლამაზი ქალი! ის გადამეკიდა და ქალაქშიც გამომსდია.
- ტასო.** გავიგონე, ქრისტინეს უშობს და იმას ირთავს ცოლადო!
- ტქვატ.** არას დროს! თქვენ კარგათ იცნობთ ქრისტინეს. ცოცხალსაც არ გამიშვებს. მაინც აზრადაც არ მომსვლია! ჩემი დედაბერი მე არაფერს მიშლის. ციცინოსთან ცხოვრება მხოლოდ უბრალო გატაცება იყო!
- ცაფ.** გატაცება?!
- ტასო.** უბრალო გატაცება თუ იყო, დევდარიანს რათ არ დაუთმე, იმის გულისთვის რად აეშალე?
- ტქვატ.** გეფიცები, კნეინა, რომ მე კიდევ ვწუხვარ, რომ ციცინო მას არ დაუთმე! მაგრამ მაშინ გამაჯავრა და ავეშალე! ახლა კიდევ მიაჩნება, რომ წაიყვანდეს, მარა არ მიჰყავს!
- ცაფ.** სიკვდილო, სად ხარ?
- ტქვატ.** იმედი მაქვს მალეც მოვიშორებ.
- ცაფ.** ვაიჰ მე!
- ტასო.** ნუ თუ ასე მალე მოგბეზრდა?

- ტქვობ.** აიღეთ, უშინაარსო, ლამაზი დედოფალა, ხომ ადრე გადაგდებს იმას ბავშვი, მეც ისე დამემართა! უბრალო გატაცება იყო, რომელიც ისე ჩქარა ჩაქრა, როგორც ჩქარა გაიფურჩქნა!
- ტასო.** მაშ რაღა ქნას ახლა საბრალო გოგომ?
- ტქვობ.** სანამ მას სილამაზე შერჩება, ყოველთვის მოიძებნება ვინმე სულელი, რომელიც მას შეტრფოდეს.
- ცან.** როგორ მოგტყუებულვარ! ვაი ჩემს გაჩენის დღეს!
- ტასო.** იქნებ მეც ასე მალე მოგბეზრდე?
- ტქვობ.** რა შედარებაა—ციცინო და თქვენ! თქვენში მიმზიდველობა სიბერემდის გასტანს და ის კი იმ ვარდს წააგავს, რომელიც ლამაზია, მაგრამ არავითარი არომატი არა აქვს. მოსწყვეტთ თქვენ ამ ვარდს მისი სილამაზის გულისთვის, ჩაჰყნოსავთ ერთს, და წამსვე გადაგდებთ, როგორც უფარგისს.
- ტასო.** ოხ ჩემო ტატო. (ეხვევა).
- ცან.** როდემდის ვითმინო! პირში უნდა წავუდგე! ესეც უნამუსო ყოფილა! როგორ დაეწათა (კარებს ადებს და დაბაზში შექმადის).
- ტასო.** რა ტკბილათ საუბრობ! სამუდამოთ ასე იყავი (გრძნობიერად გოცნიან ერთმანეთს).
- ტქვობ.** სიკვდილამდის!
- ცან.** (უახლოვდება სსშინელის მდეღვარებით) როგორ ჩაეკონა! ნუ თუ ეს ჩემი ტატოა?! (უფრის) მოლალატე! რა პასუხს მაძლევთ! თქვე გარყვნილებო, თქვე პირუტყვებო!
- ტქვობ.** (წამოფარდებიან) ციცინო, შენ აქ რა გინდა?
- ტასო.** ვაიმე! საიდან გაჩთა!
- ცან.** (უფრის) თვითონ თქვენ რა გინდოდათ აქ! თქვე უსირცხვილოებო! თქვენი უნამუსობა ქვეყანამ უნდა შეიტყოს! ხალხო, სად ხართ! მარშალს ამ შუადღეზე ცოლი წაართვეს! ვინ ხართ, უშველეთ!
- ტქვობ.** გაჩუმდი, ციცინო, რა გაღრიალებს!

- ტასო.** თავს ნუ ილუპავ! გაჩუმდი!
- ცაც.** (ყვირის; უშველეთ, ჩქარა! ვინ ხართ!
- ცქვიტ.** (პირსე ხელს აფარებს) მე ხომ ისევ შენი ტოტო ვარ, დაწყნარდი!
- ცაც.** (შეჩერდება) ჩემი ტატო მოკვდა! თურმე არას დროს არ ყოფილა ჩემი! შენ ძალღი ყოფილხარ! რა გინდა ჩემგან?
- ცქვიტ.** (მაგრათ ჭკვიდებს ხელს და პირსე აფარებს) ქალო, რა მოგდის, ნუ ყვირი!
- ცაც.** (საშინლათ კივის) მიშველეთ, მომკლეს, ვინ ხართ პატრონი!
- ცქვიტ.** მე შენ ძალით გაგაჩერებ... (შემოვბრუნ — მარჯვნივ, თავადი და აზნაური, კოტე და სხვა კაცები).
- დიდებ.** რა მოხდა, რა ყვირილია?!
- ცაც.** (თავს ინთავისუფლებს და ყვირის) ამ შუადღეზე მარშალს ცოლი წაართვეს, ჩემის თვალით ვნახე! სად ხარ, შე ბებერო თხავ! ვერ მოუვლი შენს ცოლს?
- ტასო.** საბრალო, კკუაზე შეშლილია, არაფერი დაუჯეროთ!
- ცაცნო.** შენ თვითონ ხარ შეშლილი, შენ არ ეხვეოდი, შენ არ კოცნიდი ცქვიტიშვილს?!
- დიდ.** ეს რას ნიშნავს! კნენა, ეს რა ამბავია?
- ტასო.** ვერ ხედავ, შეშლილია?
- ცაც.** არ დაუჯერო, გატყუებს, ამას ჭკითხე!
- დიდ.** ბატონო ცქვიტიშვილო! ეს რა ამბავია! ვინ გაბედა ჩემი შერცხვენა! რას ნიშნავს ყველაფერი ეს?
- ტასო.** როგორ კადნიერდები, ნუ თუ უჯერებ, ცილი დამწამა! როგორ ავითანო, ღმერთო! რას მიბედავთ? როგორ მიბედავთ? ვაიჰ, ვაიჰ! (ისტეკრიკა მოსდის, აზნაური და კოტე ხელს მოჭკვიდებენ და გარკეთ მიჭყავთ).
- ცაც.** მოკალით მაგი ურცხვი! აგიც ზედ მიაყოლეთ! ძუნკლები ყოფილან!

- დადებ.** ამას რას ჰხედავს ჩემი თვალები! ცქვიტიწვილო, რა მოხდა აქ?
- ცქვიტ.** მე თქვენ უნდა გკითხოთ, საიდან გაჩთა ეს ქალი თქვენს კაბინეტში?
- ცც.** ძალით შემავდეს, დამიპირეს. იმ ოთხიდან ყველაფერი მესმოდა. ჩემის თვალით ვნახე ყველას უნამუსობა! სად მოვსულვარ! ჰაერი აღარ მყოფნის, ვიხრჩობი, ვიხრჩობი, მომეხმარეთ, ქრისტიანებო, ვინ ხართ! მიშველეთ, ამომიყვანეთ ტალახიდან!
- თავადი** (მივარდება და იკავებს) ქალო, შენ გაბრიელ ამაშუკელის რა ხარ?
- ცაცანო** (შეკრთება და თავადს ჩასატყუარდება) შენ ვინღა ხარ! რა გინდა ჩემგან?
- თავადი** ბოშო, მე თქვენი მეზობელი ვარ, აღარ გახსოვარ, შენი თედორე, ფარშევანგები რომ მოგიყვანე!
- ცაც.** (აკვირდება) თედორე! ფარშევანგი? ჩემმა დამ გაიცინა? თედორე, შენც მხეცი მეგონე, (ეხვევა) დამიხსენი, მიშველე.
- თავადი** შინ წავიდეთ! დედა შენთან! გელოდებიან!
- ცაც.** ნულარ გამახსენებ, რაღათ ვუნდივარ. შერცხვენილი, თავლაფ-დასხმული! აგენს მაინც მომაშორე, იცხოვნე სული!
- თავადი** (ხელს ჰკიდებს). მე გიპატრონებ, წავიდეთ, მამასთან შეგარიგებ. ნუ გეშინია! სოფელი შეგინდობს.
- ცაც.** დამიხსენი! (ხელზე კოცნის) წამიყვანე! ზღვაში გადამაგდე, ოღონდ აქაურობას გამაშორე (შიდის).
- ცქვიტ.** ნებას ვინ გაძლევს, რომ ნიჰყვები?! მეც შენთან წამოვალ და ყველაფერს აგიხსნი! სულ ტყუილად ვამბობდი, არაფერი დაიჯერო.
- ცაც.** (მოტრიალდება). მე ვერ მივხვდი, შენ როდის ამბობ ტყუილსა და როდის მართალს?

- ცქობ.** ყველაფერს აგისნნი, ოლონდ დაწყნარდი, არ დამ-
ლუბო კაცი, ახლა არ მომშორდე! მე თავს მოვი-
კლავ! (მასკენ მიიწევს).
- ცოდ.** შორს ჩემგან! შენი მე არაფერი მინდა! ჩემი ცო-
ლვა არ მოგცემს მოსვენებას არც აქ და არც საი-
ქიოს. წყეულიმც იყოს შენისთანა ჯარყენილი კაცი!
(მიდის).
- ცქობ.** ციცინო, ორი სიტყვის თქმა მაინც მაკალე! (მიჭ-
ყება).
- დიდებ.** ცქვიტიშვილო, აქედან არ დაიძრე, შენი ყოფაქცე-
ვა უნდა ამიხსნა!
- ცქობ.** ხომ ვერ მივატოვებ, არ გამექცეს? (წასვლას აზი-
რბის).
- დიდებ.** (ბიჭებს). არ გაუშვათ (ბიჭები წინ დაუხვდებიან). ცქ-
ვიტიშვილო, რაც აქ მოხდა, ამაზედ კრინტი არ
დასძრა, თორემ ვაი შენი ბრალი!
- ცქობ.** მე თქვენ არ შეგარჩენთ ამას, რად დამიკარგეთ
ბედნიერება, ახლა მაინც რას მაკავებთ!
- დიდებ.** შენ ზრდილობა სულ დაგავიწყდა! კენჭების შოვნამ
გაგადიდკაცა?
- ცქობ.** აჰ, კენჭის ყრა სულ დამავიწყა! დუელი მოახლოვ-
და! მე ვიმარჯვებ, მარა ციცინომ თუ მილალატა,
რალად მინდა რამე! თქვენო ბრწყინვალეზავ, უკა-
ცრავათ ვარ! მერმე აგისნით ყველაფერს, ციცინ-
ნოს უნდა დავეწიო და დავაბრუნო. უიმისოდ ჩემს
ცხოვრებასაც შნო ეკარგვის. მაპატიეთ, მერმე მო-
ვალ, ყველაფერს მოგახსენებთ. ქალი მგონებ გაგიყ-
და, პატრონობა უნდა!
- დიდ.** წაეთრიე და ჩემს ოჯახში მეტი ფეხი არ შემოსდგა!
(ცქვიტიშვილი ჩქარის ნაბიჯით მიდის).
- კოტე** (შემოდის). კნიაზო, კნენა უქეიფოდ არის, ექიმი
მოვიყვანო?

დიდებულძე. ჯანდაბას იყოს შენი და კნენიას თავიც! რაც გინდათ, ის ქენით (შევა კახინეტში, მთარტყემის კარებს, იქიღინაც კავა და იქაც გუდმისულათ კარებს მოაჯახუნებს. სტენიდან უველანი გავლენ. კარვ ხანს სიჩუმეა, მეჩემე ნელ-ნელა გამოძვრება ტყაკაძე).

V

ტყავაძე (ღიმილით), ომი იყო, შეტაკება, ბრძოლა თუ მარტო არშიყობა—რომ მკითხოს კაცმა, სწორეთ ვერ ვეტყვი... მოვხუცდი! საქმეები ამერია! თავიდან კაი მაქანკლობა იყო, მარა მერე, ჩორტ ივეო, ჭადრაკულათ მოეწყო! (ფიქრებს) ძვირათ დაუჯდა კნენიას კენტები! ჩემი პატრონიც არ გადამერიოს! ის ციცი-ნოს გამოეკიდა, მე კი იმას გამოვეკიდები, ფულები არ დამეკარგოს. (წასვლას აზიარებს, ამ დროს შემოდის ავალიანი).

ავალიანი. ოჰ, გამარჯობა შენი, პეტრე მიხეილიჩ, (ხელს აჩთმევს) კაცო, რა ამბავია ეს სიჩუმე? კარები ღია! ბიჭები არსად სჩანს. არავის ხმაც არ ისმის!

ტყავაძე. მოგეხსენებათ, ბატონო, აქ სულ ყოველთვის ასეთი მყუდრო და წყნარი ოჯახია. მშვიდობიანათ ცხოვრობენ!

ავალი. მარშალი სად არის, თუ იცი? კნენა ხომ არსად წასულა, ხომ მისი ღლეობაა ღღეს!

ტყავაძე. ღიახ, ბატონო, მარა ჯერ კნენა არ გამოსულა! მარშალი კი მალე გამობრძანდება. (ჩუმათ) ღეროლღიაში გაავზავნეთ?

ავალი. გავავზავნეთ! მშვენიერი დოკუმენტი გამოდგა! სამაგიეროდ უნდა გახარო. წუხელის ქალაქის გამგეობის სხდომა გვექონდა და გადავწყვიტეთ—ქალაქის სტიპენდია დაუენიშნოთ შენს შვილს. ღღეს, რა თქმა უნდა, საბჭოც მიიღებს ჩვენს დადგენილებას და გილოცავ, რომ საქმე ასე კარგათ წავიდა!

- ტყავაძე.** დიდი მადლობელი ვარ, ბატონო, და რამდენიც გენებოსთ, მიმსახურეთ, და ჩემი მეორე შვილიც კანდიდატათ ჩარიცხეთ!
- აგაღ.** ყველა შვილებს ხომ ვერ გამოგიზღის ქალაქი!
- ტყავაძე.** არა, ბატონო, კანდიდატად ჩარიცხეთ, სამი წლის მერე გაათავებს ღემნაზიას, ძალიან ეშმაკია, იქნება ოთხიცი დასჭირდეს!
- აგაღ.** ჰოო, მანამდის, ვინ იცის, რა მოხდება, მაინც შე არ მოგაკლებ ჩემს მფარველობას (შემოდის ჰეტი ამინდო).
- ტყავაძე.** მოშაირეც მოვიდა! ახლა კი მშვიდობით ბრძანდელეთ (შეორე კარებისკენ მადის).
- ამარ.** (ავაღიანს ხელს ათმევეს) ეს სადღა იმალება! (ტყავაძეს) აქეთ მოდი, სად მიიპარვი! ქუცი, ქუცი საცოდავო მურია, ხომ არ გშია, ან ხომ არა გწყურია?
- ტყავაძე.** (მობრუნდება) მურიეც ხარ და ფინიეც! შენ ხარ მუდამ მშიერი, თვარა მე რა მიჭირს!
- აგაღ.** პეტრე მიხეილიჩ! ერთი შეიტყვე მაინც, მიგვიღებენ თუ არა! შენ ხომ აქაც შინაური კაცი ხარ! სადარბაზო ბარათს მაინც დაფუტოვებთ და წავალთ!
- ამარ.** ისიც შეიტყვე, დღეს კნენამ შარშანდღულათ დაამზადა სტუმრებისათვის ხაჭაპურები, თუ არა?
- აგაღ.** ეს რა ხაჭაპურებია?!
- ამარ.** შარშან თავათ ამ დღეს ისეთი ხაჭაპურები გამოეცხო კნენას, რომ იმის გემო ახლაც კი მახსოვს...
- ტყავაძე.** (ეშმაკურის დიმილით) ხაჭაპურები? ხაჭაპურები შარშან მზარეულს გამოაცხოების, დღეს კი კნენამ თავის საკუთარს ხელით გამოაცხო. იმიტომაც დააგვიანდა გამოსვლა. მარა იმისთანა ხაჭაპურები გამოვიდა, რომ თქვენი გაუმადლარი კუჭიც ვერ მოინელებს.
- აგაღ.** რატომ კაცო?! არ გამოცხვა თუ?

- ტყეაძე.** კი გამოცხოვობდა, მარა ხელი შეუშალეს და დავილუპეთ კაცი, ხაჭაპურიც გაფუჭდა! აი მარშალიც მობრძანდება. თვითონ ჰკითხეთ და გეტყვის. (თვითონ მიიზარება შეიძლის მარშალი, მიესალმებას).
- ზვალ.** თქვენო ბრწყინვალეზავ, მომილოცავს კნენის სახელწოდების დღე!
- დიდებ.** (ცოვათ) გმადლობთ, დაბრძანდით (ჯადებისან)
- ამირ.** მეც სულითა და გულით გილოცავთ და თან ვაცხადებ ჩემს მწუხარებას, რომ კნენას დღეს ხაჭაპურები ვერ გამოუცხვია და გაუფუჭებია!
- დიდ.** რას ჩმახავ, რა ხაჭაპურებიო?
- ამირ.** მეწყინა, რომ ხაჭაპურის გამოცხოვა არ აცალეს და ხელის შეუშალეს! გემრიელი დარჩებოდა!
- დიდ.** რას მიედებ-მოედები! მაგ ორ აზროვან ლაპარაკს თავი მიანებე, თორემ ბევრს ინანებ, უზრდელი!
- ამირ.** თავადო, რა დაგემართათ! მე არაფერ მესმის!
- დიდ.** შენი გესლიანი ენა უნდა დაამოკლო, სანამ ძალით დაგიმოკლებდენ. შენ აქ მასხარაობ და კნენა ავით არის, გულშეწუხებული ლოგინში წევს!
- ამირ,** ოხ, არ ვიცოდი! მაპატიეთ, უკაცრავათ! იმ დაწყევლილმა პეტრიამ შემაცდიანა. იმან მითხრა, ველარ გამოაცხოვო და მეწყინა.
- ზვალ.** იმან მხოლოდ პასუხი მოგცა, რად ეკითხებოდით? გირჩევენია ისევ შეურიგდე, თორემ ყოველთვის ასე გაჭმევს სირცხვილს! (შეიძლის ამ დროს ლომთათიძე, უკვლასი სელს ანთუგენ).
- ამირ.** ჩვენი შერიგება შეუძლებელია! ჩემი კალამი ყოველთვის სდევნის და კბენს მაგისტანა ქვემძრომებს!
- ლომთათიძე.** ძალიან მოხარული ვარ, რომ ყველას აქ გხედავთ! (ამირინდეს) ვისზედ ჯავრობთ ასე გაცხარებულათ?
- ამირ.** კულ-ქიცინა, გაიძვერა რომ დაჩანჩალობს—პეტრე მიხილიჩს რომ ეძახიან! საშინლად შემაცდინა!

- ჯომო.** შენ თუ სინიდისიერათ ემსახურებოდე შენს კალამს, მაგისტანა კაცებს არც უნდა ელაპარაკებოდე, მათთან არც კავშირი უნდა გქონდეს!
- ამირანდო.** რა კავშირი მაქვს? იმას ჩემი დანახვაც კი ეხარება! მე ჩემს კალამს არასდროს არ ვუღალატებ!
- ჯომო.** მაღალი სიტყვების უბრალო რახა-რუხია! შენ და ტყავაძე ერთს საზოგადო საქმეში მეგობრები ბრძანდებით და ერთს ინტერესს ემსახურებით!
- ამირ.** ღმერთო, რა დაგემართათ დღეს, რომ ყველა ლანძღვის გუნებაზედ ხარ? რად მამცირებთ ასე, რა ნახეთ ჩვენში საერთო?
- ჯომო.** ძალიან ბევრი.
- ამირ.** უსინდისო ტყუილია!
- ჯომო.** ახლავე დაგიმტკიცებ, რომ მართალი ვარ და შენ კი სტყუი!
- აგად.** ბატონებო, ტყუილა უბრალოზედ რომ იშლებით!
- დად.** დღეს რაღაც უბედური დღეა! საჩხუბრად ხომ არ მოსულხართ აქ?
- ჯომო.** მე განგებ ამ საქმისთვის შემოვედი თქვენთან: გაიძვერა ტყავაძე და პოეტი ამირინდო ამ ჟამად ერთსა და იმავე საქმეს ემსახურებიან!
- ამირ.** მეორეჯერ არ გაბედო მაგის თქმა!
- ჯომო.** მესამეჯერაც ვიტყვი! ტყავაძე იქით-აქეთ დაძვრება! იმან, როგორც ესტატე ცქვიტიშვილის აგენტმა, მთელი ქვეყანა შემოიარა, აუარებელი ხალხის სინიდისი მოისყიდა. მოკენჭეები სულ ვაგონებითა და ფაიტონებით ჩამორეკეს. ქრთამითა და მოსყიდვით ცდილობენ ცქვიტიშვილი გაიყვანონ ბანკში რაღაც ტყავაძეს დააკლდა, ის დაამთავრა ჩვენმა პოეტმა ამირინდომ.
- ამირ.** ძალიან ცდები! მე ამ საგანზე საკუთარი აზრმაქვს!

ღამთ. როგორ თუ ვცდები! თქვენ არ იყავით, რომ გაზეთში უშველებელი წერილი გამოჰიმეთ ბანკის შესახებ? თქვენ არ მოიხსენიეთ ქებით და დიდებით. ცქვიტიშვილი და ხალხსაც ურჩიეთ, იმაზედ უკეთესს კანდიდატს თქვენ ვერ იმოვნითო! ლექსიც ხომ გამოაცხეთ – ცქვიტიშვილი ესტატიო, ბანკის დიდი ოსტატიო. ამ სისულელის ქვეშ ვისი სახელი ეწერა, თუ არა თქვენი! მთელს ქვეყანაში დაფრიალობდა ის ნომერი! სოფლებშიაც კი დაარბევს და თუ ვინმე იყო ცქვიტიშვილის მოწინააღმდეგე, ისინიც კი დაარწმუნეს, რომ, რაკი ჩვენი საყვარელი პოეტი გვირჩევს, მაშ ცქვიტიშვილი მართლა კარგი ყოფილაო!

ამარ. დიხსაც კარგია! რით არის ცუდი?

აგალ. რით არის ცუდი? რამდენი რა გიზხრა? რით არის კარგი, თორემ ცუდი ხომ ყველაფრითაა.

ამარ. ძალიან ცდებით!

აგალ. მეც ვფიქრობ, რომ თქვენი აზრი გადამეტებულია.

დიდ. ცქვიტიშვილი პაღლეცია, პაღლეცი! მაგას რაღა ლაპარაკი უნდა!

ამარ. თქვენ იმას არც ერთი არ იცნობთ! მე ეხლავე დაგარწმუნებთ, რომ შემცდარი ბრძანდებით! ცქვიტიშვილი არის ისეთი კაცი, რომელსაც არ სურს, რომ იმის კეთილ საქმეებზე იყვირონ! ის, თუმცა არ ყვირის, მაგრამ საზოგადო საქმეებში ჩვენზედ ბევრათ უფრო მეტს აკეთებს. ცქვიტიშვილი ერთგული მაჟულის შვილია, საუკეთესო პატრიოტი!

ღამთათამე. ოხ, რას ამბობ? როგორ შემცდარი ხარ! ეს თვალთ მაქცობს! იმას პატრიოტობით სურს გაიკეთოს წამხდარი სახელი! ეს ახლა მოდაშია! კაცი აგერ მოხუცდა, და ხალხის ყვლეფვის მეტი არაფერი გაუკეთებია და ახლა, როდესაც წამხდარი სახელის გამობრუნება დასჭირდა, ჯდება პატრიოტიზმის

ცხენზე, და ბანკის გამგეობისაკენ მიაჭენებს. იმის საზოგადო მოღვაწეობა ვინ გაიგონა! აგერ ახლა გაეთამაშა საზოგადო საქმეებს!

დიდებ. საზოგადო მოღვაწეობასაც საზოგადოებრივი აღზრდა ეჭირვება! ამასაც შეჩვევა უნდა! რამდენი ხანია, რაც ცქვიტიშვილი ადვოკატობს და კლიაუზებისა და სკანდალების მეტი არაფერი ყოფილა მის ცხოვრებაში. ამ ორ თვეში ხომ ვერ გამოიცვლებოდა?! ნუ თუ მის ორიოდ სიტყვით უნდა მოვტყუვდეთ? ვინც სიყმაწვილიდან არ შეჩვევია საზოგადოების სამსახურს, ვისაც პატარაობიდანვე არ შეუსისხლხორცებია საზოგადო საქმისადმი სიყვარული და მისწრაფება, ის ძალიან საეჭვოა, რომ მერმეც გამოდგეს!

ამირ. რაც უნდა მიქადაგოთ, თქვენ ვერ შემაცვლევინებთ ჩემს რწმენას. პირიქით მე უნდა გამოგაცვლევინოთ თქვენი შემცდარი აზრი. ცქვიტიშვილი ფრიად განვითარებული, ნიჭიერი და მარჯვე ინტელიგენტია. ის ბევრ ჩვენგანზედ უფრო მალლა დგას. ის თანაუგრძნობს და ეწევა ყოველივე ჩვენს საერო საქმეებს, ის დიდის აღტაცებით ეკიდება მშობლიურ ლიტერატურას. ის...

დიდებ. Послушай, ври да знай же мѣру! როდის ეკიდებოდა ჩვენს მწერლობას აღტაცებით, რომ სახლში ერთი ჩვენებური ხეირიანი წიგნიც არ მოეპოვება.

ლამით. ჩვენი გაზეთებიც აგერ ახლა გამოიწერა! მსუქანი გონორარისა და უსწავლელი კაცის გაღლეტის მეტი იმას არაფერი არ სწამს. ხომ ხედავ, რა სიმდიდრე შეიძინა? ლიტერატურის ტრფიალი კი ჩვენში კაცს აღარ იბებს.

ამირ. ოჰ, არაფერი იცით, და იმიტომ საშინლათ ცილს სწამებთ იმ პატიოსან კაცს! ის მთელს თავისუფალ დროს ჩვენი მწერლობის შესწავლას ანდომებს, კით-

ხულობს ჩვენს ჟურნალ გაზეთებს და კიდევ სურ-
ვილი აქვს ჩვენი მწერლების საუკეთესო ნაწარმოე-
ბები იათ-ფასიან წიგნაკებად გამოსცეს.

ლამთ. მოუტყუებიხარ! ერთ კაპეიკსაც ათ დახარჯავს. გა-
მოსაცემად.

აძარ. როგორ არ დახარჯავს, იმან კიდევ გადასდო 400
მანეთი ჩემი პატრიოტული ლექსების გამოსაცემად.

ლამთ. არ დაუჯერო! პირობის შესრულება არ იცის, მეც
დამპირდა 500 მანათს წერა-კითხვის საზოგადოებას
შევსწირავო, მაგრამ ჯერეც არ გაუგზავნია. მომატ-
ყუა! შენც ისე გიზამს, ერთს კაპეიკსაც არ მოგ-
ცემს.

დიდებ. პროხვოსტია! რა თქმა უნდა, მოგატყუებს, მოგა-
ღორებს!

ლამთ. არა გრცხვენია, რომ მაგისთანა ტყუილს იჯერებ?
ხომ დარწმუნდი, რომ არაფერს არ მოგცემს, ყინ-
ულზე გაგაცურებს!

აძარ. როგორ გამაცურებს, რომ ფულები კიდევ მომცა!

ლამთათ. კიდევ მოგცა?!

დედ. მოგცაა?!

ლამთ. მაშ კიდევ მოგცა?! ჰოო! მასე გეთქვა! აკი მი-
კვირდა რამ გადარია ამირინდო მეთქი! მერმე რო-
გორ გამოართვი! არც კი შეგრცხვა?

აძარ. აქ სასირცხო რა არის? იმან ფულები მე კი არ
მაჩუქა, გადმომცა საზოგადო საქმის გასაკეთებლად.
იმას სურს, რომ ხალხმა გაიცინოს პოეტის ნაწერები.

ლამთ. ეს ხომ იგივე ქრთამია! რატომ დაისხი თავს ლაფი?
თავი მოგიქრია!

აძარ. სრულებითაც არა! შენ მოსახრება დაგკარგვია?

ლამთ. მე რომ შენს ადგილზე ვიყო, უსათუოდ ფულებს
უკანვე დაფუბრუნებდი!

ავალ. ნება მიბოძეო, მეც მოგახსენოთ! ამირინდო აქ მა-
რთალია! რამ გაგაკვირვათ? რა ნება ჰქონდა ამი-

რინდოს ის ფულები არ მიეღო? ჩემმა მოსისხლე მტერმაც რომ ქალაქს რამე შესწიროს კეთილი საქმისთვის, განა მე, როგორც ქალაქის მოურავმა, შემიძლია უარი ვუთხრა! პირად მტერსაც მადლობა უნდა განვუცხალო! ამირინდოც ასე მოქცეულა! მხოლოდ რომ არავინ რაიმე ეჭვი არ აიღოს, ლექსების კრებულებს მალე უნდა გამოსცეს!

ამირ.

ღიახაც, ღიახაც!

ლომთ.

მერმე თუ ფულიც მოგცა, ლექსები აქამდის რად არ გამოეცით?

ამირ.

ყველაფერი მზათ არის, მაგრამ...

დიდ.

(ირჩნით) მაგრამ ალბათ ფულები შემოგეჭამათ!

ამირ.

სრულებით არა! არ შემიჭამია!

დიდ.

მაშ რა უყავი ამოდენა ფული?

ამირ.

ისე მეკითხები, თითქოს არ იცოდე რა ვუყავი? სამასი მანეთი ხომ თქვენ მოგაბარეთ! რატომ აღარ მიბრუნებთ!

დიდ.

ღმერთო! როდის მომაბარეთ! ეს რომელი 300, კარტში რომ მოგიგე? აკი გამიკვირდა, ვინ მისცა ამირინდოს ამდენი ფული მეთქი!

ამირ.

ღიახაც არ ჩაითვლება მოგებად. თქვენ უცებ თამაშობა შეწყვიტეთ და ისე გაიქეციეთ. კანონის ძალით ან თამაშობა უნდა გაგეგრძელებიათ და ან ფული უკანვე უნდა დამიბრუნოთ! არ გახსოვს, ზურგში რომ მოგაძახეთ: მაგ ფული კარგათ შემინახე, სხვისი მობარებულია მეაქი!

დიდ.

საიდან სადაო! კარტში მოგებული ფული უკანვე დაგიბრუნო? სამი მაგდენი კიდევ არის თქვენზე დარჩენილი ძველი კარტის ვალი! რომ მცოდნოდა, კიდევ დაგრჩა ასი მანეთი, იმასაც წაგართმევდი! ტყუილად გაფლანგე იმ კვირაში! არც კი გრცხვენია, არ გაამხილე, რომ ფული კიდევ დაგრჩა?

- ღამთ.** ახლა რაღას იტყვი! განა ეს ქრთამი არ გამოვიდა? შენ თუ სინიღისი შეგერჩა, ფული ეხლავე უნდა იშოვნო და უკანვე დაუბრუნო!
- ამან.** (გუჟმოსუღი) დამანებეთ ერთი თავი, რას ჩამაცივღით! ცქვიტიშვილი მაინც ათასჯერ სჯობია თქვენს დევღარიანს.
- აგაღ.** ბატონო არისტიდე! რამ შეგაწუხათ ასე! ცქვიტიშვილმა ხომ არ დავღნიშნათ თავის ვექიღად, რომ ასე ზრუნავთ იღის ინტერესებზე. თუ გსურთ, თქვენ მიეცით ის 400 მანეთი და ძალიან დავღმადღებს, კენჭის ყრაზე ვამოადღება!
- ღამთ.** მე ის მაწუხებს, რომ ცქვიტიშვილი ქვეყანას ატყუებს! ის არ არის ღირსეული კაცი, და საზოგადოებამ კი იქნება ის აირჩიოს! ამირინღო, შენ გულკეთიღი და დამჯერე კაცი ხარ! ხომ მიხვღი, რომ ცქვიტიშვილმა შენ მოგატყუა! ის ბანკს დაღუპავს, მიანებე მას თავი, ვადმოღი მოწინააღმღდევე პარტიაში!
- ამან.** მე მხოლოდ ბანკის სარგებღობა მაღაპარაკებს და თქვენ კი პირადი ინტერესები. ცქვიტიშვილი ვამოაკეთებს ბანკის დაბნეულ საქმეებს.
- აგაღ.** მეც მგონია, რომ ცქვიტიშვილი შესაფერი მართვეღი დარჩება!
- ღამთ.** შეიძღება ცქვიტიშვილი საუკეთესო მმართვეღიც დარჩეს, მაგრამ ხომ ხეღავთ რა ბინძურ და სამარცხინო იარაღებს ხელი მოჰკიღა! ხალხი გარყვნა და ვააფუქა! ამის შემღდეგ პათიოსან კაცს აღარ ვამოესღღება საზოგადო ასპარეზზეღ! იმან ქრთამი ვააბატონა ყვეღაფერზეღ! ზოგი მოისყიღა ლექსეღბის ვამოცემის დაპირებით, ზოგი ლაქმაქი სიტყვით, ზოგს პირდაპირ ფული მისცა! ხალხი თავის ხარჯით აქეთ ჩამოიყვანა! თავის ხარჯით აქმევს და ასმევს. მის სახღში ყოვეღ დღე ქეიფი და მრავალ-ჟამიერია! ვისაც სინიღისი აქვს, იმან უნდა დაჰგმოს

ეს იარაღები. ჩვენ უნდა დავიხსნათ ხალხი გარყვინისაგან! ნუ თუ სიცრუე და ორპირობა უნდა გავაბატონოთ? ნუ თუ თქვენც ჩემის აზრის არა ხართ?!

დიდებ. განა ასეთ საგანზე შეიძლება სხვა ნაირი აზრი ვიქონიოთ? ჩვენ ბოლო უნდა მოვუღოთ ასეთ ოინებს, უნდა შევერთდეთ, შევებრძოლოთ და ცქვიტიშვილიც ისე სასტიკად უნდა დავამარცხოთ, რომ შემდეგ ვერავინ ვერ გაბედოს ასე ურცხვათ ხალხის სინიდისის გაქეღვა!

აგაღ. კარგი! მე გეთანხმებით, რომ ცქვიტიშვილმა მართლა ცუდ ხერხებს მიმართა, მაგრამ ცქვიტიშვილი რომ გავაშავოთ, ვინდა ამოვირჩიოთ ბანკის მმართველად? ნუ თუ ისევ დევდარიანი დავტოვოთ? ისიც ხომ არ ერიდება მაგისტანა საშუალებებს, თუ კი დაახელა!

დიდებ. რა ვქნათ! უკეთესი კანდიდატი არ გვყავს. ისევ დევდარიანი უნდა ავირჩიოთ!

აგაღ. ამაზედ კი ვერ დაგეთანხმებით, თქვენო ბრწყინვალეებავ! მე როგორც ბანკის ზედამხედველი კომიტეტის თავმჯდომარე, ვაცხადებ, რომ დევდარიანი ბანკის მმართველად არ ვარგა! ბანკის საქმეები თანდათან ცუდათ მიდის. ბანკი რომ გაკოტრდეს, რაღას უპირობთ! მაშინ ამდენ ღარიბ ხალხს! არა, თუ კანდიდატებად ხოლოდ ეს ორი კაცი იქნება, არ ვიცი სწორეთ, რომელია უპირატესობის ღირსი!

ლაძთ. თქვენ შევიძლიათ ორივეს შავი მისცეთ!

აგაღ. შეიძლება, ასეც მოვიქცე!

ლაძთ. შენც, პოეტო, ასევე მოიქცევი, თუ ისევ ძველებურ აზრს ადგიხარ?

ამირანდ. მე ძალა-უნებურათ ერთი არაკი მაგონდება: ტურამ და მგელმა მკვდარი კურდღელი იპოვეს და იმის ლეშზედ კიდევ აიშალენ. ეშმაკი მელია შო-

რიდან უთვალთვალედა, მოიყვანა მონადირეები და ორივეს მიუსია, გაიქცნენ მგელიცა და ტურაც. მონადირეებიც თან გაჰყვენ, კურდღელი კი მელიას დარჩა.

- ღამთ.** ამით ვიპოვებ რა გინდა სთქვა?
- ახად.** არაფერი! იქნება გინდა, რომ ბანკი მარტო შენ დაგრჩეს!
- ღამთ.** აზრათაც არ მომსვლია! მე თუ ყოველგან თავისუფლათ და თამამათ ვმოქმედობ, ეს იმიტომ რომ ჩემ პირად ინტერესებს არ ვეძებ და სინიდისთანაც არას დროს კომპრომისებს არ ვაკეთებ, მე ბანკის მმართველობა არ მსურს და თუ სინიდისმა მითხრა, და მთელმა საზოგადოებამ მთხოვა კენჭი იყარეო, არც არავის მოჭერიდები და არც არავის შევეხვეწები, ისე დავიდგამ ყუთს.
- ახად.** მაშ როგორ ვქნათ, ვინ ამოვირჩიოთ?
- ღამთ.** ვინმე სხვა მოვინახოთ! მოვახდინოთ კერძო კრება და ახალი კანდიდატი გამოვძებნოთ, აქ თუ არავინ გეყავს, სხვა ქალაქიდან გამოვიწეროთ!
- კოტე** (შემოდის). კნიაზო, ცქვიტიშვილი გეახლათ!
- დად.** (წყრომით) უთხარი, რომ არ ვლებულობ.
- კოტე.** დიდი საქმე მაქვს, მარშალი უსათუოდ უნდა ვნახოვო.
- ღამთ.** მიიღეთ, ბატონო, უკეთესს დროს ვერ ვნახავთ, იქნება დავარწმუნოთ, რომ კენჭი არ იყაროს.
- დად.** იმასთან ლაპარაკი მე ძალიან მეზარება! თვითონ თქვენ დაარწმუნეთ. (კოტეს) შემოიყვანე! (კოტე მიდის).
- ღამთ.** ყველამ ერთად დავტუქსოთ და ერთხმად ვურჩიოთ, დააწყნაროს ჩვენი აღელვებული საზოგადოება.

VI

- ტქვიტ.** (შემოდის) თქვენო ბრწყინვალეობაე! უკაცრავად, მე მარტო მეგონეთ! უკაცრავად, ბატონებო, ბაასი შეგაწყვეტინეთ (თაფს უჭრავს).
- აგად.** კარგ დროზედ მოგვისწარი, თქვენზედ ვლაპარაკობდით!
- ტქვიტ.** მართლა?!
- ლამთ.** მე ძალიან მიკვირს, ბატონო ესტატე, თქვენ რომ აქ გხედავთ! როგორ მოიცალეთ, როგორ მიატოვეთ იმდენი სტუმარი, რაც თქვენს სახლში არის და აქეთ წამობრძანდით?
- ტქვიტ.** რა ვქნა, ძვირფასო არისტიდე! სწორეთ შეგეცოდვებით, ჩემი ამბავი რომ შეიტყოთ. სტუმარს გარეთ ხომ ვერ გავაგდებ! სულ მოდიან და მოდიან! სწორეთ ველარ ავუთავდი და გადავწყვიტე ჩემი სტუმრების ნაწილი მაინც თქვენ გამოგიგზავნოთ.
- ლამთ.** მე რატომ? მე დიახაც არ მივიღებ!
- ტქვიტ.** რა ნება გაქეთ არ მიიღოთ! თქვენს ნათესავენს ყველას აულერიათ თავი და მობრძანდენ ჩემსას. კარგა ლამაზათ გამოვისტუმრე ჩემი სახლიდან და თქვენსკენ გამოვგზავნე.
- აგად.** ოჰ, როგორ დაგიღუპავსთ არისტიდე?
- ლამთ.** ძალიან უკაცრავად მოქცეულხართ. მე სახლში არ ვარ და ღღეს არც ვიქნები.
- ტქვიტ.** ეგ რა ჩემი საქმეა! თქვენი გვარის კაცებია, თქვენი სოფლიდან ჩამოსულნი - ლომთათიძეები, ბარეთხი პრაპორშჩიკიც ურევია. მე ისიც ვასწავლე, თუ სახლში არ დაგიხედეს, მარშლისას იქნება და იქ მიდით მეთქი! ისინიც მალე მოვლენ!
- ლამთ.** ვინ გეხვეწებოდათ, რომ გზას ასწავლიდით! მე ერთ ოთახში ვცხოვრობ, მაქვს ერთი სტოლი და ორი სკამი. სად დავაყენო ამდენი პრაპორშჩიკები!

- ტქვატ.** თქვენს ნათესავეებს უქვენვე უპატრონეთ, რაც გინდათ, ის უქენით!
- აგაღ.** სასტუმროში უქირავეთ ბინა. ცოდვა არიან! მთელ ქალაქს შეაწუხებენ!
- ლაძო.** წელში გამწყვიტა მე ჩემი ნათესავეების რჩენამ! აღარაფერი აღარ შემარჩინეს! მაგათ მიზეზით დავრჩი უცოლშვილოთ და უსახლკაროთ! ამ სიბერის ხანსაც მოსვენებას არ მაძლევენ!
- ტქვატ.** ორი დღე არაფერი გვიქამიაო, ძალიან დამშეულეები იყვენ, თქვენთვის იქნებოდა სირცხვილი, თორემ შავ პურს მაინც ვაჭმევდი.
- ლაძო.** ბატონებო, უნდა წავიდე, უნდა მოუარო იმ საცოდავებს. დაგლახებულები არიან! მთელი გვარი მე შემომყურებს. რა ეკენჭებოდათ, რომ ჩამოთრეულან (სახქაროდ მიდის).
- აგაღ.** ძალიან გულკეთილი კაცია ე ჩვენი არისტიდე! სულ სხვებზეა გადამკვდარი! შეხედეთ, როგორ შეებრაღა საცოდავები? როგორ გაიქცა?
- ამირ.** გულკეთილი კი არის, მაგრამ რაღაც ახირებული კაცია!
- ტქვატ.** ხალხს ძალიან უყვარს და დიდი გამავლობაც აქვს.
- აგაღ.** თავისთავს იფიწყებს და სხვებზე ზრუნავს, და კიდევ უფრო მეტი გავლენა ექნებოდა, რომ ნამეტარი გულკეთილი არ იყოს. გულკეთილობა და სისულელე თანაბარი ძმები არიან.
- ამირ.** სწორეთ ახირებული კაცია წარმოიდგინეთ, მაგას ნაწერებიც ბევრი აქვს, მაგრამ ერთი პუკარიც არაფერი დაუბეჭდია, მაგრამ მაინც უსათუოდ ისტორიულ პირად ჩათმლიან.
- აგაღ.** ვანა მარტო მწერლებს აქვთ ეს პრივილეგია?
- ამირ.** თითქმის.
- აგაღ.** მართალია, ჩვენ ახლა ისეთ ისტორიულ პირობებში ვცხოვრობთ, რომ მწერლობა ერთად ერთი თვალ-

საჩინო და სასიქადულო სამოდვაწყო ასპარეზია ჩვენში, მაგრამ ჩვენ მაინც არ უნდა დავბრმავდეთ და სხვების შრომასაც ყურადღება უნდა მივაქციოთ! ნუ თუ ჩვენი პატივცემული მარშალი და არისტიდეს არ არიან ისტორიული პირები და ის კია, ვინც ორიოდე პატრიოტიული ლექსი დაჩხაბნა?! ეს ხომ უსამართლობა იქნებოდა?

ამირ. რა თქმა უნდა! პირუთვნელი ისტორია ყველას შრომას დააფასებს!

ტქვიტ. მართლა, უკაცრავათ, პოეტო, ამ ლაპარაკმა თქვენნი პატრიოტიული ლექსები გამახსენა!.. ხომ მზათ არის გამოცემა? რა კარგი იქნებოდა, რომ ახლა სოფლიდან ჩამოსულ ხალხს დაურიგებდეთ?..

ამირ. (შეკრთუა) მართალია, მართალსა ბრძანებთ, მაგრამ...

ტქვიტ. რა მაგრამ? ხომ კი გამოეცით!

ამირ. აგერ მოგახსენებთ, ჩვენში ყოველივე საქმეს ხიფათი მოსდევს.

დიდ. არაფერი ხიფათია, ჩემი სახელი ტყუილათ არ ახსენო?

ამირ. თქვენ რა გაწუხებს? თქვენზე რა უნდა ვთქვა? სამწუხაროთ, ჩემო ესტატე, ჩემი ლექსების ნახევარი მაინც ცენზორმა დაიჭირა და ფრთა შეაკვეცა!

ტქვიტ. რაც დარჩა, ის ხომ გამოეცით მაინც?

ამირ. აგერ მოგახსენებთ. იქიდან წავიღე ტიპოგრაფიაში და ჩემდა საუბედუროთ, ის ტიპოგრაფია ადმინისტრაციამ დახურა. მოუგონეს ვითომ უკანონო რამეებს ბეჭდავენო. (ავალიანი და მარჯალი ილიმუბიან).

ტქვიტ. მერმე თქვენი ხელნაწერი?!

ამირ. ისიც დაიჭირეს!

ტქვიტ. ოჰ, სწორედ მეწყინა. დროზედ ვერ მითხარით?. ჩემის ნაცნობების შემწეობით მე ხელნაწერს დავიხსნიდი!

ამირ. ნუ შეწუხდებით, თუ ხელნაწერი ცოცხალი გა-

დარჩა, მე თვითონ გამოვართმევ და სხვაგან დაგაბეჭდვინებ.

ცქვიტ.

როგორმე დააჩქარეთ! მოუთმენლად ველოდი თქვენი ლექსების გამოცემას! თუ ფული დარჩეს კიდევ საჭირო, არ მომერიდოთ, მხოლოდ საჩქაროთ კი იყვეს. ახლავე საქმეს შეუდევით.

ამირ.

დიდის სიამოვნებით, თუ ხელნაწერი დამანებეს, სანამ კენჭის ყრა დაიშლებოდეს, კიდევ დავბეჭდავ.

ცქვიტ.

ეცადეთ, დამავალეთ!

ამირ.

მე ახლავე წავალ, მაგრამ თქვენ ყველასამას გთხოვ: ამ ხელნაწერზე არსად კრინტი არ დასძრათ! მოგეხსენებათ, ტიპოგრაფიის დაკეტვა, უკანონო რამეების ბეჭდვა, ხელნაწერების დაკავება—ეს ხომ საშიშარი სიტყვებია, კედლებმა არ გაგვიგონონ. თქვენ არაფერი გიჭირსთ, და მე კი ტყავს გამაძრობენ, პოეტებს ხომ ძალიან ემტერებიან... მშვიდობით ბრძანდებოდეთ! ბატონო თეიმურაზ, თქვენ კიდევ მოიცდით, თუ ჩემთან წამობრძანდებით?

აგაღ.

ერთად წავიდეთ! (დგება) თავადო, გადაეცით კენი-ნას ჩემი გულითადი მოკითხვა! დიდათ ვწუხვარ, რომ უქეიფოთ ბრძანებულა.

დად.

გმადლობთ.

აგაღ.

გადაეცით ჩემ მაგიერ, რომ ახლა ავათმყოფობა, როგორ შეიძლება! კენჭის ყრა იწყება. თქვენც მყუდროება და თავისუფლება გჭირიათ! ახლაც ხომ თქვენ იქნებით საზოგადო კრებაზედ თავმჯდომარეთ.

დადებ.

შეიძლება მე არც ამომარჩიონ!

აგაღ.

როგორ შეიძლება? თქვენისთანა დახელოვნებულ თავმჯდომარეს ჩვენ სად ვიშოვნით!

დადებ.

არ ვიცი! იქნება მეც უარი ვთქვა, რაღაც უქეიფოთა ვარ.

აგაღ. არაფერი გიჭირსთ. თავმჯდომარეობა ჩვენს სხდო-
მებზედ ცოტას ვაგახალისებთ! სასურველი კანდი-
დატიც უნდა გაიყვანოთ! მშვიდობით (ხელს ართმე-
ვენ და მიდიან ის და ამირინდოც. მარშალი და ცქვიტი-
შვილი კარგ ხანს ერთმანეთს წერომათ უეუტებენ).

VII

დიდებულაძე. თქვენ კიდევ მობედეთ აქ მოსვლა?!

ცქვიტიშვილი. თქვენო ბრწყინვალეზე, მე მოვედი რომ
თქვენ ყველაფერი აგისხნათ!

დიდებულაძე. არაფერი ახსნა საჭირო არ არის! მიბრძანდით!

ცქვიტ. თქვენ უსამართლოთ იქცევით! მომისმინეთ! მე მო-
ვედი აქ, როგორც ჩვეულებრივათ, რომ მომელო-
ცა კნეინისთვის მისი დღეობა და ამ დროს კი
თქვენს კაბინეტში მე შევნიშნე ჩემი საყვარელი! მე
გავუწყერი. ის კი, საბრალო, ჭკუაზედ შეიშალა, ვინ
იცის, რას არ ყვიროდა! მე თქვენ გთხოვთ ეს ამი-
ხსნათ, საიდან გაჩთა ციციხო თქვენს კაბინეტში.

დიდებ. ის თვითონ მოვიდა ჩემთან იმ საქმის გამო, რომე-
ლიც დევდარიანთან ჰქონდა!

ცქვიტ. დევდარიანთან რა საქმე ჰქონდა?

დიდებ. დევდარიანს მისი ადგილი გაეყიდა, მეკი ძალა და-
ვატანე და ადგილი უკანვე დავაბრუნებინე!

ცქვიტ. კიდევ დაუბრუნა?! უფულოდ? ნუ თუ მიღალატა!

დიდებ. ფული, რამდენიც საჭირო იყო, ქალმა თვითონ
მოიტანა!

ცქვიტ. ღმერთო! ფულიც მოიტანა! სადღა იშოვნა! იმას
ფული არ უნდა ჰქონოდა?

დიდებ. მე გეუბნები იმას, რაც იყო და გინდა დაიჯერე
და გინდა ნუ! მე საქმე საკრებულოში მქონდა, ის
აქ დარჩა დარბაზში და ალბათ თქვენი შეეშინა და
კაბინეტში დაიმალა! ის ჩემთან ტყავაძემ მოიყვანა,
ყველაფერს აგისხნის.

ქეოტ. მე ამოვწვდი ტყავაძეს ენას და მართალს ვათქმევინებ. ნუ თუ ვინმესაგან ფული აიღო? არა! არა! გამადლობთ, თქვენო ბრწყინვალეზავ, რომ ამიხსენით! მხოლოდ თვითონ საბრალო ქალი იღუპება, სულ კიოდა! ძლივს სახლში წავიყვანე და ექიმებს ჩავაბარე! იქნება არც გამობრუნდეს, ექიმები შიშობენ! რალად მინდა რამე, თუ ის ჰკუიდან შეიშალა! თქვენო ბრწყინვალეზავ, თქვენს სახლში მეწვია მც ეს უბედურება! დამეხმარეთ რამე, დამაწყნარეთ!

დად. ჩემი რა ბრალია! მე ხომ ჰკვიანად დავტოვე! თქვენ აქ რა მოგივიდათ, მე რა ვიცი?

ქეოტ. გეფიცებით, რომ ერთის სიტყვითაც არ მიღალატნია სიმართლისათვის.

დად. მაშ რასაც ის ქალი ამბობდა?

ქეოტ. სულ ტყუილია! არაფერი დაუჯეროთ! მე რომ გავუწყერი, იმან თავის გამართლება დაიწყო და მგონებ მაშინ შეცდა ჰკუაზედ. მე მუდამ თქვენი ერთგული ვიყავი, თქვენს ლალატში როგორ გავერევი! თქვენც ნუ ინებებთ ჩემზე გაწყრომას! ახლა მაინც ძალიან ცუდ მდგომარეობაში ვარ. მთელი ქვეყანა ჩემს კანდიდატურაზე ლაპარაკობს, თქვენც მხარი უნდა მომცეთ და დახმარება გამიწიოთ.

დად. მე არაფერი დახმარება არ შემიძლიან!

ქეოტ. თქვენს ხელშია ჩემი ბედის ვარსკვლავი! თქვენ-ხომ კრების თავმჯდომარედ იქნებით და საქმეებსაც ისე წაიყვანთ, როგორც თქვენ გსურთ.

დად. საქმეებს ისე კი არ წაიყვან, როგორც მე მსურს, როგორც სინიდისი და საქმის ვითარება მეტყვის.

ქეოტ. მეც მაგას გთხოვთ. საქმის ვითარება იმას თხულობს, რომ დევდარიანი უსათუოდ გაშავდეს და მე ამომარჩიონ.

დად. ეგ ლაპარაკი მეტია! დევდარიანი მე მიმაჩნია შესაფერ მმართველად!

- ტქვოტ.** მაშ თქვენ, როგორც თავმჯდომარე, დევდარიანი-საკენ გადაჰხრით სასწორს.
- დიდ.** ეს თქვენი საქმე არ არის. თქვენ და დევდარიანმა, თუ კენჭი იყარეთ, მე თქვენ მოგცემთ შავს და დევდარიანს თეთრ კენჭს.
- ტქვოტ.** დიდათ გმადლობთ, რომ პირ და პირ მეუბნებით! ერთი შავი კენჭი უმნიშვნელოა და მე არ მეშინია, მხოლოდ თქვენ, როგორც კრების თავმჯდომარე, სწორათ და პირუთვნელათ მოიქეცით.
- დიდ.** ჩემი კენჭისა თუ არ გეშინიათ, მაშ რაღას მეხვეწებით! ამასაც ვნახავთ, თუ უმნიშვნელო იქნება!
- ტქვოტ.** მაპატიეთ, თუ უნებლიეთ გაწყენიეთ! ერთი კენჭი საზოგადოთ არ არის საშიშარი, მაგრამ თქვენი კენჭი კი დიდმნიშვნელოვანია. მე ვშიშობ, რომ თქვენს მოქმედებას საზოგადო კრებაზედ ტენდენციური ხასიათი ექნება, ამიტომ შემისრულებთ ეს თხოვნა: გადაეცით სხვას კრებაზედ თავმჯდომარეობა და მე სამუდამოთ თქვენი მონა-მორჩილი ვიქნები.
- დიდ.** მე თქვენი თხოვნა არ მესმის და შესრულებაც არ შემიძლია!
- ტქვოტ.** რა არის აქ გაუგებარი? თქვენ ხომ შეგიძლიათ უარი გამოაცხადოთ, კრება მაშინ სხვას აირჩევს. თქვენ კი თქვით, უქეიფოთა ვარო!
- დიდ.** არას დროს! მე უნდა გაჩვენო, საშიშარია თუ არა ჩემი კენჭი! რაც უნდა ავად ვიყო, მაინც ჩამოვიკიდებ ჩემს ორდენებს და თავმჯდომარის სკამზე გამოვიქიმები!
- ტქვოტ.** (ჩაფაქრებულია) ეს თქვენი უკანასკნელი პასუხია?!
- დიდ.** უკანასკნელი და გადაჭრილი!
- ტქვოტ.** თქვენო ბრწყინვალეზე, მომთხოვეთ, რაც გნებავსთ, ყველაფერს შეგისრულებ, მხოლოდ ჩემს პარტიაში გადმოდით! შემეწიეთ! მეც შემიძლია შემწეობა აღმოგიჩინოთ!

- დად.** რაში დამკირდება მე თქვენი შემწეობა! მშვიდობით!
- ტქვოტ.** (ჩუმათ) ბატონო გიორგი! არავინ გვიყურებს და საიდუმლოთ ვილაპარაკოთ!
- დადებ.** ჩვენ რა გვაქვს სასაიდუმლო!
- ტქვოტ.** მე ვიცი, რომ თქვენ ახლა ძალიან გესაჭიროებათ ფულები! მე დაგიხსნით განსაცდელისაგან!
- დადებ.** მე თქვენი არაფერი მინდა! თავს ნუ მაბეზრებთ! გაეთრიეთ აქედან!
- ტქვოტ.** მე კი გავეთრევი, მარა, არც თქვენ დარჩებით აქ!
- დადებ.** ეს რას ნიშნავს? რამე უნამუსობას ხომ არ აპირობ!
- ტქვოტ.** (საიდუმლოდ ხმით) უნამუსობას ის ჩადის, ვინც საზოგადო ფულებს ქამს.
- დადებ.** რას მიჰქარავ! კრინტი არ დასძრავ!
- ტქვოტ.** ჩუმათ ილაპარაკეთ, თორემ ვინმე გაიგონებს და დილუპებით! მე თქვენი დახსნა მინდა... კასსას ფულები აკლია!
- დადებ.** რას კლიაუნობ! მაგით რა გაგივა! გირჩევნია შენს ქერქში დაეტოო! რომელ კასსას აკლია? რას იგონებ?
- ტქვოტ.** თუ არ გახსოვსთ, მე გაგახსენებთ: რამოდენიმე წლის წინათ ჩვენს მხარეს დიდი უბედურება ეწვია! კოკისპირულმა წვიმებმა გამოიწვიეს უმაგალითო წყალდიდობა და... აუარებელი ხალხი უსახლკაროთ დარჩა.
- დადებ.** მერმე... ეს ამბავი რა მოსაყვანია?
- ტქვოტ.** ჩვენმა უბედურებამ აალაპარაკა მთელი ქვეყანა. ყოველივე კუთხიდან თქვენს სახელობე შემოწირულებას აგზავნიდენ და დიდი ფულიც შეგროვდა. რა უყავით თქვენ ეს ფული?
- დადებ.** მერმე თქვენ რაში გეკითხებათ?!
- ტქვოტ.** წარმოიდგინეთ, ვითომ მე სახელმწიფოს პროკურორი ვარ და გეკითხებით! რაში დახარჯეთ ეს ფული?

- დიდება.** მე დავურიგე, ვისაც ერგებოდა!
- ცქვიტ.** გასამართლებელი საბუთები გაქვთ?
- დიდება.** რა თქმა უნდა არის. სეკრეტარს მოჰკითხეთ!
- ცქვიტ.** ჩვენ სეკრეტართან რა საქმე გვაქვს. იმ ფულიდან ნაწილი მართლა დაურიგეთ, მაგრამ დანარჩენი 20 ათასს მანათამდის ფული თქვენ შესჭამეთ.
- დიდება.** სიცოცხლე მოგძულებია, რომ მაგას ამბობ! ცილის წამებაა! მე სხვისი ფული კაპეიკიც არ შემიჭამია!
- ცქვიტ.** შეიძლება თქვენ მართლა არ შეგვიჭამიათ, მაგრამ პასუხი ხომ თქვენ უნდა აგოთ! არ შეგეშინდესთ! ჯერ ეს ამბავი ჩემს მეტმა არავინ იცის.
- დიდება.** თუ გინდ იცოდეს, ვისი უნდა მეშინოდეს?
- ცქვიტ.** მაშ კარგი! დღესვე მოვახდევინებ მოულოდნელ რევიზიას და მაშინ? მაშინ ვნახავთ, თუ არ გეშინიათ! მშვიდობით (წასვლას ახიზობს).
- დიდება.** მოითმინეთ! რაც უნდა დაცემული იყოთ, მაგას მაინც თქვენ არ იქმთ?
- ცქვიტ.** მე იმნაირ გზას დავადექი, რომ ჩემი შეჩერება შეუძლებელია. ნუ იღუპავთ თავს. თუ გსურთ, გადარჩეთ სირცხვილს, გალანძღვას, ღირსების ახლას — დამემორჩილეთ მე! გადმოდით ჩემს მხარეზედ და მაშინ ფულებსაც ვიშოვნე და კიდევ დაგიფარავ.
- დიდება.** დაგემორჩილო?! მე, ხაყადი დიდებულოძე, უნდნ დაგემორჩილო. შენ — ესტატე ცქვიტიშვილს? არა, ეს შეუძლებელია! არას დროს! მე ვიშოვნე თუ რამე აკლია და შევაგებ.
- ცქვიტ.** ბატონო, ვერ იშოვნით! 20 ათასს მანეთს კი არა 20 თუმანს აღარ გენდობიან! კრედიტი დაკარგული გაქვთ, საიდან გააჩენთ ამოდენა ფულს? დამიჯერეთ მე!
- დიდება.** და თქვენ მათამაშებთ ისე, როგორც თქვენ გნებავსთ?! არა?

ცქვიტ. მხოლოდ ბანკის გამგეობის თავმჯდომარეთ გამიყვანეთ და თქვენ მათამაშეთ, როგორც გენებოსთ. მე მოგცემთ საშუალებას, საქმეები გამოაბრუნოთ!

დიდებ. მე შენ ვერ გენდობი! ჯერ მე კასის წიგნებს შევასწორებ და მერმე ვილაპარაკოთ მაგაზედ! (ზარის ფოლაქს თითს საშვერ დაადებს, სადღაც შიქს ზარი აწკრიალდება).

ცქვიტ. მერმე გვიან იქნება! თქვენ უნდა იყვეთ ჩემსკენ და ან არავესკენ! კარგათ დაფიქრდით, თქვენ ახლა ჩემს ხელში მყავხართ ჩაჭერილი, დანძრევაც აღარ შეგიძლიათ (შემოდის ორი ბიჭი). რასაც მე გთხოვთ უნდა შეასრულოთ.

დიდებ. კოტე, ერთი ი კარები კარგათ დახურე, არავინ შემოვიდეს. (კოტე ცქვიტიშვილს უკანიდან მოუყვლის და კარებს დასუყავს). ბატონო ესტატე, მაშ მე თქვენს ხელში ვარ ჩაჭერილი! რომ არ დაგემორჩილო, რაღას იზამ?

ცქვიტ. მაშ მშვიდობით და მე ვიცი!

დიდებ. რაც შენ წახვიდე, ის შენ დაიქადნე! კოტე, დაიჭირე მაგ ყბედი! მიდით ორივემ! არ შეგეშინდესთ!

ცქვიტ. (იქით-აქეთ ისელება). რას მიპირობთ! ხომ არ გაგიყვლით! (ბიჭებს) ახლოს არ მომეკაროთ! გაიპარეთ აქედან!

დიდ. მე თქვენ გიბრძანებ, ჩქარა დაიჭირეთ მეთქი! რას უყურებთ! (ბიჭები მიცვიფდებიან) მაგრათ მოჰკიდეთ ხელი! არ გაგექცესთ! ახლაც შენს ხელში ვარ ჩაჭერილი? მაგრათ გააკავეთ! მე შენ გაყურებიებ სეირს! მე შენ ჩაგკეტავ ჩემს სარდაფში და სანამ ფულებს არ შევავსებ, იქ ბრძანდებოდე!

ცქვიტ. ღმერთო! ხომ არ გაგიყვლით! რას მიშვრებით! მერმე კენტის ყრა?

დიდებ. უშენოდაც კარგათ ჩაივლის, დევდარიანს უფრო აღვილათ აირჩევენ.

- ცქვიტ.** ნულარ ხუმრობთ, ბატონო, მე ჩემი საცხოვრებელი ამ კენჭის ყრას დაეახარჯე და თქვენ რას მიპირობთ! კარგათ დაფიქრდით?
- დად.** წამოიყვანეთ აქეთ! არ შეშინდეთ! მეფურათ დაგაჯილდოვებთ! მაგრათ გეჭიროსთ!
- ცქვიტ.** (ბიჭებს). თქვენი ბატონი შეიშალა, მაგრამ თქვენ რალამ გადაგრია! გამიშვით ხელი, თორემ ციმბირი არ აგცდებათ!
- დად.** ყური არ უგდოთ, აქეთ გამოსწიეთ! ვის შერჩენია ჩემი შეურაცყოფა, შენ რომ შეგერჩეს?
- ცქვიტ.** არც ჩემი დაჭერა შეგერჩებათ! ჩემი პარტია დაანგრევს თქვენს სახლს, ყველამ იცის, რომ ახლა აქ ვარ.
- დად.** ამასაც ვნახავთ, რაც ბიჭებია შენს პარტიაში. ადრე თუ ვიზოვნე ფული, თავისუფლებაც ადრე მოგენიჭება.
- ცქვიტ.** ბატონო, გამიშვით და მთელ კასსას თვითონ მე შეევაგებ!
- დად.** ვერ გენდობი! ვერა! სარდაფისკენ წამოიყვანეთ! (მისწვევს).
- ცქვიტ.** (უფიქრის). ეი, ვინ ხართ, მომეხმარეთ! (არ ნებდება) ხელი გამიშვით? ცოცხალს ვერ გამიყვანთ აქედან! ეეი, მომეხმარეთ!...
- კნენა ცასო (შემოვარდება).** ეს რა ღრიალია? ღმერთო! რა დაგემართათ! რა დააშავა? ხელი უშვით! ჩქარა, ხელი უშვით! (ბიჭები ხელს უშვებენ და იქით-აქით გაზბიან. სსმიკე ერთმანეთს გაკვირვებით შეაჩერდებიან).
- ცქვიტ.** (ცოტადღენი სიჩუმის შემდეგ). უკაცრავათ, კნენა, შეგაწუხეთ! ყველაფერს მარშალი აგინსნისთ. (თავს უკრავს და მიდის).
- მარშალი** (კარგ ხანს გაშტერებული დგას). კნენა ეს მე შენგან მჭირს?!. შენ გაამხილე ჩვენი საიდუმლო?
- ცასო.** არ შეგეშინდეს! ის ჩვენ დაგვიხსნის! უნდა მივინდოთ!

მომხმდებელთა მიმოხილვა

(სტენა წარმოადგენს ქალაქის თეატრს სტენით, დარბაზით ლოჟებით და ქანდაკებით: სტენაზე არიან დამსხდარი ბანკის გამგეობის და შედამხედველ კომიტეტის წევრნი: თ-დი დევდარიანი ბ. ლომთათიძე, ბ. ავალიანი, თ. დიდბუღიძე და სხვები. კუთრეში სტოლზე ბევრი ქაღალდები აწევიან. იქვე უნდა კრების მდივინი და საქმის მწარმოებელი. ახლეს სხედან საკუთარ სტოლთან ზრესის წარმომადგენელი. მეორე მხრისკენ სტოლზე აწევიან ორი უეთი კენჭის საყრდელი. აქვე დგანან ასისსტენტები, რომელთა შორის ზოგიტი ამირინდოც არის. საზოგადოთ ეველათერი ისეა მოწყობილი, როგორც შეეფერება კენჭის ყრას. სტენიდან ორივე მხრიდან იქით-აქით დარბაზში ჩამოსასვლელი კიბეები არის გაკეთებული. დარბაზში ჩამოსავალს ამ კიბეებზე ერთზე სდგას ტუფაძე და მეორეზე გოგია, მამასხლისის ჯაჭვით. დარბაზში სხედან ბანკის საზოგადო კრების წევრნი და მათ შორის ბ. ცქვიტიშვილი, ექიმი ჩინჩალაძე, ჩინჩალობი თავადაზნაურები, მხუცი, ვაჭარი აბაღაშვილი და სს. ლოჟებში არიან გენინა ტასო, ქრისტინე, ზროკურორი და სს. ქანდარაზეც არიან მოკენჭები და კარეშე ხალხიც. ფარდა რომ ახედება, გამოჩნდება მხოლოდ დარბაზი, ლოჟებით და ქანდაკითურთ. სტენაზე ფარდა ისევ ჩამოფარებულია და იქიდან გამოურკვეველი ლაპარაკი მოისმის. საზოგადო კრების წევრნი კარგ ხანს მხოლოდინში არიან. მერვე აკერ-ეკერ სმაურობას დაიწყებენ.)*

*) შენიშვნა. შესაძლებელია, სტენა სხვა ნაირად იყოს მოწყობილი, თეატრის სტენა წარმოადგენდეს მარტო სტენას, სადაც ბანკის გამგეობაა მოთავსებული. თეატრის პარტერში პუბლიკასთან ერთად უნდა ჩაჯდნენ ცქვიტიშვილი, ჩინჩალაძე და სს. ლოჟებშიც ტასო. ქრისტინე და ზროკურორი, ქანდარაზეც რამდენიმე მოკენჭე. ამის მიხედვით ყველაფერი უნდა მოეწყოს როგორც კენჭის ყრას შეეფერება.

I

- ტყავაძე.** ბატონებო, ახლავე დაიწყება კენჭის ყრა!
- სმება.** (დაჯახსი და ქანდაჯახეც) მადლობა ღმერთს, გვალირსეთ მაინც კენჭის ჩაგდება! რას გვაწვდილებენ ამდენ ხანს! ერთი კვირაა ამისთვის ვიცდით! მერმე ილაპარაკონ, რამდენიც უნდათ! კენჭი! კენჭი! ჩქარა კენჭის ყრა! ჩაგვაგდებიე ბატონო, რაცხა კენჭია და ქე გაგვიშვით სახში.
- ტყავაძე.** (სტენაზე გაიჭვრეტს) ასისტენტები თავ-თავის ადგილას დადგენ. კენჭის ყრა ახლავე დაიწყება! თქვენ კანდიდატები მოამზადეთ!
- ერთი სმა.** კანდიდატი ჩვენ აქანაი მოსვლამდი მზათ გეყავდა!
- მეორე სმა.** ჩვენი კანტუტანტი ცქვიტიშვილია.
- სმება.** ვაშა, ცქვიტიშვილი ვაშაა! ჩვენ ცქვიტიშვილი გვინდა!
- ასალი სმა.** ჩვენ ისევ დევდარიანი გვინდა!
- სმება.** ძირს, დევდარიანი, ძირს!
- გაბეჯული სმა.** ძაან უკაცრავად ბრძანდებით! თქვენი ცქვიტიშვილი ძირს, ისევ დევდარიანი სჯობია!
- სმება.** არ გვინდა, არა, რას ჩაგვაცივდით!
- სმება.** დევდარიანი, დევდარიანი, ცქვიტიშვილი!.. (ამ დროს აისხნება სტენის ფარდა).
- თ. დიდებულაძე.** (კრების თავმჯდომარე. ზარს არაწყურებს და წამოდგება. დაწყენადების) ბატონებო, დადგა უკანასკნელი ჟამი ჩვენის კრებისა! ჟამი ყველაზედ უფრო საყურადღებო და მრავალ მნიშვნელოვანი! აგერ მთელი კვირაც გავიდა და ჩვენ ძლივს გავათავეთ საბანკო საქმეების განხილვა, ანგარიშების დამტკიცება ახალი შუამდგომლობების აღძვრა და სხვა და სხვა. ბატონებო, უწინ საზოგადო კრებაზედ ჩვენ სულ ადვილათ ვასწრებდით ყველა საქმეების გათა-

ვებას ორს ან სამს დღეს. ეხლა კი, ამ კრებაზედ, სულ უბრალო საგანიც ხანგრძლივ კამათს იწვევდა. ამ კამათიდან მე შევნიშნე, რომ მთელი საზოგადოება ორს ბანაკად არის გაყოფილი, ორი დასი შემზადებულია და ეს დასები ერთმანერთს არაფერს არ უთმობენ. მოწყალეო ხელმწიფენო, თუ სულ უბრალო და უმნიშვნელო კითხვებზე ჩვენ კინალამ ერთმანერთს თავი შევაკალით, რალა უნდა ვქნათ ახლა, ამ დიდმნიშვნელოვან წამს, როდესაც ჩვენ უნდა შევუდგეთ თვითონ კენჭის ყრას, როდესაც ჩვენ უნდა ამოვირჩიოთ ჩვენი პირმშო შვილის—ჩვენის ბანკის პატრონი და მმართველი. ბატონებო, არჩევანი ყოველთვის შეადგენდა დედა ბოძს ჩვენის კრებებისას და ჩვენის საზოგადოების მიმზიდველ და საჭირობოროტო საგანს. დღესაც არჩევანმა შეგვყარა ამდენი ხალხი. მე ვგრძნობ, რომ თქვენ დიდის აღზნებით, დიდის მღელვარებით ეგებებით დღეინდელ არჩევნებს, ეს ასეც უნდა იყოს რადგანაც თქვენ გული გეწვისთ საზოგადო საქმეზედ; მაგრამ ნუ დაივიწყებთ, რომ მღელვარებით, ყვირილით და უწყესობით არაფერი საქმე არ გაკეთდება. რაკი თქვენ იმდენი პატივი მეცით, რომ საზოგადოდ კრების თავმჯდომარეობა მარჯუნეთ, ახლაც იმედი მაქვს დაცავთ წესიერებას, წინა აღუდგებით ყოველივე არეულობას, ჩაჰხედავთ თქვენს სინილისს, ყველაფერს ასწონ-დასწონავთ, არ მიაქცევთ ყურადღებას არც ნათესაობას, არც გვარიშვილობას, არც სიმდიდრეს და მხოლოდ მიიღებთ მხედველობაში იმას, რამდენად ეს თუ ის კანდიდატი არჩევის ღირსი არის და ისე მისცემთ თქვენს ხმას. (დაჯდება. ტაშის ცემია).

ვაშა, ვაშა! მართალი ბრძანებაა!

დადებ. (ზაჩს აჩაწყუნებს). მაშ, ბატონებო, შევუდგეთ კენჭის ყრას. ყველაფერი მზათ არის, ასისიტენტებიც

ხმება.

დადებ.

არჩეულია და ამომრჩევლების სიაც შევამოწმეთ!
 გთხოვთ უმორჩილესად განაცხადოთ, კანდიდატებს
 ბარათებით დაასახელებთ, თუ ისე პირ და პირ, სი-
 ტყვიერათ?

ხმება. არ გვინდა ბარათები, სიტყვიერათ სჯობია! ჩვენი
 კანდიდატების ზეპირათ ვიცით!

ერთი აზნაური. ჩვენი კანდიდატი ცქვიტიშვილია!

ხმება. ცქვიტიშვილი, ვაშა ცქვიტიშვილი!

ერთი თავგადი. გთხოვთ ყუთი იაფად ისევ თავად დევდარიანს
 დაუდგათ.

ხმა. გამოცდილი კაცია! გვემსახურა ამდენ ხანს, ახლა
 დევდარიანი, ბატონებო, ერთხმათ ამოვირჩიოთ!

ხმა ქანდაკიდან. ერთხმათ კი არა, სულ არ გვინდა შენი დევ-
 დარიანი!

ხმება. ცქვიტიშვილი, დევდარიანი! დევდარიანი!

ერთი ხმა. ბატონო მარშალო, ბანკის საქმე ძან ცუდათ ყო-
 ფილა! მარტო ცქვიტიშვილს შეუძლია გამოაბრუ-
 ნოს.

მეორე ხმა (ანჩხლობით). სადაურს ლაპარაკობ, ღმერთმანი!
 რათ გვინდა ახალი კაცი, ისევ თავადი არ გვირჩე-
 ნია?!

ხმება. არ გვინდა, არ გვინდა (შეიქნება ჩოჩქალი).

დიდებულ. ბატონებო, (ზარს აწაწყუნებს) მე თქვენ გთხოვეთ
 წესიერება დაიცავით მეთქი და თქვენ ასე მალე ყვი-
 რილი ასტეხეთ. დაწყნარდით... ამდენ ხმებში მე
 მომესმა ორი პატივცემული პირის გვარი. ერთი
 არის თავადი გრიგოლ დევდარიანი, ბანკის ახლან-
 დელი მმართველი, რომლის ოთხი წლის ნაშრო-
 მი ზევრმა თქვენგანმა არ მოიწონა, მაგრამ ვინ იცის
 იქნება შემდეგში იმან ბანკი უკეთესად წაიყვანოს,
 მეორე არის ნაფიცი ვეჭილი ცქვიტიშვილი, რო-
 მელმაც მთელი კვირის განმავლობაში დაგვატკბო
 თავის ნიჭიერი სიტყვებით და მოსაზრებებით, რო-

მელმაც შესანიშნავი ცოდნა გამოიჩინა საბანკო საქმეებში და ყველა დამსწრენი თითქმის მოგვხიბლა. როგორც ხედავთ, მოწყალეო ხელმწიფენო, ორივე კანდიდატი ცნობილი პირებია და მართლაც დიდი მოფიქრება გვჭირია, რომ მათგანში საუკეთესო პირი ამოვირჩიოთ.

ექ. ჩინჩაძე. ეგ პირები თანახმანი არიან კენჭი იყარონ?

დიდ. ახლავე შევეკითხები! ბატონო დეედარიანო, თქვენ მართალია ამ კვირაში ბევრჯერ გული გატკინეს, ბევრჯერ გაგაჯავრეს, მაგრამ მაინც გული დაიმშვიდეთ და გვითხარით—თანახმა ბრძანდებით, რომ კენჭი გიყაროთ, თუ საკმარისად მივაჩნიათ, რომ საზოგადოებას ემსახურეთ ოთხი წელი და ახლა უარს აცხადებთ?

ხმა ქანდაკიძის. უარს ამბობს, არ უნდა!

დიდ. (ზარს აჩვენებს) სიტყვა ეკუთვნის თავად დეედარიანს.

დეედ. (წამოდგება) თქვენო ბრწყინვალეებავ, თავადო გიორგი, და თქვენც ბრწყინვალე და დიდებულო საზოგადოებავ! დღეს შემისრულდა ოთხი წელი, რაც მე საზოგადოებამ ჩამაბარა ბანკის მართვა-გამგეობა. ამ საქმემ ჩემგან აუარებელი შრომა მოითხოვა, რადგანაც ჩემამდის ბანკის ყველა საქმეები ძალიან აწეწილ-დაწეწილი იყო. შიგნით სრული დეზორგანიზაცია სუფევდა და გარეთ კი შიში და უნდობლობა. გირავენობის ფურცლების ფასიც ბირჟაზედ ძალიან დაწეული იყო და მთავრობაც ბანკის მოქმედებას ეჭვის თვალით უყურებდა. როგორც კი მე ბანკი ჩავიბარე, მთელის ჩემის ძალ-ღონით და სწავლით შევეცადე, რომ წამხდარი საქმეები გამესწორებინა.

ხმა ქანდაკიძის. გრიშა! ტყუილს რად ამბობ? (სიცილით, თავმჯდომარე ზარს მჩვენებს ხელს).

დეგდ. წლიურის ანგარიშიდან, რომელიც თქვენ დაწვრილებით განიხილეთ და კიდევ დაამტკიცეთ, ნათლად დაინახეთ, რამდენი შრომა გავვიწევია! ამასთანავე უნდა მოგახსენოთ, რომ ყველაფერი ის, რაც მსურდა გამეკეთებინა, მე ვერ მოვასწარი, რადგანაც...

ხმა ქანდაკიდან. ბულვარზე სეირნობამ ხელი შეგიშალა! (სიცილია).

დად. ვინ ბედავს წესიერების დარღვევას? (სიხუჟა).

დეგდ. უნამუსო კლაკიორი, რა თქმა უნდა, ვერაფერს მიხვდება და პატიოსანი კაცი კი ნათლად დაინახავს, რომ ოთხი წელი ისეთი რთული დაწესებულებისათვის, როგორც არის ბანკი, ძალიან ცოტა დროა. ამიტომ მე საჭიროდ მიმაჩნია ბანკის კეთილდღეობისათვის კიდევ დავრჩე მმართველად ოთხი წელი. ამ ხანში მე დავამთავრებ, რაც საქმეები მაქვს დაწყებული, გავამაგრებ ბანკის მდგომარეობას და ისეთ მაგარ ნიადაგზე დავაყენებ, რომ მერმე ვისაც უნდა ჩააბაროთ, ბანკის 'შიში აღარ გექნებათ! მაშინ მეც საზოგადოებას თავს დაფუკრავ, არჩევისათვის მაღლობას გადავუხდი და დასასვენებლათ წავალ. ახლა კი, როდესაც ბევრი ჩემვან დაწყებული საქმე ჯერ არ გამითავებია და ჩემს მეტი ამ საქმეებს ვერავინ ვერც გაიგებს და ვერც ჯეროვანათ დაასრულებს, ამიტომ იძულებული ვარ კიდევ შევწირო ჩემი შრომა და გამოცდილება საზოგადოებას და დავრთოთ ნება, რომ ყუთი დამიდგათ, მით უმეტეს, რომ პატივცემული საზოგადოებაც ამას თხოულობს.

ხმები (გაუბედავთ). ვაშა, ვაშა!

ხმა ქანდაკიდან. არა კაცი გებეწება, ქვეყანას ნუ ატყუებ! (იციხიან).

დად. (ზაწს მოავლებს ხელს) ბატონებო, თანახმად ბ. დევი დარჩანის თხოვნისა, ედგმის მას ყუთი! (ერას სისიონტენტთაკანს ბაწათს აქლებს) დაწერეთ სახელი და გვარი და მარცხენა ყუთზე დასდევით (ის ასრულებს).

სმს. ქანდაკიდან. ტყუილად გვაწუხებთ! მაინც ხომ გაშავდება და...

დიდ. (ზანს მოაფლებს ხელს) ბატონო ცქვიტიშვილო! თანახმად საზოგადოების თხოვნისა მოგმართავთ თქვენც და უმორჩილესად გთხოვთ ყუთი დაიდგათ. (ხანგრძლივი ვაშა და ტაშის ტემას).

ერთი გაუბედავი სმს. ძირს ცქვიტიშვილი!

სმები. ვინ გაბედა „ძირს“ დაძახება?!

დიდებულ. (დამძასკებლისკენ) თქვენ როგორ ბედავთ, შეურაცყოფა მიაყენოთ პატივცემულ მოღვაწეს! ახლავე პოლიციელს დაუფახებ და ციხეში გაგაგზავნი. იცი, რას ნიშნავს ძირს?

იგივე სმს. უკაცრავათ, ბატონო მარშალო, მე ვთქვი, მაღლა ღმერთია ჩვენი პატრონი და ძირს ცქვიტიშვილი მეთქი, და ამიზა გამაგზავნი ციხეში?

დიდებ. არა, მასე თუ თქვი არა, მე პირველი ნაწილი ველარ გავიგონე.

ტქვიტ. (წამოდგება და კარგ ხანს გაჩუმებულია) დიდსა და გულითად მადლობას გწირავთ, როგორც თქვენ ბატონო თავმჯდომარე, ისე მთელს საზოგადოებასაც, მაგრამ იძულებული ვარ, კანდიდატობაზედ უარი განვაცხადო! მე არ მსურს საზოგადოებამ იფიქროს, რომ კრების დროს მე ვიყავი ოპოზიციაში მხოლოდ იმიტომ, რომ მე თვითონ მინდოდა მმართველის ადგილის დაქვრა! რაკი ჩვენ სასურველი კანდიდატი გვყავს, იმას მართო ვუყაროთ კენჭი და ისევ ის ამოვარჩიოთ!

სმები. არ გვინდა, არ გვინდა! გთხოვთ, გვედრებით! ნუ დაღუპავთ ბანკს (შეიქნება უფიჩილი და სმაურბა).

დიდ. (ზანს აჩაწკუნებს) ბატონებო, დაწყნარდით! დაწყნარდით! მე ხელ-ახლად ვთხოვ ბ. ცქვიტიშვილს. პატივცემულო ესტატე პეტროვიჩი! თქვენ თვითონ დაინახეთ, როგორ ადელვდა საზოგადოება! საზოგა-

დოების პატივის ცემა და ნდობა დიდი ბედნიერებაა მოღვაწისათვის. მე ვიცი, რომ პირადათ თქვენთვის ბანკის გამგეობის თავმჯდომარეობა არ წარმოადგენს სახარბიელო რამეს, მაგრამ თქვენი პირადობა ამ საქმეში უნდა დაივიწყოთ და ნება მოგვცეთ, რომ ყუთი დაგიდგათ!

სვალანო. ხმა ღვთისა და ხმა ერისაო, ხომ გაგიგონიათ! ნულარ ყოყმანობთ! მოგვეცი თანხმობა!

სპირანდო. ქვის გული უნდა ჰქონდეს კაცს, რომ ამდენ თხოვნას გაუძლოს!

ხმება. გთხოვთ, გთხოვთ! არ გვიღალატო, არ დაგვლუბო!
ცქვიტ. (წამოადგება. გასუიღებთან) ბატონებო, ღმერთმა კი იცის, რომ პირადათ მე არ ვფიქრობდი და არც ვაპირობდი კენქის ყრას, მაგრამ, რადგანაც მთელი საზოგადოება მთხოვს, მეტი რა გზა მაქვს, უნდა დავმორჩილდე. წყალში გადავარდნაც რომ მომთხოვოთ, იმასაც კი შევასრულებ. თქვენი ნება იყოს, მეც დამიდგით ყუთი! (სანგრძლივი ვაშა და ტაშის ცემა.)

დიდ. რადგანაც ბ. ცქვიტიშვილმაც თანხმობა გამოაცხადა, იმასაც ედგმის ყუთი! (სელ-ახლად გადასცემს შეორე ხატოს) ეს მარჯვენა ყუთზე დასდევით. სახელი და გვარი გარკვევით დააწერეთ! (ასრულებენ) ბატონებო, ამ ნაირათ კენქს იყრიან ორი პატივცემული პირი—დედარიანი და ცქვიტიშვილი. თუმცა მე დარწმუნებული ვარ, რომ კიდევ ვინმე ახალი კანდიდატი არც გვყავს და არც საპიროა, მაგრამ მაინც, როგორც წესი მოითხოვს, კიდევ შეგეკითხებით: იქნება კიდევ გსურთ დაასახელოთ ვინმე, იქნება კიდევ გაქვთ რამე სათქმელი?

ხმება. არ გვინდა, არა! (დიდებ. წასრს არაწყუნებს).

II

- მოსუცი.** (წამოადგება) ორი ღერი სიტყვა მეც მათქმევინეთ, ბატონო!
- დიდ.** ბრძანეთ!
- მოსუცი.** მე არ ვიცი და ერთი ამიხსენით, თქვენი ქირიმე, რა კაცებია, ყუთს რომ უდგამთ!
- დიდ.** როგორ თუ კაცები?!
- მოსუცი.** რა ყალიბის არიან?
- დიდ.** სწორეთ არაფერი მესმის!
- მოსუცი.** რა ზნეობის არიან? ოჯახში როგორ ცხოვრობენ?
- დიდ.** ამასთან თქვენ რა ხელი გაქვთ?
- მოსუცი.** აი ერთი კვირაა, კერძო ლაპარაკში სულ ყურები გამომიქედეს, რაცხა ციციწო არისო! ეს მაინც ამიხსენით, რას ნიშნავს?
- დიდ.** ამის შესახებ მე თქვენ გიკრძალავთ ლაპარაკს. მე თქვენ ნებას ვერ მოგცემთ, რომ საზოგადო მოღვაწეების შინაურ ცხოვრებაში ხელები აფათუროთ. შინაური ცხოვრება სულ სხვაა, კერძო საქმეა და საზოგადო მოღვაწეობა კი სულ სხვა! ძხოლოდ ეს უკანასკნელი მხარე შეგიძლიათ მხედველობაში იქონიოთ!
- მოსუცი.** იმიტომ მოგახსენეთ, ბატონო, რომ ვინც შინ არ ვარგა და უზნეოა, ის არც გარეთ ივარგებს. ზნეობა ქორგა ხომ არ არის, რომ მარტო გარეთ ატაროს ადამიანმა?!
- ლაძითათ.** მე მომწონს თქვენი მსჯელობა! შინაური ცხოვრება საზოგადო მოღვაწეობასაც გარკვეულ დაღს აჩენს და იმიტომ ჩვენ ვალდებული ვართ იმასაც ყური ვათხოვოთ! საზოგადოებამ ყველაფერი უნდა იცოდეს, ავიცა და კარგიც! აგვისხენით მაინც, რა

როლს თამაშობს ის ვილაც ციცილო ამ ჩვენს სა-
ქმეებში?!

მოხუცი დიდებ. ქე კი შეუშლიათ ქკუაზედ, საცოდავი და რა ვიცი!
(ზარს აჩაწკუნებს და ადეფუებულათ) მე ვსაბობ ამ სა-
განზე მსჯელობას! ყველაფერი გამორკვეულოა! ვი-
საც კანდიდატები არ მოსწონს, იმას შეუძლია შავი
მისცეს, მორჩა და გათავდა!

მოხუცი. შავს მივსცემ, აბა რას ვიქ? მაგენს ბანჯში კი არ
შეფერის უფროსობა, საროსკიპოში უნდა იყვენ
უფროსად, პატიოსან ოჯახში შემოსაშვები არც
ერთი არაა!

ტყავაძე. ვინაა რომ ილანძღება! გააგდეთ აქედან, გააგდეთ!
(შეიქნება ხმაურობა და უფირილი, ზოგნი შეშტებით
შიიწკვიან მოხუცისაკენ).

ხმება. გამიშვით მაგასთან! როგორ ბედავს? გააგდეთ აქე-
დან!

მოხუცი დიდებ. (ხმაღწე ხელს დაიდებს) ახლოს არ მოხვიდეთ?
(დონიფრათ ანძრეკს ზარს). შეჩერდით! რა ამბავია
ეს უწესობა! (დეუდარაიანი სტენაზე დედავს, ხალხში
საზოგადო არეულობაა. ტქვიტიშვილი წამფვარდება და
მოხუცს იფარავს).

ტქვიტიშვილი. შესდექით! არ შერცხვით! მოხუცზედ ხელი არ
აიღოთ!

ერთი გინძე. გამიშვო მაგასთან, როგორ ბედავს?

ტქვიტიშვილი. თუ გიყვარდეს, გაჩუმდი! ჩემი ხათრისათვის აპატი-
ვით! დაბრძანდით თქვენ ადგილას, დაბრძანდით!
ამის სიტყვები ჩვენ სრულებით არ შეგვცება. ვი-
საც კული ეწვის, იმან იკითხოს.

დიდებ. თუ არ დაწყნარდებით, კრებას შევწყვეტ ახლავე!

ტქვიტი. ბატონო თავმჯდომარე, ახლავე დაჯდებიან! კენ-
კის ყრას შევეუდგეთ! მარა მეშინია ამ პატიოსან
მოხუცს არაფერი აწყინონ, იქნება სტენაზედ აი-
ყვანოთ!

მ.ს.უცა. თქვენ ჩემი დარდი ნუ გაქვთ!

ეკ. ჩინჩაღაძე. ერთი გაგვიჩთა სინილისიერი კაცი და იმას ხელს როგორ ვახლებთ. ჩვენთანვე დარჩეს! ბატონო თავმჯდომარევე, გთხოვთ სიტყვის ნება მომცეთ.

დიდებ. ექიმო, თქვენ რაღა გნებაეთ? გააქიანურებთ ახლა ლაპარაკს!

ამირანდო. ბატონო, აცალეთ, იქნება ერთხელ მაინც მოგვეცეს ხეირიანი რეცეპტი!

ჩინჩაღაძე. მე ფსიხიატრი არა ვარ! თქვენს mania grandiosa-ს ჩემი რეცეპტიც ვერ უშველის.

დიდებ. კინკლაობის ნებას მე თქვენ არ გაძლევთ. ბრძანეთ, რაც გნებაეთ, მხოლოდ მოკლეთ. საზოგადოებას ნუ ვტანჯავთ!

III

ჩინჩაღაძე. ბატონებო, გთხოვთ ყურადღებით მოისმინოთ, რასაც მოგახსენებთ. დიდებულოძემაც თქვა და ისედაც ნათლათ ჩანს, რომ აქ ორი დასი შემდგარა. მარა ნუ იფიქრებთ, რომ ამ დასებს სხვა და სხვა აზრები, სხვა და სხვა პროგრამა და მიმართულება ჰქონდეს. არა! განსხვავება მხოლოდ იმაშიდ არის, რომ ერთ დასს სურს ამოირჩიოს ბანკის მმართველად თავადი და შეორეს კი სურს ამოირჩიოს აზნაური. არც ერთს და არც მეორე კანდიდატს, არავითარი პროგრამა არა აქვს. როგორც ხედავთ ერთიცა და მეორეც ფეოდალიზმის წარმომადგენელი არიან. ბატონებო, თანამედროვე ცხოვრებას, კაპიტალისტურ წესწყობილებაზედ დამყარებულს, არ სწამს ფეოდალიზმი, ამიტომაც ორივე არსებული დასი ვერ აკმაყოფილებს ცხოვრების მოთხოვნილებას.

ამირ. მაშ თქვენ შექმენით მესამე დასი!

- ჩინჩ.** დიხაც, სადაც ორი დასია, იქ მესამეც უნდა იყოს, მე, როგორც ფეოდალიზმის წინააღმდეგი, არ ვარ არც ცქვიტიშვილის და არც დევდარიანის მხარეზედ.
- აშარ.** მაშ თქვენ ნეიტრალი-ტეტია ბრძანებულხართ!
- ჩინჩ.** ეს თქვენი უმარილო ოხუნჯობა, თქვენს უნიკო ლექსებს წააგავს!
- დად.** ლანძღვა რა საკადრისია, მე თქვენ მოგისპობთ ლაპარაკის ნებას!
- ტყავაძე.** დიხაც უნდა მოუსპოთ, თქვენო ბრწყინვალეობავ, ამდენ ხანს ოპოზიციაში იყო და ახლა სადაურს ლაპარაკობს!
- გოგია.** მოლალატე ყოფილა! ჩვენსკენ იყო მეგონა!
- ტყავაძე.** ბატონო თავმჯდომარევ! ნება მომეცით ორიოდ სიტყვა მეც მოგახსენოთ.
- დად.** ბრძანეთ, მხოლოდ თქვენი სიტყვა იქნება უკანასკნელი და მეტს არავის მივსცემ ლაპარაკის ნებას.
- ტყავაძე.** ესეც არის, ბატონმა ჩანჩალაძემ ბრძანა...
- ჩინჩ.** ჩემს გვარს ნუ ამახინჯებთ, მე ჩინჩალაძე ვახლავარ!
- ტყავაძე.** უკაცრავად, მე უცაბედათ წამომცდა ჩანჩალაძე. (იღინიან) ჰო, იმას მოგახსენებდით, რომ ბრძანეს, ორივე კანდიდატს მოქმედების პროგრამმა არა აქვთო! ეს სიტყვები სიმართლეს მოკლებულია. ბ. დევდარიანმა, აკი მოგახსენათ, რასაც ამდენ ხანს ვაკეთებდი, იმას გავაგრძელებ მომავალშიცო. განა ეს მოქმედების პროგრამმა არ არის? პირადად მე კი, რაც უნდა გავაკეთო წყალივით შესწავლილი მაქვს: ბანკის მმართველ-გამკვობაში ხარჯების შემცირება, უფრო სასტიკი თვალ-ყურის გდება მოსამსახურე პირებზე, კრედიტის გიაფება, მოხდენა კონვერსიისა, ბანკის მოქმედების გაადიდება და მოქმედების რაიონის გაფართოვება, უფრო მეტი ყურად-

ლების მიქცევა ჩვენ წვრილ და ღარიბ წევრებზე, ისეთი წესის შემუშავება, რომ პატრონს ადგილ-მამული აღარ ეკარგვოდეს, ბანკზე დარჩენილი მამულების წესიერათ მოწყობა და იმნაირათ მათი ეკსპლოატაცია, რომ ისინი დეფიციტს აღარ იძლე-ვოდენ, სამადლო თანხების გადიდება სწავლა-განათ-ლების საქმისათვის, ღარიბთა შემწეობისათვის და სხვა და სხვა ბევრი ასეთი, რომელთა ჩამოთვლას მთელს დღეს ვერ გავათავებდი. აი რა არის ჩემი პროგრამა, თუ ოქვენ არ მოგწონს, მე ახლავე კენჭის ყრაზე უარს განვაცხადებ. (ხანგრძლივი ტაშის ცემა).

ხმება. ვაშა, ვაშა! საუკეთესო პროგრამაა! მაგას რაღა აჯობებს

დედ. (აღუგებულად) მე ძალიან მაკვირვებს, როგორც ცქვიტიშვილის სიტყვები ისე საზოგადოების აღტა-ცება და ტაშისკრა!

დად. გთხოვთ წესიერება დაიცვათ, თქვენ ლაპარაკის ნებე არ გითხოვიათ!

დედ. როგორ შემიძლია მოვითმინო, როდესაც ხალხს ატყუებენ! რა იყო ცქვიტიშვილის სიტყვებში ახა-ლი და დაუღეპავი, ყველაფერი ეს ბანკის მოღვაწი-სათვის საანბანო კითხვებს წარმოადგენს, ყველა-ფერ ამის შესახებ ახლანდელი გამგეობაც ზრუნავ-და, მომავალშიც კიდევ იზრუნებს და ყველაფერს წესიერათ დაამთავრებს.

ჩანჩ. მომავალში რა იქნება—ეს ალაჰმა უწყის! ახლა კი გამგეობის მოქმედების განხილვამ, ნათლათ დაგვიმ-ტკიცა, რომ ახლანდელ თავმჯდომარეს ბანკი უფსკ-რულის კიდებზე მიუყვანია. ბანკის დაღუპვა ხომ არ გვინდა, რომ ისევ ის ამოვიჩიოთ. რაც შეეხე-ბა ბ. ცქვიტიშვილს, ისიც ფეოდალიზმის წარმომ-დგენელია! ამასთან მატყუარაც ყოფილა! ბანკის

ოპერაციების მას არაფერი არ გაეგება! ბანკი ხომ რიკტაფელა არ არის, რომ მოუმზადებელ პირებს ხელში ჩაეუგდოთ!

ტატი. აფსუს, აფსუს! საწყალი სპირდონ დიაკვანის შვილი, რომ ამას ამბობდეს ჩემზე? (იციინან)

დადე. (ზაქს წამოაფლებს ხელს.) გაათავეთ, ბატონო ჩინჩა-ლაძე?

ჩინჩ. როგორ გავათავებ, რომ ხელს მიშლიან?! ყველამ დავინახეთ უპრინციპობა ამ ორი ფეოდალისა. ამასთან უნდა გაგახსენოთ, რომ ბანკის მსესხებლები მარტო თავად აზნაურები ხომ არ არიან! უმეტესი ნაწილი ბურჟუა კაპიტალისტებია! აბა დამისახელებთ ერთი ვაჭარი მაინც, რომელიც ამ კანდიდატებს თეთრს მისცემს?

ტყავაძე. ყველა სინილისიერი ვაჭარი მისცემს თეთრს, თუ გინდა ჰკითხე მაგ შენს მეზობელს, ისაკ აბალაშვილს!

ჩინჩ. შეუძლებელია, მე ვიცნობ ბურჟუას-აბალაშვილს. იმას თქვენ ვერ მოისყიდით! ბატონო აბალიშვილო, თქვენ მაგალითად მისცემთ თეთრს ბატონ ცქვიტიშვილს?

აბალაშვილი. რატომაც არა?!

ჩინჩ. მერმე ფეოდალი რომ არის?

აბალაშვილი. ფეუდალი კი არა—ადვოკატია! (სცენაზედ იციინან).

ჩინჩალაძე. თქვენ ვერ მიხვდით! ადვოკატობა მისი პროფესია არის და თვითონ ის კი დაბადებით, აღზრდით და მიმართულებით ნამდვილი ფეოდალია!

დადე. ბატონო ჩინჩალაძე, ეს ხომ საქმის გაკვიანურებაა! ხალხი დაიქანცა, გვეყოფა ამდენი უთაგოლოთ წყლის ნაყვა, შევეუდგეთ კენჭის ყრას!..

ჩინჩ. უკაცრავათ, ჩვენც გვინდა დავასახელოთ ახალი კანდიდატი!

- დიდებ.** მესამე ვინმე?!
- ტყავაძე.** რა საქირთა, ბატონო, განა ორი კაცი არ კმარა!
- ამირანი.** ექიმს ჰგონია, არც თავადი და არც აზნაური საქმეში არ გამოდგებიან, რადგანაც ისინი თავადათ და აზნაურად დაიბადენ. რა თქმა უნდა, დიაკვანის შვილი რომ დიაკონისაგან დაიბადა და გლახის შვილი გლახისაგან, ამიტომ ბანკის საქმეებსაც უკეთესად გააკეთებენ და იმათგან უნდა ავირჩიოთ ვინმე!
- ჩანჩ.** დიასაც, საქვეყნო საქმეს—ქვეყნის მარჩენელის—ხალხის შვილი უნდა განაგებდეს, მაგრამ ვაი რომ ჯერ კიდევ ფრთები გვაქვს შეკვეცილი! მაგრამ ძალე გავიშლით და ხალხიც ყველაფერში პასუხს მოგთხოვს!
- დიდ.** (ზარს მთავლებს ხელს) ამ საგანზე მე თქვენ გიკრძალავთ ლაპარაკს!
- ჩანჩ.** ბატონო თავმჯდომარე, ნუ გეშინიათ! ჯერ კიდევ იძულებული ვართ, კანდიდატი თქვენი წრიდან დავასახელოთ, მაგრამ ისეთი პირი, რომელიც, როგორც თქვენთვის, ისე ჩვენთვისაც სასურველია და ბანკის მმართველობის ღირსიც არის! (ამ სიტყვების შემდეგ ტყვიტიშვილი გოგიას დაუძახებს და რაღაცას ეუბნება, გოგია სჩქაროთ გასვლას მიდის).
- ამირანი.** ექიმო, მე არ დამასახელო, ცუდი ხუმრობა არ მოგივიდეს!
- ჩანჩ.** მე ხუმრობაშიც არ ვიტყვი მაგისთანა სისულელეს.
- ამირანი.** მაშ ბატონებო, თვითონ ჩინჩალაძეს სურს კენჭი იყაროს, მე ვასახელებ იმას კანდიდატათ, გთხოვთ ყუთიც დაუდგათ!
- ხმება.** არ გვინდა, არა, მაგას ვინ იცნობს! (შეიქნება ხმაურობა).
- დიდებ.** (ზარს აჩქარებს). რა ამბავია! ველარ იტყვი, ვინც გნებავთ? (სტენაზე ამ დროს შემოვარდება გოგია და მდივანს ადგულებულათ ელაპარაკება). რა დაგეძარ თათ, თქვენ აქ რა გინდათ?

- გოგია.** უბედურება მოხდა, ბატონო!
- დადებ.** რა მოხდა, რა იყო!
- გოგია.** ცეცხლი გაჩთა! სახლი იწვის!
- დადებ.** სად? ვისი?
- ხმეხა.** რა ამბავია, არ დაეიწვათ! აქ ხომ არ არის?!
- გოგია.** ლომთათიძის სახლში გაჩთა!
- ლომთათიძე.** ჩემს სახლში?! ვინ გითხრა?!
- გოგია.** ბიჭი გამოგზავნეს თქვენთან! თქვენი ოთახის კედელს ცეცხლი მოეკიდა და შით ხომ არაფერი გაქეთო!
- ლომთათიძე.** როგორ არ მაქვს? ჩემი ქონება სულ იქაა, დოკუმენტები, ქალღმერთები— ბატონო თავმჯდომარევე, მე საჩქაროთ უნდა წავიდე!
- დადებ.** რა თქმა უნდა, მალე წამობრძანდით, ბანკის ქალღმერთები არაფერი გქონდესთ!
- გოგია.** აბა, ჩქარა წავიდეთ, ფაიტონი აგერ მყავს. (ლომთათიძე მიდის. გოგია უკან მიჰყევება).
- ჩანჩაღაძე.** ბატონო არისტიდე, ერთი წამი მაინც მოიცადეთ და მერმე წაბრძანდით!
- ლომთათიძე** (კარებიდან). მალე დაებრუნდები, მალე!
- ჩანჩაღაძე.** რა ჩვენს ჯინზე ეწვია ეს უბედურება! ბატონი ლომთათიძეა ჩვენი კანდიდატი.
- დადებუღ.** ვინ არის?
- ჩანჩ.** არისტიდე ლომთათიძე.
- დადებ.** იმას ხომ არ სურს კენჭის ყრა?
- ჩანჩაღაძე.** მე ვიცი, რომ თანახმაა!
- ცქვიტიშვიდი.** თქვე დალოცვილო, სანამდი ლომთათიძე აქ იყო. კრინტიც არ დასძარით, ფეოდალი და ფეოდალიო, ყურები გამოგვიქედეთ! ახლა ვინ მოგეცემსთ იმის მაგივრათ პასუხს? მაგრამ ეს ხომ თავმჯდომარის საქმეა!... მე კი ჩემს ვალდებულად მიმაჩნია ახლა, გამოვეუცხადო პატივცემულ საზოგადოებას ჩემი გულითადი მადლობა, რომ მთელის

სხდომების განმავლობაში ყურადღებით და ნდობით ეპყრობოდა ჩემს სიტყვებს! ამასთანავე ბოდიშს ვიხდი ზოგიერთების წინაშე, თუ კი ვინმეს რამე გაწყენიეთ! დამერწმუნეთ, რომ მე მხოლოდ სიმართლე და საქმის სიყვარული მალაპარაკებდა და რადგანაც ვფიქრობ, კენტის ყრაც ახლავე დაიწყება, ამიტომ მე კრებას ვტოვებ. კრების გათავებამდის, ნახვამდის და მშვიდობით ბრძანდებოდეთ (თავს უკრავს და მიდის).

ხმები. ვაშა, გაუმარჯოს ცქვიტიშვილს! (ტაშის ცქვას).

ჩინჩაღაძე. უმორჩილესად გთხოვთ ბ. ლომთათიძეს ყუთი დაუდგათ! გუშინ ერთ კერძო კრებაზე გვქონდა ჩვენ თათბირი და, როგორც იქნა, ლომთათიძე დავითანხმეთ, რომ თუ საზოგადოებამ დევდარიანის და ცქვიტიშვილის გარდა, სხვა კანდიდატი არ მოძებნა, მაშინ თვითონ არისტიდელი დავითანხმეთ ყუთს და კენტსაც იყრის. მე დარწმუნებული ვარ, ის ყველაფრით შესაფერი კანდიდატია და მთელი საზოგადოებაც იმას კარგათ იცნობს.

ერთი აზნაური. ტყუილათ ნუ აქებ, არა კაცი არ იცნობს. მაგის ოჯახში ერთი „ზაკუსკაც“ არ გვექამია.

ჩინჩ. ხომ ხედავთ, ფეოდალებმა როგორ გარყვენით ხალხი! საზოგადო მოღვაწეს „ზაკუსკებით“ ზომავენ და აფასებენ. გთხოვთ უსათუოდ დაუდგათ ყუთი! მე მაქვს მონდობილი, რომ მის მაგივრათ თანხმობა გამოვაცხადო.

ბანკის საქმის მწარმოებელი. აგერ, ბატონო თავმჯდომარე, ლომთათიძის განცხადება არის შემოტანილი!

დადებულაძე. რა განცხადებაა! მაჩვენეთ! (აჩემებს და აფაღიურებს) ოო! ეს პირ და პირ საქმეს შეეხება. (ზარს აჩვენებს) ბატონებო, წავიკითხავთ ამ განცხადებას და საგანიც გამოირკვევა! ბ. ლომთათიძეს დღეს შემდეგი განცხადება შემოუტანია (კითხულობს): მე

ბანკის დირექტორი არისტიდე ლომთათიძე ვთხოვ პატივცემულ საზოგადოებას არავინ წამოაყენოს საზოგადო კრებაზედ ჩემი კანდიდატურა! მე არაფრამდის არ მსურს და არც თანახმა ვარ ვიყარო კენჭი ბანკის გამგეობის თავმჯდომარის თანამდებობაზედ და ამიტომ ნურც ნურავინ თავს შეიწუხებს, ვამბობ მტკიცე და შეურყეველ უარს. დავშთები პატივისცემით დირექტორი ბანკისა არისტიდე ლომთათიძე.

ტყავაძე. მორჩა და გათავდა!

დადეხუღ. ამაზედ რაღას იტყვით, ბატონო ჩინჩალაძე!

ჩინჩ. ან ფეოდალური ორპირობა და უნამუსობა ლომთათიძეშიაც ყოფილა და ან აქ რაიმე ხრიკი და ეშმაკობაა. მაგ ქალაქი მისი ხელით არის ნაწერი?

დადეხ. მისი ხელით არის!

დეკდაწ. (ათვალიერებს) ნამდვილი მისი ხელია!

ჩინჩ. მერმე ეს ქალაქი, რომ გადმოგცათ, არაფერი ჰკითხეთ?

დეკდაწ. მე არც მინახავს ეს ქალაქი!

საქმის მწაბმეკუქლი. დღეს მივიღეთ, ფოჩტით!

ჩინჩ. ფოჩტით რაღასა გზავნიდა, თვითონ ვერ გადმოგცემდათ? აქ უსათუოდ რამე ეშმაკობა იქნება! გთხოვთ ჩემი სიტყვები ოქმში შეიტანოთ! აქ უსათუოდ სიყალბეა.

ხმა ქანდაკდაწ. უბრალო „მაშენიკობა“ იქნება

მეორე ხმა. მერმე ვინ „მაშენიკა“?

დეკდაწაწ. ბატონო თავმჯდომარე, როგორ იქნება, რომ ბიჭ-ბუჭებს ამდენ თავისუფლებას აძლევთ? რაებს არ როშავენ!

ჩინჩ. გთხოვთ ისიც ოქმში შეიტანოთ, რომ გაქუცული თავადიშვილი ჩვენ ბიჭ-ბუჭებს გვეძახის!

დეკდაწ. თქვენ როგორ ბედავთ მე—გაქუცული თავადიშვილი დამიძახოთ! ახლავე უკანვე წაიღეთ თქვენი სიტყვები! თორემ განანებ მაგ მეტიჩრობას

- ჩინჩ.** მეტიჩარა რომ არ იყოთ, არც თაფმჯდომარის ადგილზე წამოსკუბდებოდით!
- დეკდ.** ხმა გაკმინდეთ, თორემ ვაი თქვენი ბრალი! **СВО-МОУС!**
- ჩინჩ.** აი შე არისტოკრატო!
- დიდეპ.** (ზანს დანოვრათ ანუდრეგს და ყვირის) რა უბედურებაა! რა დაგემართათ, რომ სულ ილანძღებით და ჩხუბობთ. მე თქვენ გისპობთ ლაპარაკის ნებას! მოიხადეთ ახლავე ბოდიში საზოგადოების წინაშე!
- დეკდ.** საზოგადოებასთან უკაცრავათ ვარ, მაგრამ რა ვქნა, თქვენო ბრწყინვალეებავ, რომ გამოძიყვანა მოთმინებიდან უწმაწურის სიტყვებით!
- დადებუღ.** რა ღმერთი გვიწყრება, რომ არაფერის მოთმენა არ შეგვიძლია! როდის ვისწავლით ჩვენც კრებებზე ლაპარაკს, როდის შევეჩვევით ჩვენც დისციპლინას. ბატონებო, უდისციპლინობამ დაღუპა ჩვენი ქვეყანა და ახლაც გვღუპავს. ყოველივე ჩვენს დაწესებულებას ამან გამოუთხარა ძირი! როდის შევიგნებთ ამას? როდის გავუსწორდებით ჩვენც განათლებულ ქვეყნებს?! განა იქ ასეთი რამე შესაძლებელია მოხდეს?!
- ხმა ქანდარადან (მოსწყრებულად).** გუშინწინ, ბატონო, საფრანგეთის პალატაში დებუტატებმა და მინისტრებმა ერთმანერთს მუშტებით ცხვირპირი დაამტვრიეს! (იდიმუბიან).
- დიდეპ.** (ზევით იხედება) ჩემო ძმაო, რა ჯინზე ცუდი მხარე მოგყავს სამაგალითოდ! რაც კარგი თვისებები აქვთ ფრანგებს, ჩვენ იმის ნახევარიც გვეყოფა! ცუდი — ყოველგან ცუდია და მისაბაძიც არ არის. ბატონებო, იმედი მაქვს ამ სამწუხარო ინციდენტის შემდეგ ასეთი რამე აღარ გამეორდება! თანახმად ბ. ლომთათიძის განცხადებისა, ნება არ გვაქვს მას ყუთი დავუღვათ და ამიტომ ისევ ორი კანდიდატი რჩება!

- ჩინჩ.** რადგანაც ბატონი ლომთათიძე აქ არ ბრძანდება, რომ პირადათ ვკითხოთ, შე ვთხოვთ, კრება შეაჩეროთ მის მოსვლამდის და ან ხვალისთვის გადასდეთ!
- დადებ.** კრების გადადება, ან შეჩერება ერთის წაქითაც არ შემიძლია, და კენჭის ყრასაც ახლავე შევეუდგებით.
- ჩინჩ.** ეს ხომ მარტო თქვენს სურვილზე არ არის დამყარებული. მე დარწმუნებული ვარ საზოგადოებას კრების გადადება სურს! უმორჩილესათ ვთხოვ პრესის წარმომადგენელთაც ამ კითხვას ყურადღება მიაქციონ (პრესის წარმომადგენელთაგან აღგება ერთი და თანხმობის ნიშნად თავს უქსევეს).
- დადებ.** რომ ყოველივე კამათი მოვსპო ამ საგანზე, მე შევეკითხები საზოგადოებას. ბატონებო! ვისაც სურს, რომ კენჭის ყრა ახლავე მოხდეს, ის თავის ადგილზე იჯდეს და ვისაც სურს, რომ კენჭის ყრა გადაიდვას, ის ფეხზე წამოდგეს! (წამოდგებიან ბ. ჩინჩაძე და ორიოდე კაცი და იქით-აქით იხედებიან).
- ჩინჩ.** კითხვა თქვენ უცაბედათ მიეცით, საზოგადოება ვერ მიხვდა, რაშიც იყო საქმე?
- დადებ.** მე კიდევ გავიმეორებ. ვისაც სურს კრების გადადება, ის ფეხზე წამოდგეს და ვისაც არა, ის იჯდეს. (დამდგარია ასეა მარტო ჩინჩაძე). ბატონებო! როგორც ჰხედავთ ჩინჩაძის აზრის მომხრე მარტო ბ. ჩინჩაძე ყოფილა! კითხვა გადაწყდა! კენჭის ყრა იწყება. მე ამოვიკითხავ ამომრჩეველთა გვარებს.
- დეკდე.** რადგანაც კენჭის ყრა იწყება, მეც იძულებული ვარ, კრება დავსტოვო! გიცხადებთ მაღლობას იმ ნდობისათვის, რომელიც თქვენ გამომიცხადეთ. მშვიდობით! (გადის. ორიოდე სტუენა მისიშის).
- დადებ.** (ზანს წამოავლებს ხელს). კენჭის ყრის წესი, რა თქმა უნდა, ყველამ იცით, და აქ აღარ გავიმეორებ.
- ჩინჩ.** რადგანაც თქვენ ჩემის თხოვნით კრება არ გადასდევით, მაშ იმას მაინც მიაქციეთ ყურადღება, რომ

ქალაქში ხმა გავრცელდა, ამომრჩეველთა სიები არ არის მართლად შედგენილიო. ბევრი ყალბი დოკუმენტიც არის წარმოდგენილიო. ამის მიზეზით საჭიროა, სიები ხელმეორეთ შევამოწმოთ და მერმე ვყაროთ კენჭი! გთხოვთ ჩემი განცხადება ოქმში შეიტანოთ!

დადებ. სიები თქვენგან ამორჩეულმა პირებმა შევამოწმეს და მოიწონეს. ხელახალი შემოწმება მეტად მიმაჩნია! აბა ვისაც მე ამოვიკითხავ, ის კენჭის ჩასაგდებათ გამობრძანდეს. (სიას იღებს და კითხულობს). აბალაშვილი ისააკ! აბაშიძე როსტომ, ამილახვარი ალექსანდრე (ჯერ ასისიტენტები და შემდეგ ხალხში იმეორებენ — აბალაშვილი, აბაშიძე, ამილახვაძე; დიდებულნიც უუთებისკენ წავა და სულთ აჩვენებს) აი აქ აწერია კანდიდატების გვარები: ეს არის თავადი დევდარიანის ყუთი და ეს კი ცქვიტიშვილის. ეს მხარე თეთრია და ეს შავი! ყურადღება მიაქციეთ კანდიდატის ვინაობას და თუ გსურთ ამოირჩიოთ, კენჭი ჩაუგდეთ თეთრისაკენ და თუ არა, მაშინ — შავისკენ. გახსოვდეთ, რომ ეს დახურული კენჭის ყრაა და ვერც ვერავინ შეიტყობს, ვინ ჩაუგდო თეთრი და ვინ შავი! (მადის აბალაშვილი. დიდებულნიც აძლევენ ორს კენჭს. აბალაშვილი ათვალიერებს ყუთებს და მოკმაძლებით სდებს კენჭს).

ხმება. შავში ჩააგდო, შავში! ცქვიტიშვილს მისცა თეთრი!

დად. გთხოვთ სიწყნარე დაიცვათ! ეს ხომ დახურული კენჭის ყრაა! ნუ გამოეკიდებით იმის გამოცნობას, ვინ თეთრი მისცა და ვინ შავი! ბატონო აბაშიძე, აქეთ მობრძანდით! (იმასაც აძლევენ ორ კენჭს, ისიც ჩელ-ნელა მიდის ყუთებთან და აგდებს).

IV

შროკურაძე. ბატონო თავმჯდომარე, ნება მიბოძეთ, ორიოდ კითხვა მოგცეთ!

აგაღიანი. თქვენო ბრწყინვალეებო, პროკურორს უნდა, რაღაც მოგახსენოს!

დიდებ. რომელ პროკურორს?!

აგაღიანი. ახლად დანიშნეს, ახალი ჩამოსულია!

დიდებ. თქვენო აღმატებულებო, მგონებ თქვენ სიტყვა ითხოვეთ!

შროკურაძე. ბოდიშს ვიხდი, რომ გაწუხებთ, მაგრამ უმორსილესად გთხოვთ, შემატყობინოთ, სად არის შენახული რწმუნების ქაღალდები და სხვა დოკუმენტები?

დიდებულ. რად გნებავეთ, რაზედ კითხულობთ!

შროკურაძე. ეს მესამე დღეა, რაც ამ ქალაქში ჩამოვედი და ჯერ-ჯერობით ოცდა ჩვიდმეტი „დანოსი“ და საჩივარი მივიღე, რომელიც შეეხება ბანკის მოქმედებას, დეპუტატთა საკრებულოს, რაღაც ყალბ დოკუმენტებს და კიდევ ბევრ რამეებს.

დიდებულ. თქვენო აღმატებულებო, თქვენ ახალ ჩამოსული რომ ბრძანდებით, იმიტომ გიკვირსთ ეგ მოვლენა. ჩვენში „მედანოსობა“ ისეთი გავრცელებული სენია, რომ ყურადღებასაც არ ვაქცევთ! ეგ ჩვენი საზოგადოების შესისხლხორცელებული მანკია, რომლის უებარი წამალი მხოლოდ ამ დანოსების ღირსეული აუტოდაფე იქნება! თქვენც ასე უნდა მოიქცეთ და არავითარი ყურადღებაც არ უნდა მიაქციოთ!

შროკურაძე. მეც ასე ვფიქრობდი, მაგრამ აქვე კრებაზედ ინტელიგენტმა წევრმა საჯაროთ განაცხადა ის, რაც ზოგიერთ „დანოსებში“ მოხსენებულია! სად ანაბეზა მაინც ეს დოკუმენტები?

დიდებ. ფიქრი ნურათრის გექნებათ! ყველაფერი წესიერათ არის წარმოდგენილი და შემოწმებული! ზოგი ინახება ბანკის არხივში და ზოგი დეპუტატთა საკრებულოში.

ბრაკურაი. დიდათ გმადლობთ, თქვენო ბრწყინვალეებავ, თქვენ აქ განაგრძეთ კენჭის ყრა და მე კი წავალ დეპუტატთა საკრებულოში, რომ ორიოდე საქმე გადავათვალიერო. ხომ კი იქნება ამ ჟამათ იქ ვინმე?

დიდებ. როგორ არა, მაგრამ თუ საჭიროება მოითხოვს, მე თვითონ წამოვალ.

ბრაკურაი. თქვენ ნუ შესწუხდებით! მდივანი ხომ იქ დამხვდება? (შიდის).

დიდებუდიძე. ბატონებო, სიფრთხილეს თავი არ სტკივა. ვინ იცის დანოსებში რა სისულელე არა სწერია! არ გადარიონ ახალ ჩამოსული კაცი! იძულებული ვარ, რომ მეც იქ წავიდე, რომ ჩვენ საქმეებს რაიმე ხიფათი არ მოედვას.

ხქება. კენჭის ყრა? მერმე კენჭის ყრას რაღა ვუყოთ! თქვენი წასვლა შეუძლებელია!

დიდებ. ჩემი წასვლა კენჭის ყრას არ შეაჩერებს. განაგრძეთ უჩემოთ და მეც მალე დაებრუნდები. ვთხოვ პატივცემულ თეიმურაზ ავალიანს იკისროს ჩემ მაგიერ დროებით თავმჯდომარეობა! ბატონო თეიმურაზ! აი აქ დაბრძანდით და კენჭის ყრა განაგრძეთ! (ავალიანი ჯდება. დიდებუდიძე შიდის).

ამირანდო. აქ უჩემოთაც ბევრი არიან. მეც თქვენთან წამომოვალ, იქნება საგაზეთოდ ვიპოვო რამე! (მიჭუყება. საზოგადო ხმაურობას, კნეინა ტასოც საჩქაროთ წავაღოფიდან.)

ავალიანი (ზარს არაწკუქებს) ბატონებო, თუმცა ეს ინციდენტი ძალიან სამწუხაროა, მაგრამ ჩვენ-ჩვენი საქმე მაინც წესიერათ უნდა წავიყვანოთ. მარშალიც ხომ

- ზინზ.** მალე დაბრუნდება. სად არიან გამოძახილი პირები? ძლიერ ვწუხვარ, რომ ბატონმა პროკურორმა ჩემის სიტყვებით ისარგებლა! მე სრულებით არ მსურდა, რომ ჩვენს საზოგადო საქმეებში ადმინისტრაცია ჩარეოდა. ეს „დანასებიც“ უსათუოდ ფეოდალების წრიდან იქნება და თვალსაჩინოთ ამტკიცებს, რომ ჩვენი მოწინავე წოდება დაეცა როგორც მატერიალურათ, ისე ზნეობრივადაც.
- აგალიანი.** ახლა ამაზედ გოდება მეტია და გვიანაც არის. როდესაც უმართებულო სიტყვებს ისროდით, მაშინ უნდა გეფიქრათ ამაზედ! ბატონო აბაშიძე, თქვენ ჩააგდეთ კენჭი?
- ხმება.** ჩააგდო, ჩააგდო!
- აგალ.** ინებეთ, ბატონო ამილახვარო, (კენჭს აძლევს და ისიც აგდებს. შემდეგ გვარებს კითხულობს) ივანე ამაშუკელი, პეტრე ამირაჯიბი, ვასპარ ამირალოვი (იმეორებენ ამაშუკელი ამირაჯიბი, ამირალოვი...)
- ხმება.** ამაშუკელი გარეთ არის, გარეთ დაუძახეთ (უძახიან ამაშუკელს. ამირაჯიბი და ამირალოვი მოდიან და კენჭებს იღებენ).
- აგალიანი.** თქვენ ამირაჯიბი ბრძანდებით! ინებეთ, თქვენც ინებეთ. ამაშუკელი არ მოსულა? ლევან ასათიანი! სპირდონ ათაბაგი? (ამ დროს ატედება ხმაურობა! სტენასზედ ამოსასვლელ კიბეზედ ამოსვლას აპირებს ციცინო, მაგრამ ტყავაძე და სხვები არ უშვებენ) ეს რა ხმაურობაა, რატომ არ უშვებთ?

X

- ციცინო.** (ამდგრეულის თვალებით) გამიშვიო. თქვე ძაღლებო, თქვენა! ჩემი გვარი ამოიკითხეს, მე მიძახოდენ!
- აგალიანი.** ხელი უშვით? რა გნებავსთ, ქალბატონო! რა დაგე-მართათ?

ცაცინო. (სტუნაზედ მარდათ აზოვა) მე თქვენი ბატონები ფეხებს მილოკავდენ, და თქვენ როგორ ბედავთ ჩემს გაჩერებას?

ქრისტინე. (ლოჟიდან) უი მე! ეგ სად მოსულა? საქმეს დალუპავს!

ტყაგაძე. არ გაუშვათ, შეშლილი ქალია, დაქერა უნდა!

ცაცინო. მე რა მიგავს შეშლილს! შეშლილი და გიჟი თქვენა ხართ! ქუჩაში ჩემს გვარს ყვიროდენ, მიძახოდენ და მეც მოვედი! რა გნებავთ ჩემგან?

აგალ. თქვენ ვინ ბრძანდებით?!

ცაცინო. მე პრინცესა ციცინო ვარ, ამაშუკელის ქალი! მთელი ქვეყანა მიცნობს!

ხმეძე. ციცინო? ეს არის ციცინო! მერმე აქ რა უნდა?!

აგალიანი. ქალბატონო, თქვენ აქ არა კაცი გიძახოდით? ხომ ხედავთ, აქ ქალი არავინ არის! ისევ სახლში წაბძანდით.

ცაცინო. (ცოტა ხნის სიჩუმის შემდეგ) სად არის ჩემი სახლი, რომ აღარ ვიცი? საით წავიდე!! გზა ამერია! ყველა მეუბნება ჩემთან წამოდით! ყველა ხელებს მიკოცნის? არა, (წყნადი სიცილით) ახირებული კანონი ყოფილა ამ ქალაქში! ჯერ ცქვიტიშვილმა დაიწერა ჩემზედ ჯვარი, მერე დევდარიანმა... (საიდუმლოს ხმით) არავის უთხრა და მარშალმაც ჯვარი დაიწერა, მარა რომ იცოდეთ, რა მოხდა? კნენამ ამისთვის კინალამ მოკლა? (იცინის) არა, ძალიან საყურებელი კი იყო! ისე მაგრათ აკოცა ცქვიტიშვილმა კნენა ტახოს, რომ გული შეუწუხდა! მე შევჯექი ფარშევანგზედა გამოვფრინდი. (უცებ შედგება) იცი, მე აქაც მეშინია, თქვენ არ დამიჭიროთ და კიდევ ძალით ჯვარი არ დაიწეროთ, მე ძალლი ხოჭ არა ვარ, რომ ამდენი ქმარი მყავდეს.

- აგაღიანი.** (სისამ ციცინო დაპარაკს გაათავებდეს, ასისიტენტებს ანიშნებს, რომ დაიჭირონ, ისინიც მიიწყვიან ციცინოსკენ, მაგრამ ხელის მოკიდებას ვერ ბედავენ) თქვენ, გარეთ გიძახოდენ! ვერ გაიგონეთ? ბიკო, ასწავლე გზა ამ პატიოსან ქალს! არ დაიბნეს, სახლამდინ მიაცილე!
- ციცინო.** (მწუწკლავ) ხელი არ მახლოთ! გარეთ ხომ მხეცები არიან! მეშინიან!... აქ კი თქვენ ასე ტკბილათ მესაუბრებით.
- აგაღ.** ნურათურის გეშინია? ხელს ვერაფერს გახლებს. სამს კაცს გაგატან!
- ხმა ხალხიდან.** აქ ნუ გვიშლი, ხომ ხედავ რამდენი ხალხია! აქ კენჭის ყრაა! მაგის ცოდვა არ გაახარებს ცქვიტიშვილს და დევდარიანს.
- ციცინო.** (შეკრთება) რა არის? კენჭის ყრა?! ოჰ, კენჭი! კენჭის ყრა გაგვასწორებს! ააა! მახსოვს, მახსოვს! უყურეთ ამ ეშმაკებს! დუელი გამართეს! ვაი ჩემს სიცოცხლეს! ჩემი გულისთვის აიშალენ! გეფიცებით, ვებეწვე, მარა არ დამიჯერეს! აიშალენ: მე გაეთიშე! პირობა შეკრეს! ვინც კენჭის ყრაში გაიმარჯვებს, მეც ის წამიყვანს... მარა მეც ხომ აღამიანი ვარ და აღამიანური ცხოვრება მინდა! მე აღარაფერი მკითხეს! არც ერთი აღარ მინდა! ორივე წუწკი და გარყენილი ყოფილა...
- ტყაგაძე.** (გრძნობიერის სმით ჩასძახებს) ციცინო, ციცინო! წადი აქედან.
- ციცინო.** (შეკრთება, დაიკვივლებს) ჰა! ვინ მიძახოდა, ნაცნობის ხმა იყო!
- ტყაგაძე.** აქ რას ყბედობ, ჩქარა დაიშალე, დევდარიანი მოდის, გარეთ გავიქცეთ?
- ციცინო.** დევდარიანის მე არ მეშინია! ტატომ მითხრა, ის და მარშალი ორივე გაგიყდა!
- ტყაგაძე.** ამიტომაც არის საშიშარი! ჩქარა გაიქცევი, თორემ ვაი შენი ბრალი!

ციცინო. მე რა ვქნა! ვის მივეკედლო, რომ ყოველგან მღვენიან! ვისთან წავიდე?!

ხმა ხაჯხიდან. მამა შენთან დაბრუნდი, შე საცოდავო!

ციცინო (ჩაჩქერდება ერთ წერტილს) მამა ჩემთან?! მამა ჩემთან! რომ არ მიმიღებს? რალათ ვარგივარ! ცქვიტიშვილმა მომიტაცა. თავი მომჭრა, დამლუბა! ჩემი დედა, ჩემი პატარა და — სულ ტიროდენ. ვითომც'მოვკვდი! მეც არაფერი დავუჯერე, (წენახის, დაღვრემიჯის ტირილით) გავსულელდი! ნასწავლი კაცის ცოლობა მოვინდომე, მე რა ვიცოდი, თუ ყველა გარყვნილი იყო! — ახლა როგორ უნდა ვეჩვენო მამა ჩემს! ამ ჩემს შეილს რალა ვუყო? თავს ვიხრჩობდი მარა, არ დამანებეს, დღეს სოფელში წასვლა დავაპირე, ცქვიტიშვილს გამოვექეცი, მარა გზა ამერია, და აქეთ წამოვედი. თქვენც დამიძახეთ (ამ დროს სცენაზედ ამოდის ექიმი ჩინჩაღასე, ტყავადის ხევეწა მუდარის შემდეგ. ის თვალებში უყურებს ციცინოს. ციცინოც ჩაჩქერდება და უკან გადახტება) შენ ხომ ექიმი ხარ! აქ რალა გინდა? მე ავათ არა ვარ! არ მინდა შენი წამალი, ახლოს არ მოხვიდე!

ჩინჩ. რამ შეგაშინა, ციცინო, მე ხომ საექიმოდ არ მოვსულვარ? რა დაგემართა? შენ ყოველთვის დინჯი ქალი იყვავი და ახლა რა მოგდის? შეხედე, ყველა როგორ წყნარად ჯის?

ციცინო. მერე აქ რომ შეყრილან, სახლში საქმე არაფერი აქვთ? აქ რა უნდათ? მაგენიც წუწკები იქნებიან!

აგაღიანი. ვერ ხედავთ აგერ ყუთებს, აი აქ კენჭები უნდა ჩააგდონ და თქვენ კი გვიშლით!

ციცინო. კენჭის ჩაგდება რა დიდი საქმეა? მე ხომ არ გიშლით, მობრძანდნენ და ჩააგდონ!

ჩინჩ. თქვენ რაც გინდათ, ის ქენით, ჩვენ კი ახლავე წავალთ აქედან. ციცინო, შეხედე, აქ რამდენი ავაზაკი ზის. ერთი-მეორეზე უფრო უნამუსო და უსინი-

დისო არიან. უნდო და უტიფარი ხალხია! ჩვენ არ შეგვეფერის ამისთანა გაიძვერებში ყოფნა! მივაფურთხოთ აქაურობას და ჩქარა წავიდეთ. ბიკო, კარი გაგვიღე, ჩვენ მოვდივართ! (შიდის კარებისკენ, ციცინოც ნელ-ნელა უკან მიჰყუება. ყუთების ახლას რომ გაიფლის, შეჩერდება და მოიხედავს).

ცოც. აქ უნდა ჩააგდონ კენჭი?!

ჩინჩაღ. დიახ, ამ ყუთებში! რაღას იცდი? აქეთ წამოდი!

ცოც. აქეთკენ შავი რად არის?

ჩინჩაღ. სულ ამისთანა კაცების ტალახიან ხელშია და იმათ ცოდვებისაგან გაშავდა.

ცოც. კენჭები სად გაქვთ?

ჩინჩ. ეჰ, ციციხო, რა ჩვენი საქმეა კენჭები და კენჭის ყრა! ჩქარა გავიქცეთ!

ცოც. (იგონებს) თუ კენჭის ყრაში გავიმარჯვე, ციციხოც მე უნდა დამითმოო! ისიც ხომ დათანხმდა, იცი! (იცინის) მე კენჭების დამატება ვარ, დამატება, და როგორ მოვშორდე?! ხომ უნდა ვიცოდე, ვინ გაიმარჯვებს! არა, ექიმო, შენ გაიქვეცი და მე აქ მოგიცდი (ყუთისკენ მიიწევს) უიჰ, იქითკენ თეთრი ყოფილა?!

აგაღი. ყუთს ხელი არ ახლო! ახლოს არ მიხვიდე?

ცოც. რას მიყვირი, შენი მეშინია თუ?

აგაღიანა. ყუთთან არ მიუშვათ, ხელი მოჰკიდეთ, როგორ გაჩერებულხართ!

ცოც. (ყვირით) ვინ მიბედავს, რომ დამიშალოს, კიდევ მივალ და ხელსაც მოვკიდებ.

აგაღ. დაიჭირეთ, ყუთი არ გადმოაგდოს!

ცოცინო. ვინ უნდა დამიჭიროს, შე ბებერო თხავ! (სისწრაფით წაყვლებს ხელს ყუთს. ასისიტენეტები ეტეპიან და წართმევენ უშიზობენ).

ჩინჩ. რად ერეოდით ჩემს ლაპარაკში! არ დამანებეთ აქედან გაყვანა და რაც გინდათ ახლა, ის ჰქენით!

ცც. ხელი გამიშვით, თქვე ძაღლებო, ამ ყუთით თავს გაგინეთქო (დანიერად გაინძრევა, უუთს გადასვრის ისე, რომ მეორე უუთის დაარტყამს და ძიხს გადმოაკვდებს. ქენჭებიც გადმოიხრევა) ახლაც კიდევ დამიშლით! რას მაწვალებთ, თქვე ურჯულოებო! (საღესში მოძრაობა და ხიჩქოლია).

აგაღიანი. ღმერთო, ეს რა გვიქნა ამ გადარეულმა! გაათრიეთ ექედან ეგ ქალი!

ცც. (უფიხის) რას მერჩით, თქვე გაუმაძღრებო! ხომ გაძებნით ჩემი ხორციო! სად მიმათრევთ. მკლავი მეტყინა, შე მხეცო! ხელი გამიშვი (კივის. კარედ გაჭყავთ და მისი კივილი კიდევ კარგა ხანს მოისმის).

მოხუცა. მაგისთანა ანგელოზსავით ქალი კკუაზე შეშალეს და მაგ ვაჟბატონებს კიდევ თავმჯდომარეთ ვირჩევთ? ფუი, თქვენს ნამუსს! რამ დაგაგლახათ ასე მთელი საზოგადოება (სმაურობა და მოძრაობა).

აგაღ. (ზაქსი აწკარუნებს) როგორ შევრცხვით ყველა! როგორ შემოაშვით სცენაზე შეშლილი ქალი?! ვინც იცნობდით, ვერ დაიჭირეთ?

ტყაგაძე. მე დაქერა მინდოდა, მარა თქვენ არ დაუძახეთ?

აგაღიანი. მე რა ვიცოდი, თუ გიჟი იყო! კარებთან მაინც არავინ იდგა, რომ ქუჩიდან შემოაშვეს? რა პასუხი მივსცეთ მარშალს? ოჰ, რა უბედურ საათს იქნა დაწყებული ეს კენჭის ყრა? ყუთები მაინც დადგით თავის ადგილას! ბატონებო, რა აზრის ბრძანდებით?! როგორ უნდა მოვიქცეთ!

VI

ტყაგაძე. ბატონო, რა ვუყოთ, რომ ასე მოხდა! ფათერაკი ყოველგან შეიძლება შეგვემთხვეს! თავიდან შევეუდგეთ კენჭის ყრას! ხელახლათ აბალაშვილიდან დავიწყოთ!

- ჩინჩ.** (ყუთებზე ანიშნებს) ამ ვაჟბატონების გარყვნილების საბრალო მსხვერპლმა, იმ ზომამდე ააღელვა და დაალონა საზოგადოება, რომ დღესვე კენჭის ყრის განახლება ყოველად შეუძლებელია! რა დროს ეგ არის? ყველას ნერვები აგვიშალა, ყველა აგვადელვა და გაგვაბრაზა ამ სანახაობამ! (საზოგადოებაში კიდევ უფრო მოძრაობა და მღელვარება).
- ხმები.** მართალია, მართალი! თქვენი ალაფერი გვინდა, შინ მაინც მშვიდობით გაგვიშვით (ზოგი კიდევ მიღის კრებიდან).
- აგაღ.** ბატონებო, ცოტა მაინც კიდევ მოითმინეთ! კარგათ მოვიფიქროთ! ასეთ ინცინდენტს მე ჩემს პრაქტიკაში არ შევხვედრივარ! მარშლის დაბრუნებას მაინც მოვუცადოთ! სწორეთ ჩვენი სიგლახეა, რომ შემლილი ქალი სცენაზედ ამოუშვით და ლაპარაკი გავაბით! (შემოდის ამირინდო) ოო, მადლობა ღმერთს, ამირინდოც დაბრუნდა, სჩანს მარშალიც მალე მობრძანდება.
- ამირ.** (გაკვირვებით იხედება იქით-აქეთ) როგორ ჩამოგიყრიათ ყურები! რა ამბავია?! კენჭის ყრა კიდევ გაათავეთ?!
- აგაღ.** სამწუხაროთ ყველაფერი აგვერია! ხელ-ახლათ უნდა დავიწყოთ! მარშალი ხომ მალე მოვა?
- ამირ.** სამწუხაროთ მარშალი დაიგვიანებს. მე განგებ გამომგზავნა, ნულარ მიცდითო.
- აგაღ.** რა მიზეზია? იქაც რამე ფათერაკი ხომ არ მოსვლიათ?
- ამირ.** მეტი რაღა იქნება? ვინცხა ოხერს დეპუტატთა საკრებულოს კასსა სულ გაუჭურდავს. შით ერთი კაპეიკიც აღარ გამოდგა. 10 ათასს მანათზე მეტი აკლია!

- ხმები.** რას ამბობთ! გაუქურდავს? მერმე ვის?!
- ამირ.** ვინ იცის, ვის, ჯერ კი სეკრეტარი კიდეც გააკავეს.
- აგაღ.** დოკუმენტები?!
- ამირ.** ჯერ კიდეც ჩხრეკენ და სწეწენ! ხომ იცი, რის ჩხრეკასაც უნდა მიაღგენ ჩვენში, საკენკი ყოველთვის გამოჩნდება. მაინც იმ დალოცვილ „დანოსებში“ ბევრი რამ საინტერესო ცნობა ყოფილა მოხსენებული.
- აგაღ.** იქნება იქ... მეც საჭირო ვარ. ხომ არ მახსენეს?
- ამირ.** რალაც დოკუმენტის შესახებ თქვენც გახსენეს. საპატოო კაცი ბრძანდებით, კარგს იზამთ, რომ იქ დაესწრებოდეთ!
- ხმები.** რა ღმერთი გვიწყრება! რას მოვესწართ! რა გვემართება!
- ჩანჩ.** დაბერებულ მუხას ძირს უთხრიან! ალბათ დამპალ ფესვებს ჩამოაჭრიან! გიხაროდესთ, რაც აღრე აღმოაჩინენ ჩვენს იარებს, მით ჩვენთვის უკეთესია! უფრო აღრე და უფრო გაბედულათ წავალთ განახლების და პროგრესის გზაზედ... ჰო, ჩვენი არისტიდეც დაბრუნდა! (შემოდის ლომთათიძე).
- 1 ხმა.** ვინ დაბრუნდა?
- 2 ხმა.** დირექტორია — ლომთათიძე.
- ჩანჩ.** ბატონო არისტიდეც, რა ცუდ დროს გაგვექეცით! ხომ მშვიდობით გადარჩით, ქაღალდები ხომ არ დაგწვიათ?
- ლომთათ.** (გულმოსულათ) რომელი ქაღალდები დამეწვებოდა, რომ ცეცხლიც კი არსად არ გაჩენილა! ტყუილად წამიყვანეს, განზრახ შემაცდინეს და მომალორეს.

სულ ფლიდობა და უნამუსობა იყო! ფუჰ, იმისთანა მოღვაწეს, ვინც ასეთი ოინებით სარგებლობს? თვალები გავახილოთ! როგორ გვაბრმავებენ!

ხმები. მართლა ბრმები ვართ! როგორ გვატრიალებენ! როგორ გვაცოდვილებენ! ვის რა დავუშავეთ!

აგაღ. (ზანს არაწკუნებს) ბატონებო, როგორც ვხედავ, ასეთ პირობებში კენჭის ყრის გავრძელება შეუძლებელია. ამასთან, მეც პროკურორთან უნდა წავიდე!

ტყაგამე. ბატონო, კრების გადადება, როგორ შეიძლება! ამდენი კაცი აქ იცდის! არ დაგვლუპოთ! ამდენი ხნის ნაშრომი არ დაგვიკარგოთ!

ხმები. არაფერი გვინდა? შინ გაგვიშვით. რა დროს კენჭია (ხმაურობა და არეულობა, უმეტესობა ჭეხუცე ღებია).

აგაღ. (ზანს ხელს მთავლებს) მოწყალეო ხელმწიფენო! იმ მოულოდნელ მიზეზების გამო, რომლის მოწამე თქვენ თვითონ ბრძანდებოდით, მე აღარ შემიძლია განვაახლო კრება და იძულებული ვარ დღემანდელი სხდომა დავხურო! ხელ-ახალი კენჭის ყრის დღე ცალკე იქნება გამოაცხადებული.

(საზოგადოებაში უკმაყოფილება. ეკერ-აგერ ხმაურობენ და ერთმანერთს მღეფვარებით რაღაცას ეუბნებიან. ხალხი ერთმანერთში აირევა. ავადიანი ქუდს ისურავს და გაცხარებით ამიწინდოს ესაუბრება. ჩინჩაღაქე და ლომითათიქე ერთმანერთს ირანიულის დიმილით შესცქერაან. ჰრესის წარმომადგენლები გაცხარებით სწერენ. ბანკის საქმის მწარმოებელი წელში მოხრილია და უაზროთ იუერება. კარგ ხანს ასეთ მდგომარეობაში არიან).

ქრისტე. (ლოჟიდან აღეფვებულის ხმით) ქე ვეუბნებოდი იმ პლურტს, ჩქარა მოიშორე ი ქალი მეთქი, მარა არ

დამიჯერა! ხომ დავგეღუპა ახლა! მიწასთან გავგვას-
წორა! ახლა რაღა პასუხს მაძლევს?!
(ხალხი მისკენ იხედება)

ზარდა ნელ-ნელ ეზვიება.

(დრამატული ტრილოგიის პირველი
ნაწილის დასასრული).



საპოლიტიკო და სალიბერალური გაზეთი

„ი ვ ე რ ი ა“

1905 წ.

გამოდის ყოველ-დღე, ორშაბათობითაჲ.

წლის განმავლობაში რედაქცია დაუსრულებს ხელის მომწერლებს

პრემიალ 12 ჟიგნს

საერთო სათაურით: „ივერიის ბიბლიოთეკა“, რომელშიაც მოთავსებული იქნება: ბელეტრისტული და სამეცნიერო თხზულებანი და წერილები ქართველ და უცხო მწერართა.

გაზეთში და საპრემიო წიგნებში იქნება მოთავსებული სუკრათეები და ილუსტრაციები.

გაზეთის ფასი: 1 მარტიდან წლის დამლევამდის 8 მან., რომლის გადახდა ნაწილ-ნაწილადაც შეიძლება.

ცალკე ნომერი გაზეთისა ღირს 3 კაპ.

რედაქცია იმყოფება პუშკინის ქუჩაზე, № 11, სპირდიტო სახლი (გაღების სახლში) (შესამე სართულში).

საფოსტო ადრესი: Тифлиси, Редакция № 11, „Иверія“

ნ 383 ბ
1905

☉ ფანი ათი ზაური ☉

ელექტრონით შექმნილი ანბ., შრომა